# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№252 (12627) 27 ოქტომბერი ორშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნაღდი მარადონა და ცრუ სანახაობა

»»» 2,16



გოგი ქავთარაძე

## პროექტი კრახისთვის იყო განწირული

ნიკო პატარქალიშვილი



## არგენტინელებს თამაშზე საცობების გამო დააგვიანდათ



»»» 3





# ლივერპულმა ჩელსი დაამხო

ევროპა ამოყირავდა. უცნაური ლიდერები: ჰოფენჰაიმი, უდინეზე...

მსოფლიო ფეხბურთი »»» 6-10

# ქართული გოლები და ერთიც გაქცევა

»»» 5



ამისულაშვილი (მარცხნივ) და გოგუა (№7) სირაძის (მარჯვნივ) გოლით ხარობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიეგო მარადონა საქართველოში

# ნალდი მარადონა და ცრუ სანახაობა



მარადონა ნემსაძისა და ცქიტიშვილის გარემოცვაში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

...ქართველებს თავის გამოჩენა ყოველთვის გვიყვარს; ჩვენს განსაკუთრებულ ხასიათსა თუ ზნე-ჩვევებს ყოველთვის და ყველაფერში ვამტკიცებთ; და აი, მორიგი დადასტურებაც იმისა, თუ როგორი განსხვავებული ვართ ყველასგან: დაუვიწყარი და, მართლაც, ისტორიული სალამოს ნაცვლად... ცრუ სანახაობა ვიხილეთ! ნეტავ, სადმე თუ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს: **დიეგო არმანდო მარადონა** რომელიმე ქვეყანაში ბურთის გასაგორებლად ჩავიდეს და მის სანახავად გულშემატკივარი არ მივიდეს?!. პასუხი მზად გვაქვს: მხოლოდ აქ, ჩვენთან არის შესაძლებელი მსგავსი რამ და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდასაც, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების წინაშე მოუხდა გამოსვლა!..

...ეჭვი ცუდი რამ არის; ალბათ, უნდობლობა უფრო „მოუხდება“ მარადონას საქართველოში ჩამოსვლის ალბათობას. ჰო, ძალიან ბევრს კი არა, უმრავლესობას ბოლომდე არ სჯეროდა, რომ დიდი დიეგო თბილისში ჩამოვიდოდა. აეროპორტში რომ ცოტა ხალხი დახვდა (ჟურნალისტებს და ფოტორეპორტიორებს არ ვგულისხმობთ), ეგეც არ მოგვეწონა; ისიც, რომ ამ, მართლაც, ლეგენდას მხოლოდ ერთი-ორი ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური მდივანი დახვდნენ.

მერე ჭორიც გავრცელდა: თბილისში მარადონა კი არა, მისი... ორეული ჩამოვიდაო! აი, ეს უკვე „ქართული“ ხასიათებიდან იყო - უმრავლესობას, მართლაც, ვერაფრით წარმოედგინა ასეთი რანგის პიროვნების სტუმრობა. პრესკონფერენციაზე და ვარჯიშებზე ვინც ნახა, ისინი დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ „ნალდი“ და ცოცხალი მარადონა იხილეს; თუმცა, ზოგი იმასაც ამბობდა, სანამ უშუალოდ თამაშში არ ვნახავთ, მანამდე ვერ დავიჯერებთო. არა, ნალდად დიეგო იყო! თავისი ბობოქარი ბუნებით, ბურთთან ზღაპრული მოპყრობით და... უსამართლობასა და სიყალბესთან მებრძოლი!

...რა ახსნაც უნდა მოგვიძებნონ იმ, მართლაც, არშემდგარი სანახაობის ორგანიზატორებმა, ფაქტია, რომ არგენტინელი ვეტერანები (დიეგოს თამადობით) თამაშზე უარს აცხადებდნენ! მიზეზი, რა თქმა უნდა, ცარიელი ტრიბუნები იყო; ანდა, როგორ უნდა გავსებულიყო - მატჩის წინა დღეს ბილეთები რომ „გააიაფეს“ და 50 ლარამდე ჩამოიყვანეს, ჩვენი გაჭირვებული ხალხი იმას შესწვდებოდა? მანამდე ხომ, საერთოდ, კომიკური სიტუაცია იყო - ათლარიანი ბილეთების რაოდენობისა და „ბუნებაში არსებობის“ შესახებ ვერავინ ვერაფერი შეიტყო; მერე, 30-ლარიანი ბილეთები „მოდიოდა“ - ჩვენი თანამშრომელი, ესპანურ ფეხბურთზე მწერალი ჟურნალისტი ილია ნიკოლაიშვილი რომ სიამაყით გვიჩვენებდა მატჩის წინა დღეს. ახლა ადგილს არ იკითხავთ: ჩრდილეთ ტრიბუნის 30-ე რიგი. აღარაფერს ვამბობთ 100 და 150-ლარიან ბილეთებზე, ორგანიზატორთა აზრით, „ხელიდან რომ დაიტაცებდნენ“, სტადიონიც გაივსებოდა, ყველა ხარჯიც (მგზავრობა, სასტუმრო) გასტუმრებული იქნებოდა და, იქნებ, „ცოტა“ მოგებაც დარჩენილიყო?!.

...საქართველოსა და არგენტინის ვეტერანთა მატჩი 20 საათზე იყო დანიშნული. თან, უბრალო შეხვედრა ხომ არ არის - ეროვნულ სტადიონზე მსოფლიოს ყველა დროის ნომერ პირველმა ფეხბურთელმა (ამ სტრიქონების ავტორი ასე ფიქრობს) უნდა ითამაშოს. მოკლედ, თადარიგი ადრიანად დავიჭირეთ და საათ-ნახევრით ადრე სტადიონზე მივედით. როგორც ყოველთვის, პრესლოჟაში შესასვლელად უმკაცრესი შემოწმება გავიარეთ (ამ მხრივ ჟურნალისტები „განსაკუთრებულ პატივში“ ვართ) და ლამაზი სანახაობის მოლოდინში ვიყავით. ქართველები პუნქტუალობით არასდროს გამოირჩევიან და, როგორც წესი, მნიშვნელოვან მატჩებზე სტადიონი, მატჩის დაწყებამდე წუთები რომ რჩება, მაშინ ივსება ხოლმე. ახლაც ამის იმედი გვქონდა, მაგრამ...

შეხვედრის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მოთელვაზე ჩვენი ვეტერანები გამოვიდნენ. სანახევროდ კი არა, მეათედზე შევსებული ტრიბუნები ტაშით შეეგებნენ საქართველოს ყველაზე „ლამაზი“ ნაკრების ფეხბურთელებს: ძმებ **არველაძეებს, გიორგი ნემსაძეს, გოჩა ჯამარაულს, მურთაზ შელიას, კახა გოგიჩაიშვილს, გიორგი ჩიხრაძეს, გიორგი გახოკიძეს**. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხეს ამ, მართლაც, ბრწყინვალე თაობის სხვა წარმომადგენლებმა: **გიორგი ქინქლაძემ, თემურ ქეცბაიამ, კახა ცხადაძემ, მიხეილ ყაველაშვილმა**; სამაგიეროდ, სხვებიც ბევრი ვიხილეთ: **მიხეილ ჯიშკარიანი, ნიკა ჩხეიძე, ირაკლი ზოიძე, გია ფირცხალავა, გიორგი ლუდუშაური, გელა ინალიშვილი, ალექსანდრე რეხვიაშვილი, გიორგი ანჩაბაძე, გიორგი ლომაია, რატი ალექსიძე** და **ლევან ცქიტიშვილი**. ბოლო სამი დღესაც მოქმედი ფეხბურთელია, თუმცა მათი გამოჩენა არ გაგვკვირვებია, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს ნაკრების დღევანდელ წევრებზე: **დავით ოდიკაძეზე, გიორგი მერებაშვილზე, ლევან ხმალაძეზე, უჩა ლობჯანიძესა** და **გურამ კაშიაზე**. და, მთავარიც: მოედანზე გამოვიდნენ, მართლაც, დიდი „დინამოს“ სამი ბრწყინვალე ოსტატი, ქართული ფეხბურთის სამი ლეგენდა: **ალექსანდრე ჩივაძე, ოთარ გაბელია** და **თენგიზ სულაქველიძე**. რა, მწვრთნელები არ ვახსენოთ? ქართული ფეხბურთის ორი ბუმბერაზი და ტიტულოვანი მოთამაშე - **მურთაზ ხურცილავა** და **რევაზ ძოძუაშვილი** (ეს უკანასკნელი ჩვენების მთავარი მწვრთნელი იყო). ეგ კი არა, **ვლადიმერ გუცაევიც** კი ვიხილეთ - ქართული ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი, როგორც წესი, სტადიონზე იშვიათად ჩნდება. თუმცა, მარადონას ახლოდან ხილვა ხომ ყველას აინტერესებდა...

...უკვე 20 საათია, ჩვენები ისევ „ხურდებიან“, მოედნის მეორე ნახევარი კი... ცარიელია; მერე ჩვენებიც გასახდელში შევიდნენ და ტრიბუნებიდან სტვენაც გაისმა! რა მიხვედრა უნდოდა - სტუმრები, ფაქტობრივად, ცარიელ სტადიონზე თამაშს არ აპირებდნენ. ეს, მართლაც, შეურაცხმყოფელი წუთები იყო; მერე, სტადიონის დიქტორმა ყველა „დაგვამშვიდა“ და გვამცნო, რომ მატჩი 20 საათსა და 45 წუთზე დაიწყებოდა. არადა, გარეთაც არ იყვნენ უბილეთოები, რომ კარები გაეღოთ და ისე შემოეშვათ...

...20 საათსა და 40 წუთზე გუნდები მოედანზე მაინც გამოვიდნენ. კიდევ კარგი, ფოტო და ტელეკამერები უხვად იყო (რამდენი ფოტორეპორტიორი გვყოლია, ჩვენ კიდევ, არ ვიცოდით) და ამით მაინც ვაგრძნობინეთ მარადონას, თუ რაოდენ საპატიო სტუმარი გახლდათ. და აი, ორივე ქვეყნის ჰიმნების შესრულების მერე, ფიფას არბიტრის **გიორგი ვადაჭკორიას** (მთელი ცხოვრება იამაყებს - მარადონას მონაწილეობით მატჩი ვიმსაჯეო) სასტვენზე მატჩიც დაიწყო. სამწუხაროდ, სტუმრებმა პირველი წუთებიდანვე გვაგრძნობინეს, რომ არანაირი შოუ არ იქნებოდა: ისე გვეთამაშებოდნენ, თითქოს 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ყოფილიყოს. ჰო, არგენტინელები აშკარად განაწყენებულნი ჩანდნენ და ჩვენებს, მართლაც, თავბრუ დაახვიეს: მარცხნიდან **აკოსტა** გვატერორებდა, მარჯვნიდან - **ამატო**, წინა ხაზზე **კანიჯა** (როგორც საუკეთესო წლებში) შეუჩერებელი იყო, **ალმეიდაც** „თავის სტიქიაში“ იყო და ოთხი გოლიც ერთი-მეორეზე ლამაზი გაგვიტანეს. დიეგო? ერთი-ორჯერ „საფირმო“ პასი გააკეთა, ერთხელ ეფექტური „მაკრატელა“ დაარტყა, კუთხურის მისაწოდებლად რომ მიდიოდა, ტრიბუნებს ხელის აწევით მიესალმებოდა და ეს იყო. მოკლედ, აშკარად ვერ იყო შოუს ხასიათზე; ეგ კი არა, რამდენჯერმე გვერდითი მსაჯების (გოგონები იყვნენ!), მართლაც არასწორი გადაწყვეტილება ისე ენერგიულად გააპროტესტა, ნათელი გახდა - იმ სალამოს მეგობრული ფრე არ იქნებოდა! ჰო, მართლა, ოთარ გაბელიას სამი-ოთხი შთამბეჭდავი ნახტომიც არ დაგვავიწყდეს - 55 წლის მეკარემ ისეთი რეაქცია გამოავლინა, მის ბევრ უმცროს კოლეგას რომ შემურდებოდა. წესითა და რიგით, სხვა დანარჩენ ქართველ ვეტერანებზეც დაწვრილებით უნდა გვესაუბრა, მაგრამ ამ ცრუსანახაობამ ჩვენც არანაკლებ დაგვრთგუნა. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საუკეთესოები ჩვენს გუნდში გიორგი გახოკიძე (აშკარად ნაადრევად დაასრულა კარიერა), ლევან ცქიტიშვილი და გოჩა ჯამარაული იყვნენ. ისე, ალბათ, არც ის ფაქტი იყო შემთხვევითი, რომ მატჩის დასრულების მერე დიეგო მარადონამ საკუთარი მაისურა სწორედ ჯამარაულს გაუცვალა. დიეგო, ეტყობა, მართლაც ყველა „წვრილმანს“ აკვირდებოდა; ჰოდა, ალბათ, არ გამორჩა კიდეც „ჯამარას“ შენიღბული პასები თუ ბურთთან „რბილი“ მოპყრობა. მაგრამ, დიდ სტუმარს სხვა რამეც არ გამოეპარა: სანამ მეორე ტაიმი დაიწყებოდა, დაჟინებით მოითხოვა, რომ მოედნიდან სამი ქართველი ახალგაზრდა ფეხბურთელი (მერებაშვილი, კაშია, ლობჟანიძე) გაეყვანათ...

...ამ ზაფხულს შოთა არველაძე დიდი ფეხბურთიდან რომ გავაცილეთ, მართლაც, ლამაზი სანახაობა ვიხილეთ. ნუთუ, შაბათს არ შეიძლებოდა მსგავსი თუ არა, მიახლოებული მაინც მოგვეწყო?.. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქართველი თუ არგენტინელი ფეხბურთელების წარდგენას ხელს რალა უშლიდა? ახლა კი, სულ შევირცხვინეთ თავი და მეორე ტაიმის მერვე წუთზე (!) სტადიონის დიქტორმა სხაპა-სხუპით ჩამოთვალა მონაწილე ფეხბურთელები და ეგ იყო და ეგ. 65-ე წუთზე კი დიეგომ შეცვლა მოითხოვა, ისევ ფოტო თუ ტელეკამერების „ტყვეობაში“ აღმოჩნდა და სათადარიგოთა სკამზე გახევებული სახით მჯდომი ელოდა მატჩის დასრულებას. მერე „მეგობრობის თასი“ ჩაიხუტა (სტუმრებმა 5:3 მოგვიგეს) და დაგვემშვიდობა.

...მატჩის მიწურულს წვიმამ რომ დასცხო, ალბათ, მაინც ვერ „წაშლიდა“ ორგანიზატორების მიერ დაშვებულ არაერთ შეცდომას. სამწუხაროდ, ეს შეცდომა კი არა, სირცხვილი იყო - ფეხბურთის ლეგენდას აშკარად სხვაგვარი დახვედრა სჭირდებოდა...

**გია ტუხაშვილი**

მატჩის შემდეგ

### თენგიზ სულაქველიძე

- ბედნიერი კაცი ვარ, კიდევ ერთხელ რომ მომინია დიეგო მარადონას წინააღმდეგ თამაშმა. ვფიქრობ, კარგი თამაში იყო და გულშემატკივარიც კმაყოფილი დარჩებოდა.

### ოთარ გაბელია

- კანიჯა რაც ფეხბურთელობისას იყო, დღესაც იგივეა. მარადონამაც თავისებურად შეახსენა თავი გულშემატკივარს. ყველაზე კარგად აკოსტამ ითამაშა, სამი გოლი გაიტანა... სხვა რა ვქნა? სიტყვა შევასრულე და მარადონას გოლი არ გავატანინე (იცინის)... უხვგოლიან თამაშს ნამდვილად ველოდი. ეს სანახაობა იყო, რომელსაც გოლები ამშვენებს... ცოტა ხანს რატომ ვითამაშე? ჩემ გარდა, კიდევ სამი მეკარე იყო და მათაც ხომ უნდა ეთამაშათ?

### რევაზ ძოძუაშვილი

- ძალიან სასიამოვნო თამაში იყო. დღეს სტადიონზე ბევრი ბავშვი შევნიშნე და გამიხარდა. მათაც ისიამოვნეს და ახლა გარკვეული დასკვნები უნდა გამოიტანონ - ნახეს, თუ როგორ უნდა ითამაშონ ნალდი ფეხბურთი. მარადონამ, რომელიც ასაკოვანია, მაინც ბევრი ირბინა და იმუშავა. მომავალი ფეხბურთელებისთვის ეს მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს. კიდევ განმეორდება თუ არა მარადონა? დარწმუნებული ვარ, განმეორდება. მიშა მესხი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დათო ყიფიანი, ვიტალი დარასელია... მარადონაც განმეორდება. ღმერთი კიდევ მოგვივლენს ასეთ ტალანტებს. ტალანტები ახლაც არიან, მაგრამ მათ მოძიება და სწორი აღზრდა სჭირდებათ. რამდენს ვერ გამოუყენებია ღმერთისგან მომადლებული ნიჭი სიზარმაცის გამო? ნიჭიერები არ უნდა დაიკარგონ, მათ საკუთარ თავზე უნდა იმუშაონ და სამშობლოს, ფეხბურთს გამოადგნენ.

### კახი გოგიჩაიშვილი

- ეს მატჩი დიდხანს მემახსოვრება. დიეგო მარადონა ჩვენი თაობის კერპი იყო და მასთან თამაში მსოფლიოში ბევრისთვის დღემდე ოცნებაა. ჩვენ ეს ოცნება აგვიხდა და ამით უზომოდ ბედნიერი ვარ. დიეგო დღესაც დიეგოა, გამორჩეულად ითამაშა აკოსტამ, კანიჯაც გამოსარჩევი იყო...

### დავით ოდიკაძე

- ჩემთვის ეს თამაში იმდენად ბევრს ნიშნავს, რომ შესაძლოა, ფეხბურთს თავიც კი დავანებო... ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. ძალიან ბედნიერი ვარ. ის ოცნება ავისრულე, რომელიც დღემდე ბევრისთვის ოცნებად რჩება.

### გიორგი მერებაშვილი

- ვარსკვლავების გვერდით ვითამაშე. ამ მატჩის მონაწილე იყო მეგავარსკვლავი, ფეხბურთის მეფე დიეგო მარადონა. ჩემთვის წარმოუდგენელი რამ მოხდა... პენალტიც ავიკიდე, მაგრამ არგენტინელებს პროტესტი არ გამოუთქვამთ.

### რატი ალექსიძე

- ჩემთვის ეს თამაში ყველაფერს ნიშნავს, ერთ ცხოვრებად ღირდა. უზომოდ, უზომოდ ბედნიერი ვარ.

**დავით ცაგაძე**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo34@mail.ru

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიეგო მარადონა საქართველოში

პოსტფაქტუმ

# პროექტი კრახისთვის იყო განწირული

## ფაქტები და ოფიციალური ვერსია

გიხაროდენ, **დიეგო მარადონამ** თბილისში ითამაშა! **ნიკო პატარქალიშვილმა** დაუჯერებელი ამბავი სინამდვილედ აქცია, მაგრამ რასაც შოუ ჰქვია, არ გამოვიდა. იყო მარადონა და არ იყო ზეიმი. თურმე, ამასაც მოხერხება უნდა. მატჩი 45 წუთის დაგვიანებით დაიწყო და სტადიონზე მყისვე რამდენიმე ვერსია დასახელდა.

**პირველი**: მარადონამ ცარიელი ტრიბუნები რომ ნახა, იფიქრა, შეპირებულ თანხას, ალბათ, ვერ ავილებო;

**მეორე**: მარადონას გულზე შემოეყარა ის, რომ განვითარებად ქვეყანაში მატჩის ბილეთი 100 დოლარზე მეტი ღირდა;

**მესამე**: მარადონას არ უნდოდა თამაში ზოგიერთ, ნაკლებად ცნობილ ვეტერანთან და უცნობ ახალგაზრდებთან.

ცხადია, ოფიციალური მიზეზით დავინტერესდით და ამ კომერციული მატჩის გამჩარხავ პატარქალიშვილს მივმართეთ:

**- რატომ დაიწყო მატჩი დაგვიანებით? სხვადასხვა მიზეზი დასახელდა...**

- ტექნიკური მიზეზების გამო.

**- და რას გულისხმობთ „ტექნიკურ მიზეზებში"?**

- „თბილისობა" იყო და საცობების გამო, გუნდი სტადიონზე დროულად ვერ მივიდა.

**- კომერციული მატჩის კონტრაქტის დეტალები თამაშის წინ ირკვეოდაო, ასე თქვეს...**

- არა, ასე არ ყოფილა. შეფერხება მხოლოდ ტექნიკურმა მიზეზებმა გამოიწვია.

რამდენად დამაჯერებელია პატარქალიშვილის განმარტებანი, ცალკე საკითხია, მაგრამ მატჩი რომ სათანადოდ არ იყო ორგანიზებული, ვფიქრობ, საკამათო არ უნდა იყოს. აღმოჩნდა, რომ პატარქალიშვილი, ფაქტობრივად, მარტო შეეჭიდა თბილისში მარადონას ჩამოყვანასა და კომერციული მატჩის გამართვას. საინტერესოა, მან არ გაიკარა არავინ თუ სხვამ არ მოისურვა მასთან საქმის დაჭერა? სხვა რაღა უნდა იყოს? აქ ხომ მარადონაზეა ლაპარაკი და არა - საეჭვო პროდუქციის გასაღებაზე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ იყო უფლებამოსილი, ჩარეულიყო ამ საქმეში. უბრალოდ, როცა მარადონა ჩამოდის, ცოტა უხერხულიცაა, ასეთი მოვლენისგან განზე დგომა. ფედერაციის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტ **გოგი ქავთარაძეს** შევეხმიანეთ და ერთობ საყურადღებო ამბებიც შევიტყვეთ.

**- ჰქონდა თუ არა სურვილი ფედერაციას, მონაწილეობა მიელო ამ კომერციულ მატჩში?**

- ჩვენ გვქონდა ურთიერთობა პატარქალიშვილთან. მან შეგვატყობინა, რომ მარადონა თბილისში ჩამოჰყავდა და დახმარება გვთხოვა მხოლოდ ქართველ ვეტერანთა შეკრებაში. დანარჩენზე - ფინანსურ და ორგანიზაციულ საკითხებზე, პასუხისმგებლობა მან აიღო და ამაში არავინ ჩარია. ჩვენ მხოლოდ ისღა შეგვეძლო, მისთვის რჩევები მიგვეცა და ვეუბნებოდით კიდეც, რომ ბილეთის ფასი არარეალური იყო. მარადონა და არგენტინის ნაკრების დანარჩენი ფეხბურთელები რომ ჩამოვიდნენ თბილისში, მათი ვიზების ფული ფეხბურთის ფედერაციამ, კონკრეტულად კი გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გადაიხადა. ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით, მთელი ქვეყანა უხერხულ სიტუაციაში ვარდებოდა. რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, თუმცა თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ეს პროექტი კრახისთვის იყო განწირული.

**- და რა მოხდა მატჩის წინ? რამ გამოიწვია შეფერხება?**

- ფედერაციის წარმომადგენლები გასახდელთან ვიყავით და მხოლოდ ის შეგვეძლო, ფეხბურთელებისთვის გვეთხოვა, რომ მოედანზე გასულიყვნენ და ეთამაშათ. პრობლემა მარადონაში არ იყო, მისმა აგენტებმა გამოთქვეს შეშფოთება - მაყურებელი ბევრი რომ არ მოვიდა, შეპირებულ თანხას როგორ გადაგვიხდითო? როგორც შევიტყვეთ, მარადონას უთქვამს - ფინანსური საკითხები მერე გაირკვეს, სტადიონზე ხალხი მოვიდა, მეტოქე გუნდიც აქ არის და მოედანზე უნდა გავიდეთო. დანარჩენი ყველამ ნახეთ...

**დავით თავართქილაძე**



ქართველები თამაშის მოლოდინში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## რევაზ არველაძე:

# პრობლემები იყო პროექტის ორგანიზატორებსა და შუამავლებს შორის

მატჩის წინ მომხდარი გაუგებრობის თაობაზე საქმეში გარკვევა ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რევაზ არველაძეს ვთხოვეთ...

**- ჯერ შთაბეჭდილებებზე გვითხარით...**

- ამ თამაშში მონაწილეობა ჩემთვისაც უდიდესი ბედნიერება იყო... პენალტი? მე და ნემსაძემ სიხალისე, შოუს ელემენტები შევიტანეთ ამ სანახაობაში... შენ დაარტყამ, თუ მე დავარტყაო. ბოლოს შევთანხმდით, რომ პენალტი გაგვეთამაშებინა და არგენტინელებმა ეს გააპროტესტეს, მაგრამ ეს ისე, ერთგვარად მოვალეობის მოხდის მიზნით...

**- თამაში 45 წუთის დაგვიანებით დაიწყო, რამაც არაერთი ვერსია წარმოშვა. რა იყო ამის მიზეზი?**

- მატჩის დაწყებამდე გარკვეული პრობლემები იყო ამ პროექტის ორგანიზატორებსა და შუამავლებს შორის. რამდენადაც ვიცი, დიეგო მარადონამ თქვა, მე იმისთვის ჩამოვედი, რომ მოედანზე გავიდე და ვითამაშო, ხალხი სწორედ ამას ელოდებაო და გაიყვანა კიდეც გუნდი სათამაშოდ. მართალი გითხრათ, დეტალებში გარკვეული არ ვარ

**- არგენტინელებთან მიმართებაში ყველაფერი მოგვარებულია?**

- პრობლემის რეალური მიზეზი ნამდვილად არ ვიცი. პროექტის მომზადებაში, მოლაპარაკებებსა და გარიგებაში ფეხბურთის ფედერაციას მონაწილეობა არ მიუღია. ჩვენ სტუმრები უზრუნველვყავით ტრანსპორტით, სავარჯიშო ფორმითა და ბურთებით. ამას გარდა, ჩვენი ვეტერანების შეკრება-მომზადებასაც გავუკეთეთ ორგანიზება. მხოლოდ ეს იყო ამ საქმეში ფეხბურთის ფედერაციის წვლილი.

**- მარადონა კმაყოფილი წავიდა თუ...**

- ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ დიეგომ და მისმა თანაგუნდელებმა საქართველოში ხალხის სიყვარული და პატივისცემა იგრძნეს. არგენტინელებმა ღიმილით დატოვეს ეროვნული სტადიონი...

**დავით ცაბაძე**



ბექა გოცირიძე (მარცხნივ)

ზესტაფონი მოსალოდნელი ტრანსფერი

# გოცირიძე დაფასდა: მილიონი ზესტაფონს

## ილია კოკაია: მისი აყვანა დნეპრს სურს, მაგრამ...

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი **ბექა გოცირიძე** ახალი თაობის იმ ნიჭიერ წარმომადგენელთა შორისაა, რომელთა მიმართ დიდი ავანსია გაცემული. უელსსა და ბულგარეთთან მატჩებში 21 წლის ფორვარდმა დაამტკიცა, რომ **ექტორ კუპერი** ტყუილად არ ენდობოდა - უელსის ეროვნული გუნდი ბოლო წუთზე მის მიერ გატანილი გოლით დავამარცხეთ, ბულგარელებთან შეხვედრაში კი სწრაფმა და ტანმორჩილმა გოცირიძემ ორმეტრიან **ივან ივანოვს** საჰაერო ორთაბრძოლები მოუგო.

ბოლო ორ წელიწადში ბექამ ბევრჯერ მიიქცია უცხოელ სელექციონერთა ყურადღება. 2007 წლის დასაწყისში ნალჩიკის „სპარტაკში" ისინჯებოდა. ამ გუნდის მთავარ მწვრთნელ **იური კრასნოჟანს** მოეწონა კიდეც და მზად იყო, კონტრაქტი გაეფორმებინა, მაგრამ დანარჩენზე „სპარტაკის" ხელმძღვანელობას უნდა ეზრუნა. მაგრამ ნალჩიკელებმა „ზესტაფონს" სულ რაღაც 100 ათასი დოლარი შესთავაზეს, რაც მეტად არასერიოზული წინადადება იყო. რა თქმა უნდა, ქართველ ფეხბურთელებს უცხოეთში დიდი ფასი არ აქვთ, საქართველოს ნაკრები რეიტინგში არასახარბიელო პოზიციაზეა, წარმატებებს ვერც საკლუბო ფეხბურთში ვაღწევთ და ბუნებრივია, ეს სატრანსფერო ბაზრის მოთხოვნილებებსა და ფასებზეც აისახება. აგერ, ნიჭიერ გოცირიძეს „სპარტაკში" პირდაპირ კონტრაქტი კი არ შესთავაზეს, ჯერ სინჯებზე მიიწვიეს, და სხვათა შორის, არა მარტო რუსულ კლუბში. შარშან ბექა 2007 მეორე ბუნდესლიგის „აუეშიც" გასინჯეს, მწვრთნელს მოეწონა, მაგრამ კოჭი ამოუტრიალდა და საქართველოში დაბრუნებული, მთელი ორი თვე მკურნალობდა.

მას მერე ბევრი რამ შეიცვალა. დღევანდელი გადასახედიდან გოცირიძე თვლის, რომ „სპარტაკსა" და „აუეში" ტრანსფერის ჩაშლა ერთი მხრივ კარგიც იყო.

*„კარგი იყო იმით, რომ ფიზიკურადაც და მორალურადაც სწორედ ახლა ვარ უცხოეთში წასასვლელად უკეთ მომზადებული. მაშინ ასე ნამდვილად არ იყო, „ზესტაფონის" ძირითად შემადგენლობაშიც ვერ ვხვდებოდი, ხოლო სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა, მოგეხსენებათ, ფეხბურთელებზე ცუდად მოქმედებს. ახლა კი ნაკრებშიც მიმიწვიეს"* - ამბობს გოცირიძე.

ბულგარეთთან მატჩის შემდეგ მისით რამდენიმე უცხოური კლუბი დაინტერესდა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გოცირიძის ტრანსფერზე სერიოზული მოლაპარაკებებია გაჩაღებული „ზესტაფონსა" და „დნეპრს" შორის. ინფორმაციას ფეროელთა პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** დაგვიდასტურა: *„დიახ, ასეა. გოცირიძის მიმართ ინტერესი „დნეპრს" გაუჩნდა. თუმცა მხოლოდ უკრაინელები არ არიან, სხვა კლუბებიც აქტიურობენ".*

თავად ფეხბურთელი კი დასძენს: *„მეც მითხრეს, რომ „დნეპრია" დაინტერესებული. თუმცა კონკრეტულად მეტი არაფერი ვიცი. კონტრაქტით, „ზესტაფონში" კიდევ ერთი წელი უნდა ვიყო და წარმოდგენა არ მაქვს, გამიშვებენ თუ არა".*

„ლელოს" ინფორმაციით, „დნეპრი" მზადაა, „ზესტაფონისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელში მილიონი დოლარი გადაიხადოს. კოკაიას ამის თაობაზეც ვკითხეთ.

**- ბატონო ილია, უკრაინული კლუბი მილიონ დოლარს იხდის თუ ორ მილიონს?**

- არ უარვყოფ, რომ შემოთავაზება საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ მილიონია თუ ორი მილიონი, ამაზე საუბარს აზრი არ აქვს.

**- რატომ არ აქვს აზრი?**

- იმიტომ, რომ გოცირიძე „ზესტაფონს" სჭირდება და მის გაშვებას ჯერ არ ვაპირებთ.

კოკაიას დამოკიდებულება გასაგებია - „ზესტაფონი" ჩემპიონობისთვის იბრძვის და ასეთ ვითარებაში გოცირიძის გაშვება არ აწყობს. თუმცა ძნელი სათქმელია, უკრაინული ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერის შეთავაზებაზე უარი ტაქტიკური ნაბიჯია თუ მართლა - უარი.

ისე, ამტკიცებენ, რომ რეალურად „ზესტაფონი" ორ მილიონ დოლარს ითხოვს, „დნეპრი" კი მხოლოდ მილიონის გადახდაზეა ყაბულს. ნებისმიერ შემთხვევაში, მილიონი დოლარი საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელისთვის ერთგვარი „ჭერია", რომლის იქითაც, ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, მეტს ქართველებში არავინ გადაიხდის. გავიხსენოთ, შარშან იმავე „დნეპრმა" თბილისის „დინამოს" **სანდრო კობახიძეში** 800 ათასი დოლარი გადაუხადა. ანუ, იმის თქმა გვინდა, რომ უკრაინელებმა, თითქოს, უკვე დააწესეს ზედა ზღვარი ქართველი ფეხბურთელისთვის, რომელსაც ძნელად თუ გადაუხვევენ.

ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა. გოცირიძის თქმით, 28 დეკემბრის შემდეგ, როცა სეზონი დასრულდება, კლუბის ხელმძღვანელობას დაელაპარაკება და იმედოვნებს, რომ კლუბი წინსვლაში ხელს შეუწყობს.

*„სიმართლე გითხრათ, რუსეთსა და უკრაინაში წასვლის დიდი სურვილი ნამდვილად არ მაქვს. მირჩევნია, უფრო დაბალ ხელფასზე ევროპის რომელიმე ნორმალურ საფეხბურთო ქვეყანაში ვითამაშო, მაგრამ ყველაფერი ჩემს სურვილზე არაა დამოკიდებული. მთავარია, რაც შეიძლება მალე წავიდე უცხოეთში და იქნებ, ამან კარიერის აწყობის საშუალება მომცეს".*

**მერაბ მამულაშვილი**

***P.S. თავდაპირველად, ბექა გამოძახებული იყო იმ ნაკრებში, რომელსაც დიეგო მარადონას გუნდის წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. ის დიდი ხალისითაც ემზადებოდა, მაგრამ არგენტინელმა ლეგენდამ ახალგაზრდების მოედნიდან გაყვანა მოითხოვა.***

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

VII ტური

25.10. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 500 მაყურებელი

**მესხეთი-ვიტ ჯორჯია 0:1**

0:1 მელქაძე (50)

მესხეთი: სომხიშვილი - რაქვიაშვილი, გ. კვახაძე, კობესაშვილი (76. ინასარიძე), ლეკიშვილი - თაყაძე (52. სამადაშვილი), თედიაშვილი, გრიგალაშვილი, მემარნიშვილი, ახალაია - გონჩაროვი.

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, მურმანიშვილი, გაგუა, ყურულაშვილი*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, დ. ლომაია, ა. კვახაძე, ჯაფარიძე - კვალინიძე (37. მაისაშვილი), გ. მელქაძე, რაზმაძე, კლიმიაშვილი - ლიპარტია (73. სვანიძე), ვ. კვარაცხელია (87. ყველაშვილი).

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, ხურცილავა, ჯანელიძე, ფერიაშვილი*

გაფრთხილება: ლიპარტია (36), თაყაძე (52), ლომაია (60), მელქაძე (60, 80)

გაძევება: გონჩაროვი (64), მელქაძე (80)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

## მოხდა ის, რისიც ეშინოდა...

გულშემატკივარმა მატჩი ბორჯომიდან პირდაპირი ტრანსლაციით იხილა და ძნელია, რაიმეს დამატება. მთელი შეხვედრის განმავლობაში ახალციხელთა თამაშში ბზარი და გულგატეხილობა იგრძნობოდა. სადღა იყო არცთუ ისე შორეული წარსულის მონდომება, ენთუზიაზმი და სიხალისე?! „დინამოსთან“ სკანდალური მატჩის განწყობა-გამოძახილი აშკარად შეინიშნებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ რამდენიმე მოთამაშე მოედანზე ტრავმირებული გავიდა, **ლევან თედიაშვილს** კი ტემპერატურამ 38 გრადუსამდე აუწია. მოკლედ, მასპინძელთა მწვრთნელმა ძლივს მოახერხა სასტარტო შემადგენლობის შეკოწიწება.

რაც შეეხებათ თბილისელებს, ისინი სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ და მისცა თუ არა არბიტრმა თამაშის დაწყების ნიშანი, მოწინააღმდეგეს სწრაფადვე ეკვეთნენ. ახალციხელებმა მეტოქეს ნაჩვევი სქემა დაუპირისპირეს - გაამაგრეს დაცვის ცენტრი და **შოთა გრიგალაშვილის** აქტიურობის იმედით მოედნის შუაგულში უპირატესობის მოპოვებას შეეცადნენ. თუმცა ეს, თავის მხრივ, **ლუკა რაზმაძის** მეშვეობით „ვიტ ჯორჯიასაც“ ჰქონდა ჩაფიქრებული. ასე რომ, შუა ხაზში გრიგალაშვილისა და რაზმაძის საინტერესო დუელი ვიხილეთ. თავიდან ისინი ერთმანეთს პრესინგს ეთამაშებოდნენ, მერე და მერე კი ერთმანეთისთვის ხელის შეშლას შემოქმედებითი თამაში ამჯობინეს.

როგორც ყოველთვის, „მესხეთმა“ ინიციატივა დათმო და კონტრიერიშებზე ააგო თამაში. მაგრამ თავდასხმაში ეულად მყოფი **ბორის გონჩაროვი** მძიმედ და არადამაჯერებლად ირჯებოდა.

გოლამდე ბრძოლა თანაბარი იყო. არც ერთი გუნდი არ ბრწყინავდა. ისინი თითქოს ერიდებოდნენ ერთმანეთს. „ვიტ ჯორჯია“ ბორჯომელებმა ამ სეზონში უკვე მეორედ იხილეს. პირველად იყო, როცა „ვეტერინარებმა“ მათი საყვარელი გუნდი დაამარცხეს. მაშინ, **რამაზ მუმლაძის** გუნდის მიმართ ქების სიტყვები არ დაგვიშურებია. ამჯერად კი, რომ არა „მესხეთის“ მცველთა მიუტევებელი შეცდომა, დიდი იყო შანსი, თამაში ფრედ დასრულებულიყო. 50-ე წუთზე **გიორგი მელქაძე** მოულოდნელად აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ და გამარჯვების გოლიც გაიტანა.

ამის მერე ახალციხელები გაიხსნენ, შეტევებიც (თუ ამას შეტევები შეიძლება ეწოდოს) წამოიწყეს, მაგრამ ძალები არ ჰყოფნიდათ. ამას ისიც დაემატა, რომ მსაჯმა გინებისთვის გონჩაროვი გააძევა, რითიც „მესხეთის“ რიგები საბოლოოდ დაიქსაქსა. თბილისელებმაც დრო იხელთეს და ახალციხელთა კართან საგოლე მომენტებმა იმატა. მელქაძე კიდევ ერთხელ გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ წინა ეპიზოდისგან განსხვავებით, ამჯერად უგერგილოდ ითამაშა. ერთი წუთის შემდეგ კი ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა **ჯაბა ლიპარტია**, რომელმაც კარში დარტყმის ნაცვლად ბურთი მეტოქეს მიაწოდა.

მესხებს თამაშის გადარჩენის შანსი მიეცათ მას მერე, რაც მე-80 წუთზე მსაჯმა გოლის ავტორი მელქაძე მეორე გაფრთხილებისთვის გააძევა. მაგრამ ასევე გაძევებული გონჩაროვის ადგილზე გადასროლილმა თედიაშვილმა ვერ გაამართლა. ამრიგად, „მესხეთმა“ ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია.

მოკლე რეზიუმე: თამაში ქაოსურად, აზარტის გარეშე ჩატარდა. თუკი მაშინ, „ბორჯომთან“, ლიპარტია გამოირჩეოდა, ცდა არც ახლა დაუკლია, ბევრს მოძრაობდა, მაგრამ მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ამჯერად მთლად დამაკმაყოფილებელი არ იყო. თუ ვინმეს აღნიშვნა შეიძლება ამ უფერულ მატჩში, ვიტჯორჯიელი **ალექსანდრე კვახაძეა.**

**მატჩის შემდეგ**

**რამაზ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია):** „თამაში დაძაბული იყო. რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ გამარჯვებით, 3 ქულა მოვიპოვეთ და ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ, მაგრამ არ მომეწონა თამაშის ხარისხი. არბიტრმა დამაჯერებლად იმსაჯა, გოლი სადავო არ იყო“.

**კობა თედიაშვილი (მესხეთი):** „მატჩის წინ მთელი შემადგენლობა თავდაყირა დავაყენე, რომ როგორმე 11 ფეხბურთელისთვის მომეყარა თავი. მოხდა ის, რისიც მეშინოდა - მოედნის ცენტრი დავთმეთ და გოლიც აქედან მივილეთ. მაგრამ საერთო ჯამში ბიჭებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს. მათ ითამაშეს, რაც შეეძლოთ. მორიგი მატჩი ოთხი დღის შემდეგ, ზუგდიდში გვაქვს. ყველა ძველ უბედურებას ახლა გონჩაროვის დისკვალიფიკაციაც დაემატება. რაც შეეხება მსაჯობას - თამაში წავაგეთ, ფეხბურთელი გაგვიგდეს, სამადაშვილს ყვითელი ბარათი მისცეს... მაგრამ აუგს ვერ ვიტყვი, არბიტრმა საქმეს კარგად გაართვა თავი. მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავ“.

**ომაზ ჩხეიძე**
ბორჯომიდან

25.10. თბილისი. მ. მესხი. 100 მაყურებელი

**ლოკომოტივი-გაგრა 2:0**

1:0 სამხარაძე (15. ალექსიძის პასით), 2:0 სამხარაძე (85. ცქიტიშვილის პასით)

ლოკომოტივი: გ. ლომაია - ფოფხაძე, კაიშაური (70. მახარაძე), ფარულავა, სარალიძე (66. ბებუა) - ცქიტიშვილი, სამხარაძე, დარასელია - კახელიშვილი (88. ჩაგელიშვილი), ჩირიკაშვილი - ალექსიძე.

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, კაჭახიძე, კობიაშვილი, ი. გილაური.*

გაგრა: თევდორაძე - ქაჯაია, გიგაური, მგელაძე, გაბუნია - ჩარგეიშვილი, ტყეშელაშვილი, შარიქაძე (69. ჩხაიძე) - დათუნაშვილი (85. ფილია), გაბედავა - მეტრეველი (46. ძაგანია).

*სათადარიგოები: კოტრიკაძე, კვანტალიანი, ლალიანი, ცხადაია.*

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი

## კლასის კლასიკა



„გაგრისთვის“ ეს ზედიზედ მეოთხე ვერმოგებული მატჩი გამოდგა. რიხით დაწყებულ სეზონს **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა წარუმატებლობები მიაყოლა. „ლოკომოტივმა“ კი მიჯრით მეორე თამაში მოიგო და ლიდერებში მყარად დგას.

სტატისტიკა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმც ის ყოველთვის არ ასახავს იმას, რაც მოედანზე ხდება. სტატისტიკაა ანგარიში, ბურთის ფლობის ხანგრძლივობა, კარში და კარისკენ დარტყმების რაოდენობა, ვინ რამდენჯერ დაჯარიმდა და რამდენი კუთხური მოაწოდა... ეს ყველაფერი ითვლება, მაგრამ ფეხბურთში ყველაფრის დათვლა შეუძლებელია და ამიტომაც არის სტატისტიკა მხოლოდ დამხმარე საშუალება და არა უტყუარი საბუთი იმისი, რაც მოედანზე ხდება.

„ლოკომოტივმა“ ვერ ითამაშა თავისი საუკეთესო მატჩი, მაგრამ მაინც მოიგო. **გიორგი კიკნაძისა და ზაზა ზამთარაძის** გუნდმა გვიჩვენა კლასიკური ნიმუში, თუ როგორ ამარცხებს ერთი გუნდი მეორეს მხოლოდ კლასის ხარჯზე. სტატისტიკურ მონაცემებში ვერც ერთ გუნდს ვერ ექნებოდა დიდი უპირატესობა, მაგრამ კლასში ყველაფერი „ლოკომოტივის“ მხარეს იყო.

ახალგაზრდული ჟინი და მეტოქეზე მეტი მოძრაობა - ეს არის „გაგრის“ მთავარი იარაღი, მაგრამ ამ შეხვედრაში ამით ვერ გამოირჩა, მხოლოდ ეპიზოდებში ახერხებდა პატარა აფეთქებებს. სადღაც გაქრა ამ გუნდის უწინდელი შეუპოვრობა. „გაგრა“ ახალგაზრდული გუნდია და არასტაბილურობა მისთვის ჩვეულებრივი რამ უნდა იყოს, მაგრამ ძალიან კი გაუგრძელდა წარუმატებლობათა სერია...

ხაჩიძემ **გიორგი გაბედავა**, რომელიც მანამდე გამოკვეთილი ფორვარდის უკან თამაშობდა, მარცხენა გარემარბად გაამწესა, **ლევან შარიქაძე** კი მარცხნიდან ნახევარდაცვის ცენტრში შესწია. ასეთმა გადაადგილებამ „გაგრას“ ვერაფერი შემატა. ტაქტიკური ცვლილებების გარდა, ხაჩიძის არსენალში, ფაქტობრივად, არც არაფერი იყო - „გაგრას“ არ აქვს გრძელი სკამი და არ ჰყავს გამოცდილი ფეხბურთელები. აშკარაა, რომ თუ სეზონის მეორე ეტაპზე „გაგრა“ ახალი ფეხბურთელებით არ გაძლიერდება, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

უნაკლო გუნდს არც „ლოკომოტივი“ ჰგავს, თუმც ამ ძალებითაც შესწევს ჩემპიონობისთვის ბრძოლა. სხვა საქმეა, რომ მხოლოდ კლასის ხარჯზე ყოველთვის ვერ გაიმარჯვებ, ყველა მეტოქე არ მოგცემს ამის საშუალებას...

ახლა კი უშუალოდ მატჩზე. **რატი ალექსიძის** წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა **ვიტალი დარასელიამ** დაარტყა შორიდან და ოდნავ ააცილა მიზანს. „გაგრის“ კართან პირველი, ასე თუ ისე სახიფათო მომენტი, სწორედ ეს იყო, მეორე ცდაზე კი ყველაფერი „ლოკომოტივის“ სასიკეთოდ დასრულდა - საჯარიმოში შეჭრილმა ალექსიძემ ბურთი დაუგორა **ირაკლი სამხარაძეს**, რომელმაც არცთუ ძლიერად, მაგრამ ზუსტად დაარტყა - 1:0.

ამის მერე თამაში უფრო გაიხსნა და სახიფათო მომენტებიც აქეთ-იქით იქმნებოდა. **ზამირა დათუნაშვილმა** ზუსტად ჩააწოდა **თამაზ ჩარგეიშვილს**, რომელმაც უხეიროდ დაარტყა. სტუმართა ამ იერიშს მასპინძლებმა ასე უპასუხეს - **გიორგი კახელიშვილი** მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში და მისი დარტყმული **რევაზ თევდორაძემ** ფეხით მოიგერია.

ნელ-ნელა მცირე უპირატესობას „გაგრა“ დაეუფლა და რამდენჯერმე ძალიან მწვავედაც უჩხვლიტა მეტოქეს. გაბედავას უძლიერესი დარტყმა **გიორგი ლომაიამ** ხელებში შეიმაგრა; შემდეგ შარიქაძემ სცადა ოციოდე მეტრიდან გატანა და ლომაიამ ბურთი კუთხურზე მოიგერია; მერე ისევ გაბედავამ სცადა ბედი, მაგრამ წაკრების კიპერმა ბურთს თითები წაატანა და კვლავ კუთხურზე გადაუშვა. ერთი სიტყვით, „გაგრამ“ საკმაოდ ანერვიულა „ლოკომოტივი“, მაგრამ მის იერიშებს თითქოს მარილი აკლდა და ბურთიც ამიტომ არ შედიოდა მასპინძელთა კარში.

„ლოკომოტივმა“ ტაიმის მეორე ნახევარში მიაბჯინა მეტოქე დაცვას. **ირაკლი ჩირიკაშვილმა** იაქტიურა, ბურთი კახელიშვილს მიუვიდა და ახლოდან თევდორაძეს შეაწყვიტა ბურთი. მერე ალექსიძემ დაარტყა ოციოდე მეტრიდან და ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუფრინა შორეულ ძელს. ტაიმის მიწურულს კი დარასელიას ჰქონდა შანსი, მაგრამ მიზანში ვერ უმტყუნა.

მეორე ტაიმის პირველ წუთებში „გაგრა“ უფრო მონდომებული ჩანდა. დათუნაშვილმა მარჯვენა ფლანგზე ორი მეტოქე გააცურა, მაგრამ შეტევას კარგი გაგრძელება ვერ მოუძებნა. **ტყეშელაშვილი-გაბედავა-ძაგანიას** კომბინაციას „ლოკომოტივის“ საჯარიმოში არეულობა კი მოჰყვა, მაგრამ ეგ იყო და ეგ. მერე კი **გაბედავა-ძაგანიას** იერიში დათუნაშვილის არაზუსტი დარტყმით დასრულდა; **ზაზა ქაჯაიას** ჩაწოდებას გაბედავას არაზუსტი თავური მოჰყვა...

რა თქმა უნდა, ეს ცოტა არ იყო. შეიძლება ითქვას, რამდენიმე წუთი თამაში ცალ კარშიც მიდიოდა, მაგრამ კლასი, როგორც ზემოთ ვთქვით, მაინც „ლოკომოტივის“ მხარეს იყო. დარასელიას ჯარიმა თევდორაძემ კუთხურზე რომ მოიგერია, იმის სიგნალი იყო, რომ „ლოკომოტივი“ კიდევ იტყოდა თავის სიტყვას. თამაში გათანაბრდა და გუნდებმა სახიფათო მომენტები გაცვალეს - **დავით ჩხაიძის** დარტყმული ლომაიამ ხელებში ვერ შეიმაგრა, მაგრამ დამატებაზე ვერავინ იყოჩაღა; ალექსიძე მარჯვნიდან შეიჭრა „გაგრის“ საჯარიმოში, მაგრამ კარგად ვერ დაარტყა...

მატჩის ბედი ჯერ კიდევ სასწორზე იყო შეგდებული, როცა **ლევან ცქიტიშვილმა** კლასი გვიჩვენა - თავბრუ დაასხა „გაგრის“ დაცვას, ჩინებულად გაუჭრა პასი სამხარაძეს და 2:0. მატჩის მიწურულს „ლოკოს“ კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ საგოლე მომენტი ჩირიკაშვილმა ვერ გამოიყენა.

**დავით თავართქილაძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 8-3 | 16 |
| 2. ლოკომოტივი | 6 | 5 | 0 | 1 | 9-2 | 15 |
| 3. მგლები | 7 | 4 | 0 | 3 | 10-6 | 12 |
| 4. ზესტაფონი | 6 | 3 | 1 | 2 | 4-3 | 10 |
| 5. დინამო | 6 | 3 | 0 | 3 | 10-7 | 9 |
| 6. სიონი | 6 | 2 | 3 | 1 | 5-2 | 9 |
| 7. ბორჯომი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-11 | 8 |
| 8. გაგრა | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 9. მესხეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-7 | 5 |
| 10. ოლიმპი | 6 | 0 | 4 | 2 | 4-7 | 4 |
| 11. სპარტაკი | 6 | 1 | 0 | 5 | 4-12 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 5 |
| გ. თოდუა (მგლები) | 5 |
| ვაწაძე (დინამო) | 4 |

**VIII ტური**

**28 ოქტომბერი, სამშაბათი**

სიონი-დინამო
ბორჯომი-ზესტაფონი

**29 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

სპარტაკი-ლოკომოტივი
მგლები-მესხეთი
გაგრა-ოლიმპი

*ვიტ ჯორჯია ისვენებს*

## პირველი ლიგა

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| გაგრა 2-თბილისი | 3:2 |
| სიონი 2-ნორჩი დინამო | 1:1 |
| კახეთი-ვიტ ჯორჯია 2 | 0:3 |
| დილა-ჰერეთი | 0:0 |
| დინამო 2-ჩიხურა | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 9 | 6 | 2 | 1 | 21-7 | 20 |
| 2. ვიტ ჯორჯია 2 | 8 | 5 | 3 | 0 | 17-2 | 18 |
| 3. ამერი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-6 | 17 |
| 4. დილა | 8 | 4 | 2 | 2 | 13-6 | 14 |
| 5. დინამო 2 | 8 | 4 | 2 | 2 | 12-8 | 14 |
| 6. სიონი 2 | 8 | 2 | 3 | 3 | 13-22 | 9 |
| 7. გაგრა 2 | 9 | 2 | 2 | 5 | 13-20 | 8 |
| 8. თბილისი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-15 | 7 |
| 9. ნ/დინამო | 8 | 1 | 3 | 4 | 11-16 | 6 |
| 10. ჰერეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-15 | 6 |
| 11. კახეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 4-16 | 4 |

**მომდევნო ტური**

**29 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

ნორჩი დინამო-კახეთი

**30 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

ჰერეთი-დინამო2
თბილისი-სიონი2
ამერი-გაგრა2
ვიტ ჯორჯია2-დილა

*ჩიხურა ისვენებს*

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| ჭიათურა-ბაია | 1:2 |
| გურია-ხობი | 1:1 |
| კოლხეთი (ფ)-ზესტაფონი 2 | 4:0 |
| მეშახტე-მარტვილი | 1:5 |
| ტორპედო-ბათუმი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 8 | 6 | 1 | 1 | 14-4 | 19 |
| 2. კოლხეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 14-4 | 19 |
| 3. მარტვილი | 8 | 5 | 2 | 1 | 13-6 | 17 |
| 4. ჭიათურა | 9 | 5 | 1 | 3 | 17-7 | 16 |
| 5. სამტრედია | 8 | 4 | 1 | 3 | 12-7 | 13 |
| 6. ზესტაფონი 2 | 8 | 2 | 2 | 4 | 6-13 | 8 |
| 7. გურია | 8 | 2 | 3 | 3 | 10-14 | 9 |
| 8. ხობი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-10 | 9 |
| 9. ბათუმი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-17 | 8 |
| 10. ტორპედო 2008 | 8 | 2 | 1 | 5 | 3-6 | 7 |
| 11. მეშახტე | 8 | 0 | 1 | 7 | 5-22 | 1 |

**მომდევნო ტური**

**30 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

მერანი-ტორპედო2008
ზესტაფონი2-მეშახტე
ხობი-კოლხეთი ფოთი
ბაია-გურია
სამტრედია-ჭიათურა

*ბათუმი ისვენებს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი

# სუფთა ქართული ამბავი




ამისულაშვილს აძევებენ




გოგუას (მარჯვნივ) ამ დარტყმას გოლი არ მოჰყოლია

## კვირკველიას მიზნამდე მაქსიმუმ ექვსი ქულა აშორებს

**გასულ უქმეებზე კიდევ ორმა ჩვენებურმა მოიპოვა ტიტული - ნუკრი მანჩხავა და აკაკი ხუბუტია „კაუნასთან“ ერთად ბალტიის ლიგის გამარჯვებულები გახდნენ. რუსულ პრემიერლიგაში ერთი ქართული გოლი გავიდა: იაროსლავლში გოგიტა გოგუას ჩაწოდებას დავით სირაძე დროულად გამოეხმაურა. ჩვენებმა თავი კიდევ ოთხჯერ გამოიჩინეს. ეს გივი კვარაცხელიამ (ბელარუსი), ვლადიმერ დვალიშვილმა (ბალტიის ლიგა), რევაზ გენაძემ (აზერბაიჯანი) და გაგა თიბილაშვილმა (სომხეთი) მოახერხეს...**

### ყველაზე სუსტი

ბუნდესლიგაში **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** „შალკემ“ კვლავ დაკარგა ქულები - გელზენკირხენელებმა შინ ვერაფერი მოუხერხეს „არმინიას“ (0:0). კობიაშვილმა დაცვის მარცხენა ფლანგზე სრულად ითამაშა. „შალკე“ 14 ქულით მე-7 ადგილზე დაეშვა.

**ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე“ მიონხენგლადბახში დამარცხდა - 0:1. იაშვილი 79-ე წუთზე შეცვალეს. „კარლსრუე“ 9 ქულით მე-9 ადგილზეა.

II ბუნდესლიგაში **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენმა“ „ოსნაბრუკთან“ სტუმრად იმარჯვა - 2:0. ქართველ მცველს ტრავმა მოურჩენია - მან 52-ე წუთამდე ითამაშა. „მიუნხენი“ 13 ქულით მე-9 ადგილზეა. გაგაცნობთ ქართველთა გარჯის შეფასებებს „შპორტალისაგან“: **კობიაშვილი - 4.5; იაშვილი - 3; ღვინიანიძე - 3.** „შპორტალმა“ კობიაშვილს მატჩის „ყველაზე სუსტი მცველი“ უწოდა, იაშვილს კი აქტიურობა დაუფასა და თანაგუნდელები გაუკრიტიკა, რომელთაც მისი პასები ვერ შეიშნოვეს.

**კახა კალაძეს** ტრავმის გამო არ უთამაშია „ატალანტასთან“ სტუმრად მოგებულ (1:0) თამაშში. „მილანი“ 16 ქულით უკვე მეოთხეა. „პალერმოს“ კვლავ დააკლდა ტრავმირებული **ლევან მჭედლიძე**. ინგლისში სათადარიგოთა სკამზე დარჩა **ზურაბ ხიზანიშვილი**, რომლის „ბლექბერნიც“ შინ „მიდლსბროს“ დაუზავდა - 1:1.

### შტურმმა ექვსი დაამკვიდრა

ავსტრიაში ქართველთა „შტურმს“ ზედიზედ ორი მატჩია 6-6 გოლი გააქვს, თუმცა ამჯერად („ალტახთან“) გოლი არ გაუშვია - 6:0. „შტურმი“ 26 ქულით მესამე ადგილზეა. **გიორგი შაშიაშვილმა** და **ილია კანდელაკმა** 90-90 წუთი ითამაშეს.

დანიის პირველ დივიზიონში მეორედ წააგო „ვიბორგმა“, რომელიც „კოპენჰაგენს“ ესტუმრა - 1:2. დისკვალიფიკაციის შემდეგ „ვიბორგს“ **გიორგი ფოფხაძე** (90 წუთი) დაუბრუნდა.

ჩეხური გამბრინუსლიგის მე-11 ტურში „პლზენმა“ სტუმრად დაამარცხა „ბოჰემიანსი“ - 2:0. **დიმიტრი ტატანაშვილმა** ბოლო 3 წუთი ითამაშა. „პლზენი“ 12 ქულით მე-10 ადგილზეა. სლოვაკეთში „ნიტრა“ შინ 1:2 დამარცხდა „ზლატე მორავჩესთან“. **ირაკლი ლილუაშვილი** 54-ე წუთზე შეცვალეს. „ნიტრა“ 13 ქულით მე-9 ადგილზეა.

### სუფთა ქართული გოლი

19 000 გულშემატკივარი ოვაციებით აცილებდა „რუბინის“ ფეხბურთელებს - ყაზანურმა გუნდმა მორიგი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონობისკენ, დაამარცხა რა „კრილია სოვეტოვი“ - 3:0. ამ მოგების შემდეგ „რუბინს“ 57 ქულა გაუხდა და დარჩენილ ოთხ შეხვედრაში ტიტულისთვის 6 ქულა ჰყოფნის და ესეც იმ შემთხვევაში, თუ კონკურენტი ცსკა ყველა მატჩს მოიგებს. სამარელებთან მატჩში 90 წუთი გაისარჯა **დავით კვირკველია**. მან championat.ru-სგან შეფასებად 6 ბალი დაიმსახურა. **ლაშა სალუქვაძეს** არ უთამაშია. „რუბინის“ დუბლებში კი **ნუკრი რევიშვილი** არ გამოჩენილა.

ნალჩიკის „სპარტაკი“. აუტსაიდერ „შინიკს“ ეწვია და... მოულოდნელად 1:2 დამარცხდა. ამ შეხვედრაში **დავით სირაძემ** სეზონში მე-4 გოლი გაიტანა, ხოლო **ალექსანდრე ამისულაშვილი** ამ ჩემპიონატში პირველად გააძევეს. სირაძემ 43-ე წუთზე გახსნა ანგარიში. გოლი სუფთა ქართული გამოვიდა - **გოგიტა გოგუამ** ჩააწოდა, ხოლო უმეთვალყურეოდ დარჩენილ სირაძეს პრობლემა არ ჰქონია. მანამდეც ქართველ ფორვარდს შეეძლო გატანა, მაგრამ მე-14 წუთზე ბურთი ძელს გაარტყა. გოგუა 81-ე წუთზე შეცვალეს, championat.ru-მ მას 5.5 ბალი დაუწერა, სირაძეს - 6. ამისულაშვილს „ხუთიანი“ დაუწერეს. ქართველმა მცველმა მე-60 წუთზე პირველი ყვითელი ბარათი მიიღო, მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი - მეორე, შესაბამისად, მოედანიც დატოვა. ალეკომ წინა ტური ჩემპიონატში დაგროვილი ხუთი გაფრთხილების გამო გააცდინა. ახლა მას კვლავ მოუწევს დასვენება. „სპარტაკი“ 30 ქულით მე-10 ადგილზეა.

ვლადივოსტოკის „ლუჩს“ გავარდნის საფრთხე ემუქრება - **ლევან გვაზავას** გუნდმა უშუალო კონკურენტ „ხიმკისთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩი წააგო - 1:3. ახლა „ხიმკის“ 23 ქულა აქვს, ხოლო მის ნაცვლად გავარდნის ზონაში აღმოჩენილ „ლუჩს“ - 20. სტუმრებს ვერაფერი უშველა ნახევარდაცვის ლიდერმა გვაზავამ, რომელმაც ჩვეულად ვერ იაქტიურა. მიუხედავად ამისა, მას გუნდში საუკეთესო შეფასება - 5.5 დაუწერეს. **დავით მუჯირის** „ლოკომოტივი“ „ამკარს“ უქართველოდ დაუზავდა. რკინიგზელებმა 35 ქულა მოაგროვეს, რაც ლეისთვის მე-8 ადგილის ტოლფასია.

### ასათიანმა, გაგვიჭირდაო

კიევის „დინამო“ სიმფეროპოლს ეწვია და შინ 3 ქულა წაილო, თუმცა როგორც **მალხაზ ასათიანმა** უკრაინულ მედიას განუცხადა, ასე ძალიან „დინამოს“ კარგა ხანია არ გასჭირვებია. არადა, კიეველებმა „ტავრიას“ 3:1 მოუგეს. ასათიანმა შეუცვლელად ითამაშა. 79-ე წუთზე მისი დარტყმული კინაღამ მასპინძელთა კარის „ცხრიანში“ გაეხვია. „ტავრიის“ ფორვარდი **ვასილ გიგიაძე** 61-ე წუთზე ჩაერთო თამაშში, 10 წუთის შემდეგ კი **ლადო ბურდულიც** გამოჩნდა. „დინამო“ 31 ქულით პირველ ადგილზეა, „ტავრიას“ მხოლოდ 7 ქულა აქვს და ბოლოსწინაა. ამ ტურში არ უთამაშიათ **ჯაბა კანკავას** („დნიპრო“), **კახა მჟავანაძესა** („ჩერნომორეცი“) და **გიორგი ციმაკურიძეს** („ზარია“). ამათგან, განაცხადში ოდენ მჟავანაძე იყო. „დნიპროს“ დუბლებში ითამაშა **სანდრო კობახიძემ**, რომელსაც 4:2-ზე მოგებულ („ჩერნომორეცთან“) მატჩში მას თავი არ გამოუჩენია. **სანდრო გურულმა** 84 დაყო მოედანზე, ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ უგოლო ფრით დასრულებულ შეხვედრაში. ქართველმა თავად ითხოვა შეცვლა. „კარპატი“ 12 ქულით მე-11 ადგილზეა.

### მანჩხავამ და ხუბუტიამ ლიგა მოიგეს

რიგაში საფეხბურთო მატჩზე უჩვეულოდ ბევრი მაყურებელი მივიდა - 7 ათასი. ბალტიის თასის ფინალში ერთმანეთს „სკონტო“ და ლიტვის ჩემპიონი „კაუნასი“ შეხვდნენ. სტუმრებმა 2:1 იმარჯვეს და ტიტული მოიპოვეს. გამარჯვებულთა შორის 90-90 წუთი ითამაშეს **აკაკი ხუბუტიამ** და **ნუკრი მანჩხავამ.** პირველმა 56-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. 84-ე წუთზე სკონტოელმა **ვლადიმერ დვალიშვილმა** პენალტით ერთი გოლი გაქვითა, თუმცა ეს გამოცოცხლება დაგვიანებული აღმოჩნდა. დვალიშვილი მხოლოდ 66-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე. **დავით გამეზარდაშვილმა** კი სრულად ითამაშა და მე-60 წუთზე გაფრთხილებაც მიიღო.

· ლატვიის ვირსლიგაში უკვე გაჩემპიონებულმა „ვენტსპილსმა“ **თამაზ პერტიას** „დინაბურგი“ 1:0 დაამარცხა. **ზურაბ მენთეშაშვილს** და გუნდის ძირითად ბირთვს არ უთამაშია, სტუმართაგან კი დისკვალიფიკაციის გამო მატჩი **პავლე დათუნაიშვილმა** გამოტოვა. ფინიშამდე ორი ტურით ადრე „ვენტსპილსს“ 60 ქულა აქვს, „დინაბურგს“ - 38 (IV ადგილი). მეორე ეშელონში (VII-X ადგილები) **ირაკლი ქორთუას** „ბლაზმა“ შინ 1:3 დამარცხდა „იურმალასთან“. ქართველმა 90 წუთი ითამაშა. „ბლაზმა“ 21 ქულით ბოლოსწინა, IX ადგილზეა.

ტირასპოლში, უშუალო კონკურენტთა მატჩში, „შერიფმა“ „დაჩია“ 2:0 დაამარცხა და ლიდერობა გაიმყარა. ამ შეხვედრაში სამმა ქართველმა ითამაშა: მასპინძელთა რიგებში კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა**, ხოლო სტუმრებში - **სერგი ორბელაძემ** და **ლევან კორლალიძემ** (ჯაბა დვალი ტრავმირებულია). „შერიფი“ 36 ქულით პირველია. ის „ზიმბრუს“ 3 ქულით უსწრებს, „დაჩიას“ კი უკვე შვიდით. „ზიმბრუ“ ბენდერიში მოულოდნელად დამარცხდა (1:2) იქაურ „დინამოსთან“. **მამუკა ლომიძემ** სტუმართა შორის 90 წუთი ითამაშა.

### კვარაცხელიას კვლავ გააქვს

ბელარუსის უმაღლეს ლიგაში თავი გამოიჩინა **გივი კვარაცხელიამ**, რომლის „მტზ-რიპომ“ მოგილიოვში „სავიტს“ 2:1 სძლია. 64-ე წუთამდე ქართველმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაანიავა, ბოლოს კი ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა და ანგარიში გაათანაბრა. ამ გუნდების დუბლიორთა მატჩში, რომელშიც „მტზ-რიპომ“ 2:0 გაიმარჯვა, მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **დიმიტრი გერგიშვილმა**, სტუმრებში კი შესვენების შემდეგ **ირაკლი მაისურაძე** გამოჩნდა. „მტზ-რიპო“ 54 ქულით მესამე ადგილზეა.

სომხურ ლიგაში კიდევ ერთი ქართული გოლი გავიდა - კაპანის „განძასარის“ ნახევარმცველმა **გაგა თიბილაშვილმა** 48-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში „მიკასთან“ გასვლით შეხვედრაში - 1:1. „განძასარი“ 42 ქულით მეოთხე ადგილზეა. ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. აზერბაიჯანში, როგორც იქნა, გაიმარჯვა **კახა ცხადაძის** „სტანდარდმა“, რომელმაც „კაბალა“ 2:0 დაამარცხა. ამ ტურში მხოლოდ ერთი ქართული გოლი გავიდა - ზედიზედ მეორე ტურია, **რევაზ გენაძე** („ოლიმპიკი“) მოედნიდან უგოლოდ არ გადის.

ყაზახეთის ჩემპიონატის 28-ე ტურში „კაისარი“-“აქტიობე“ 0:0 დასრულდა. **ლაშა ჭელიძეს** მცირე ტრავმა ჰქონდა, თუმცა ის მაინც იჯდა მასპინძელ სარეზერვოებს შორის. „კაისარი“ 48 ქულით მე-4 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ასათიანი ნელ-ნელა ჩვეულ ფორმას იბრუნებს



იაშვილმა (მარჯვნივ) და კარლსრუემ მიონხენგლადბახში წააგეს

იტალია. სერია A. VIII ტური

# ეტყობა, ბიჭები ჯერ კარგად არ მიცნობენ...

## მოურინიო ფეხბურთელებს დაემუქრა. სერია A-ში ტრიუმვირატი ლიდერობს




უდინეზე პირველ ადგილზეა

კრიზისი დაძლეულიაო, თქვა ნამატჩევს **კარვალიო ამაურიმ**, რომელიც ტურინული დერბის გმირად იქცა. **კლაუდიო რანიერიმ** კი ამ მძიმე დღეებში არ მინერვიულია, ვიცოდი, რომ სწორი გზით მივდიოდითო. ვერ დავუჯერებთ პატივცემულ მწვრთნელს, თუნდაც იმიტომ, რომ სამუშაოს დაკარგვის საფრთხე რანიერის თავზე დამოკლეს მახვილივით ჩამოეკიდა. მოდი და, ნუ ინერვიულებ, როცა ავტორიტეტულ გაზეთში კითხულობ, რომ „იუვეს“ უფროსებმა **რობერტო მანჩინისთან** ერთად ივახშმეს...

მართლაც და, თითქოს კრიზისი უკან დარჩა - ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ „იუვენტუსმა“ „რეალსა“ და „ტორინოს“ სძლია. რანიერიც ამიტომ აჭიკჭიკდა სხვა ნოტაზე. მართალია, „სინიორამ“ ცოტა თვალში გამოიხედა, მაგრამ გუნდს დამშვიდების უფლება ჯერ არ აქვს, მით უმეტეს, რომ „ტოროსთან“ კვლავ უსახურად ითამაშა...

ხარისხი რომ არ იყო, გასაგებია - „იუვეს“ ხუთი წამყვანი მოთამაშე აკლდა. თავის მხრივ, უზომოდ მოტივირებული იყო „ტორინო“, რომელიც ბოლო ხუთ მატჩში მხოლოდ ერთ ქულას შესწვდა, დერბიში კი მთელი 13 წელია, არ გაუმარჯვია. რანიერის არ იყოს, მისი კოლეგა **ჯანი დე ბიაზიც** ნიჩაბზე ზის. ვეჭვობთ, კლუბის პრეზიდენტმა **ურბანო კაირომ** მწვრთნელს მაინცდამაინც „იუვენტუსთან“ წაგების გამო მიუთითოს კარისკენ, თუმც ნათელია, რომ მომავალი მატჩი (შინ, „ატალანტასთან“) დე ბიაზისთვის ნამდვილად გადამწყვეტი იქნება...

პირველ ტაიმში „იუვენტუსს“ დიდებული საგოლე შანსი ჰქონდა - **დელ პიერო** მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში და **მარკიონი** მოძებნა, მაგრამ **კალდერონმა** ამ უკანასკნელს ორივე დარტყმა აულო. საპირისპირო მხარეს კი მის კოლეგა **მანინგერს** ორი სერიოზული ლაფსუსი მოუვიდა, მაგრამ **ბიანკიმ** ორივე მომენტი ჩააფლავა. და კურიოზი, რომელიც პირველი ტაიმის მიწურულს მოხდა - ტრავმირებული **გრიგერას** ნაცვლად მოედანზე შესასვლელად **სალიჰამიჯიჩი** გაემზადა, მაგრამ მცირე მოთელვისას ისიც დაშავდა და რანიერიმ **მელბერგს** უხმო...

დაიწყო მეორე ნახევარი და 120 წამში „იუვენტუსმა“ ანგარიში გახსნა - **როზინამ** მოედნის ცენტრში დაკარგა ბურთი, რომელსაც ამაური დაეპატრონა, საჯარიმომდე ათრია და **დი ლორეტოსთან** ჭიდილში კალდერონს ახლო კუთხესთან გაუძვრინა - 1:0. ამის მერე თამაში შედარებით თვალსასეირო გახდა, თუმც მომენტების სიმრავლით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. გვახსენდება შეცვლაზე შესული **აბრუსკატოს** თავური, რომელმაც ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა. ამას გარდა, „იუვენტუსი“ ორჯერ ითხოვდა 11-მეტრიანს, მაგრამ არბიტრისგან ორივეჯერ უარი მიიღო.

„სიენა“ მოგებას იმსახურებდა „კატანიასთან“ საშინაო მატჩში, მაგრამ **ვალტერ ძენგას** „სპილოები“ **მასკარას** პენალტით ქულას გამორჩნენ. ტოსკანელი მასპინძელი განსაკუთრებით პირველ ტაიმში დომინირებდა, როცა არა ერთხელ შეეძლო **ბიცარის** დამწუხრება, მარტო **მაკარონემ** სამი ასპროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან... სურათი დიდად არც მეორე ტაიმში შეცვლილა. სიცილიელებმა მეტოქე პირველად 65-ე წუთზე შეაწუხეს, როცა **პაოლუჩის** დარტყმული **კურჩიმ** გაჭირვებით მოიგერია. მოგვიანებით, პაოლუჩიმ შური იძია - კურჩისთან მარტოდ დარჩენილმა, მეკარეს შეცდომა დააშვებინა. პენალტი გარდაუვალი იყო და აკი გითხარით, მასკარამ იხეირა კიდეც. მანამდე კი ვნახეთ „სიენას“ ალალი გოლი იყო, თუმც მასპინძელი ამით მხოლოდ 5 წუთი ტკბებოდა...

„ინტერმა“ შინ კაცნაკლულ „ჯენოას“ ვერ მოუგო. გენუელებისთვის ეს პირველი ფრე იყო ამ სეზონში, „ნერაძურისთვის“ კი ბოლო 60 საშინაო შეხვედრის შემდეგ - პირველი უგოლო მატჩი. **ჟოზე მოურინიო** სიბრაზისგან გმინავდა. „ინტერში“ მისვლის შემდეგ მას ესოდენ მკაცრი განცხადება არ გაუკეთებია. ცხადია, „რომასთან“ შთამბეჭდავი გამარჯვების (4:0 „ოლიმპიკოზე“) მერე „ჯენოასთან“ საკუთარ მოედანზე ქულების დაკარგვა ადვილი გადასატანი არ იყო. მოდით, ჟოზეს კომენტარს გავეცნოთ:

*„მინდა, ჩემი ფეხბურთელები აკეთებდნენ იმას, რასაც მათგან ვითხოვ. ეტყობა, ისინი კარგად არ მიცნობენ. მე ყოველთვის გამარჯვებებსა და პროგრესს ვესწრაფვი. თუმცა დღეს არ მსურს რომელიმე კონკრეტულ ფეხბურთელზე ლაპარაკი, რადგან ეს არ ზის ჩემს მენტალიტეტში. გუნდზე პასუხისმგებელი მხოლოდ მე ვარ. წინ ოთხშაბათის მატჩია და წინასწარ შემიძლია გითხრათ, რომ შემადგენლობაში სიურპრიზები იქნება“.*

მოკლედ, ასეთი ამბავია. „ინტერმა“ ლიდერობა დათმო. ისე, ბოლო წუთზე **ვანდენ ბორეს** დარტყმული მილიმეტრებში ასცდა მიზანს, თორემ ჟოზეს სამწყსო სულაც უქულოდ დარჩებოდა და მწვრთნელის რისხვა მერე გენახათ. მაგრამ არ გვგონია, **მასიმო მორატისთვის** მთავარი ის იყოს, **ადრიანომ** ჩააგდო თამაში, **იბრაჰიმოვიჩმა** თუ სხვამ - ის პასუხს მოურინიოს მოსთხოვს.

ალბათ დროა, პასუხი მოსთხოვონ **ლუჩანო სპალეტისაც**. „რომა“ ხელიდან წავიდა. ვიცე-ჩემპიონი გუშინ უდინეშიც დამარცხდა, ქალაქში, სადაც სპალეტიმ ერთ დროს ნაყოფიერად იმუშავა და „რომას“ სკამი დაიმსახურა. ბოლო სამ ტურში „ჯალოროსის“ მაჩვენებლები სავალალოა - სამი წაგება და ბურთების კოშმარული ბალანსი - 1:8. ძნელი სათქმელია, რა არის ფიასკოს მიზეზი. ბოლო 3 წლის განმავლობაში სპალეტი ერთთავად სკუდეტოსთვის ჭიდაობდა, მაგრამ ვერას გახდა. ნათელია, რომ ეს ოცნება მას ვერც ამ სეზონში აუხდება. ეტყობა, „რომაში“ მან შესაძლებლობები ამოწურა. იტალიაში უკვე ფიქრობენ, რომ **როზელა სენსიმ** ახალი მწვრთნელი უნდა მონახოს. სპალეტის ყოველთვის ჰქონდა რალაც არგუმენტი - მაგალითად, წამყვან მოთამაშეთა (პირველ რიგში ეს **ტოტის** ეხება) გაუთავებელი ტრავმები. ამჯერად, ის ხელს არბიტრისკენ იშვერს: *„გადამწყვეტი იყო პირველი პენალტი, რომელიც მსაჯმა მოიგონა, ჩვენ სათადარიგოთა სკამიდან დავინახეთ, რომ წესის დარღვევა საჯარიმოს გარეთ მოხდა“.*

რა გითხრათ... რკინის არგუმენტიათქო, ვერ ვიტყვით, მაგრამ არბიტრის შეცდომა, როცა ეს შედეგზე მოქმედებს, მზად ვართ, გავუგოთ მწვრთნელს. ამბობენ, რომ ის დღეს კლუბის ხელმძღვანელობას უნდა შეხვდეს, თუმც ოთხშაბათს ტურია და რადიკალურ ზომებს არ უნდა ველოდეთ. „სამპდორიასთან“ მატჩი კი ეგებ გადამწყვეტიც იყოს სინიორ სპალეტისთვის.

„უდინეზემ“ კი ბრწყინვალედ ითამაშა და ცხრილის სათავეში მოექცა. ფრიულის კრებული ლიდერობას „ინტერსა“ და „ნაპოლისთან“ იყოფს. რაც შეეხება სხვა მატჩებს, ალსანიშნავია „მილანის“ გასვლითი მოგება ბერგამოში, სადაც **ბორიელოს** შემწეობით გამარჯვების გოლი **კაკამ** „გამოაცხო“. **კარლო ანჩელოტის** თქმით, „მილანმა“ თუნდაც იმიტომ დაიმსახურა გამარჯვება, რომ ბოლომდე იბრძოლა. ამით, კარლეტომ სანახევროდ აღიარა, რომ თამაშის ხარისხით უკმაყოფილო დარჩა.

ბრწყინვალე სტარტის შემდეგ „ლაციოს“ ჩავარდნა დაეწყო. **დელიო როსის** გუნდს მესამე ტურია, არ მოუგია (ზედიზედ ორი მარცხი). გოლები ველარ გააქვს **სარატესაც**, რომელსაც, ეტყობა, მცველებმა გასაღები მოუძებნეს. ამჯერად, „ლაციალე“ შინ „ნაპოლისთან“ დაყარა ფარ-ხმალი. ისე კი, კაცმა არ იცის, როგორც დამთავრდებოდა თამაში, პირველი ტაიმის ბოლოს **მაურის**, კარიდან ერთ მეტრში, მეკარისთვის რომ არ მოერტყა ბურთი.

ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო „კალიარიმ“, რომელსაც მესამე მატჩია, გოლი არ გაუშვია. „სამპდორიამ“ და „რეჯინამ“ კი აქტივში პირველი გამარჯვებები გაიფორმეს. „რეჯინას“ ამისთვის ორი პენალტი დასჭირდა, თუმც თავს ვერავინ დადებს, რომ ორივე ასპროცენტიანი იყო. სხვათა შორის, არბიტრმა სტუმართა კარში 11-მეტრიანი პირველ ტაიმშიც დანიშნა, მაგრამ ლაინსმენთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა, მერე კი „ვალი“ ორმაგად დააბრუნა.

**გიორგი ბელაშვილი**

### მომდევნო ტური

29 ოქტომბერი. **კიევო-ლაციო, მილანი-სიენა, ფიორენტინა-ინტერი, ნაპოლი-რეჯინა, ბოლონია-იუვენტუსი, ჯენოა-კალიარი, რომა-სამპდორია, კატანია-უდინეზე, ლეჩე-პალერმო, ტორინო-ატალანტა.**

### სიენა-კატანია 1:1

**სიენა:** კურჩი-5, როსეტინი-6, ფიკანია-6 (80. მოტი), პორტანოვა-6, დელ გროსო-6.5, ვერგასოლა-6, კოდრეა-6, გალოპა-6, ხარჯა-6 (77. იაროლიმი), გეზალი-6.5, მაკარონე-6.5 (53. კალაიო-7).

**კატანია:** ბიცარი-6.5, ალვარესი-5.5 (86. სტოვინი), სილვესტრე-6, ტერლიცი-5.5, სილვესტრი-5.5, ლამა-5.5 (45. ჯაკ. ტედესკო-5.5), კარბონი-5 (54. მასკარა-6), ბიაჯანტი-5.5, იცკო-5.5, მარტინესი-5, პაოლუჩი-5.

**გოლები:** 1:0 კალაიო (75), 1:1 მასკარა (80-პენ)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 14-2; **ჯარიმა:** 11-16; **თამაშგარე:** 3-7; **კარში დარტყმა:** 28-4 (11-2); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 9 500

### იუვენტუსი-ტორინო 1:0

**იუვენტუსი:** მანინგერი-5.5, გრიგერა-6 (45. მელბერგი-6), ლეგროტალიე-7, კიელინი-6.5, მოლინარო-6.5, მარკიონი-6, სისოკო-5.5, ნედვედი-6, დე ჩელიე-6 (63. ჯოვინკო-6), დელ პიერო-5.5, ამაური-7 (80. იაკვინტა).

**ტორინო:** კალდერონი-5.5, დიანა-6, დი ლორეტო-5, ნატალი-5.5, მ. პიზანო-5.5, აბატე-6, პ. ძანეტი-6, ბარონე-5, რუბინი-6 (57. აბრუსკატო-6), როზინა-6 (82. ვენტოლა), ბიანკი-5.

**გოლი:** 1:0 ამაური (48)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 19-25; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 11-9 (5-0); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 22 114

### ინტერი-ჯენოა 0:0

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6.5, მაიკონი-6.5, კორდობა-5.5, ბურდისო-6, კივუ-5.5, ხ. ძანეტი-6, სტანკოვიჩი-6, მუნტარი-5.5 (55. კრუსი-5.5), კვარეშმა-5.5 (46. ობინა-6.5), იბრაჰიმოვიჩი-6.5, ადრიანო-6 (46. ბალოტელი-5.5).

**ჯენოა:** რუბინიო-6, პაპასტატოპულოსი-6, ფერარი-6, ბიავა-6.5, მესტო-7, ტ. მოტა-6.5, მ. როსი-6 (83. ბოკეტი), იურიჩი-5, კრიშიტო-5.5, სკული-6 (64. ვანდენ ბორე-6), მილიტო-6 (78. იანკოვიჩი-6).

**გაძევება:** იურიჩი (60. ჯენოა)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 15-12 (2-5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 62 224

### ლაციო-ნაპოლი 0:1

**ლაციო:** კარისო-6.5, ლიხტშტაინერი-6 (87. დე სილვესტრი), სივილია-6, როზენალი-5.5, რადუ-5, ბროკი-5.5 (80. ს. ინძაგი), კ. ლედესმა-5, კ. მანფრედინი-5.5 (62. ფოჯა-5), მაური-5, პანდევი-6.5, სარატე-5.

**ნაპოლი:** იეცო-6.5 (66. ნავარო-6.5), სანტაკროჩე-6, რინაუდო-6, არონიკა-6.5, მაჯო-7, ბლაზი-6, გარგანო-6.5, ჰამშიკი-6, მანინი-6 (65. კონტინი-6), დენისი-6.5 (80. სალაიეტა), ლავეცი-7.5.

**გოლი:** 0:1 სივილია (61-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 26-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 18-8 (5-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 20 000

### ატალანტა-მილანი 0:1

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-6, დარიჩი-7, ტალამონტი-6.5, თ. მანფრედინი-6, ბელინი-6.5, პინტუ-6.5 (84. ხ. ვალდესი), ჩიგარინი-5 (74. დე აშენტისი-5.5), გუარენტე-7, პადოინი-6.5 (84. ჩერჩი), კ. დონი-6.5, ფლოკარი-6.5.

**მილანი:** აბიატი-6, ძამბროტა-5, ბონერა-5, მალდინი-6, იანკულოვსკი-5, ამბროზინი-6, გატუზო-5.5 (90. ანტონინი), ფლამინი-5 (30. ემერსონი-6.5), კაკა-6.5, რონალდინიო-6 (69. პატო-6), ბორიელო-7.

**გოლი:** 0:1 კაკა (80)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 2-0; **ჯარიმა:** 21-26; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 14-6 (ნ-1); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 24 000

### უდინეზე-რომა 3:1

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-6.5, ფერონეტი-6 (28. მ. მოტა-6), ა. კოდა-6.5, დომიცი-6.5, ლუკოვიჩი-6.5, ინლერი-6.5, გ. დ'აგოსტინო-6, ისლა-6, პეპე-5.5, ფლორო ფლორესი-7 (76. კვალიარელა), დი ნატალე-7.5 (83. სანჩესი).

**რომა:** ა. დონი-5, სისინიო-5, ლორია-5 (46. პისარო-5.5), პანუჩი-5.5, ტონეტო-5.5, დე როსი-5.5, ბრიგი-5, ტადეი-5 (62. მენეზი-6), პეროტა-5.5, ვუჩინიჩი-5 (84. მონტელა), ტოტი-5.5.

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (10-პენ), 2:0 ფლორო ფლორესი (22), 3:0 დი ნატალე (51), 3:1 ტოტი (74-პენ)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 2-9; **ჯარიმა:** 25-13; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 12-24 (7-8); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 21 000

### სამპდორია-ბოლონია 2:0

**სამპდორია:** კასტელაცი-6, გასტალდელო-6.5, აკარდი-6.5, ბოტინელი-5.5, პადალინო-6.5, დელვეკიო-7 (73. დესენა), სამარკო-6, დ. ფრანჩესკინი-6.5, პიერი-6, ბელუჩი-7 (80. ბონაცოლი), კასანო-6.5.

**ბოლონია:** ანტონიოლი-7, ძენონი-5, მარკინი-5 (61. ვალიანი-5.5), ტერცი-5.5, მორასი-6, ბომბარდინი-6, მინგაცინი-5.5, ვოლპი-6, ლანა-5.5 (77. ადაილტონი), დი ვაიო-6, ბერნაჩი-5 (63. მარაცინა-5).

**გოლები:** 1:0 დელვეკიო (63), 2:0 ბელუჩი (73)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 9-6; **ჯარიმა:** 19-21; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 22-6 (9-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 22 000

### რეჯინა-ლეჩე 2:0

**რეჯინა:** პუჯონი-6, ლანძარო-6.5, ჩირილო-6.5, კ. ვალდესი-6, ბარეტო-7, ვიჯანი-8, კარმონა-6.5, კოსტა-6.5, ბრიენცა-6 (82. ტონიოცი), კოცა-6.5 (60. დი ჯენარო-6), კორადი-7.

**ლეჩე:** ბენუსი-6.5, პოლენგი-6, სტენდარდო-5.5, ფაბიანო-6, ა. ესპოზიტო-5 (65. ჯულიატო-4.5), ჯაკომაცი-6.5 (72. კაჩა-5), არდიტო-6, არიატი-5, კაზერტა-6.5, კასტილიო-6 (46. კონანი-5.5), ტირიბოკი-6.

**გოლები:** 1:0 კორადი (59-პენ), 2:0 კორადი (90-პენ)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 17-27; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 14-12 (3-3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 11 500

### კალიარი-კიევო 2:0

**კალიარი:** მარკეტი-6, ფ. პიზანო-6.5, ლოპესი-7, ბიანკო-7, აგოსტინი-6, ფინი-7.5 (90. ბურაი), კოსუ-6, ბიონდინი-7 (77. პაროლა), ლაძარი-6.5, ჟედა-6, აკვაფრესკა-7 (65. მატრი-6.5).

**კიევო:** სორენტინო-6, ნ. ფრეი-5.5, მანდელი-5.5, იეპესი-6, სკარდინა-5, პინცი-5 (61. ლუსიანო-5.5), იტალიანო-5.5, ბენტივოლიო-5, მარკოლინი-5.5 (78. დ'ანა), პელისიერი-5, მ. ესპოზიტო-5 (56. ბოგდანი-5.5).

**გოლები:** 1:0 აკვაფრესკა (30), 2:0 ფინი (54)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 24-26; **თამაშგარე:** 11-3; **კარში დარტყმა:** 10-8 (6-1); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 12 000

### პალერმო-ფიორენტინა 1:3

**პალერმო:** [illegible] (46. [illegible]-6), კასანი-5.5, რაჯი-6, დელაფიორე-5.5 (46. კიაერი-5.5), ბალცარეტი-6, ნოჩერინო-5 (67. ლანცაფამე-5.5), ლივერანი-5.5, ბრეშანო-5.5, სიმპლისიუ-7, კავანი-6.5, მიკოლი-6.

**ფიორენტინა:** ს. ფრეი-7, კომოტო-6, დაინელი-6 (35. კროლდრუპი-6), გამბერინი-6, ვარგასი-6, კუჟმანოვიჩი-6.5 (64. ალმირონი-5.5), დონადელი-6, მონტოლივო-5.5, სანტანა-6, ჯილარდინო-5 (76. პაცინი), მუტუ-7.5.

**გოლები:** 0:1 ჯილარდინო (19), 0:2 მუტუ (42), 1:2 სიმპლისიუ (50), 1:3 მუტუ (62)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 16-19; **თამაშგარე:** 6-13; **კარში დარტყმა:** 17-18 (7-5); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 22 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უდინეზე | 8 | 5 | 2 | 1 | 15-6 | 17 |
| 2. ინტერი | 8 | 5 | 2 | 1 | 13-5 | 17 |
| 3. ნაპოლი | 8 | 5 | 2 | 1 | 11-7 | 17 |
| 4. მილანი | 8 | 5 | 1 | 2 | 12-6 | 16 |
| 5. ფიორენტინა | 8 | 5 | 1 | 2 | 12-7 | 16 |
| 6. კატანია | 8 | 4 | 3 | 1 | 9-5 | 15 |
| 7. ლაციო | 8 | 4 | 1 | 3 | 15-11 | 13 |
| 8. ჯენოა | 8 | 4 | 1 | 3 | 10-7 | 13 |
| 9. ატალანტა | 8 | 4 | 1 | 3 | 8-7 | 13 |
| 10. იუვენტუსი | 8 | 3 | 3 | 2 | 7-6 | 12 |
| 11. პალერმო | 8 | 4 | 0 | 4 | 11-13 | 12 |
| 12. სიენა | 8 | 2 | 3 | 3 | 6-6 | 9 |
| 13. ლეჩე | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| 14. სამპდორია | 8 | 1 | 4 | 3 | 6-11 | 7 |
| 15. რომა | 8 | 2 | 1 | 5 | 9-15 | 7 |
| 16. კალიარი | 8 | 2 | 1 | 5 | 4-10 | 7 |
| 17. ბოლონია | 8 | 2 | 0 | 6 | 6-12 | 6 |
| 18. კიევო | 8 | 1 | 3 | 4 | 5-11 | 6 |
| 19. ტორინო | 8 | 1 | 2 | 5 | 7-12 | 5 |
| 20. რეჯინა | 8 | 1 | 2 | 5 | 6-13 | 5 |

**ბომბარდირები:** 7 - ჯილარდინო (ფიორენტინა); 6 - სარატე (ლაციო); 5 - ამაური (იუვენტუსი), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მიკოლი (პალერმო), მილიტო (ჯენოა); 4 - კორადი (რეჯინა), დი ნატალე (უდინეზე), ჰამშიკი (ნაპოლი), პანდევი (ლაციო); 3 - დი ვაიო (ბოლონია), ფლოკარი (ატალანტა), მუტუ (ფიორენტინა), პაოლუჩი (კატანია), რონალდინიო (მილანი), კვალიარელა (უდინეზე).

### სერია B

#### X ტური

**ემპოლი-პიზა 0:3**

**გოლები:** 0:1 ბუცეგოლი (20-პენ), 0:2 ჟოელსონი (38), 0:3 გასპარეტო (61)

**ტრიესტინა-ალბინოლეფე 1:1**

**გოლები:** 0:1 კარობიო (50), 1:1 ალეგრეტი (56)

**გაძევება:** გორგონე (83. ტრიესტინა)

**ასკოლი-ჩიტადელა 1:2**

**გოლები:** 0:1 იორი (12-პენ), 1:1 ლუჩი (68), 1:2 მეჯორინი (87)

**აველინო-ფროზინონე 0:0**

**გაძევება:** ედერი (70. ფროზინონე)

**ბარი-გროსეტო 3:1**

**გოლები:** 1:0 კაპუტო (13), 1:1 ვიტიელო (48), 2:1 კაპუტო (58), 3:1 კაპუტო (65)

**გაძევება:** აბრუცეზე (45. გროსეტო)

**ლივორნო-რიმინი 2:1**

**გოლები:** 1:0 როსინი (45), 2:0 ტავანო (60), 2:1 ვანტაჯატო (81)

**მანტოვა-პარმა 1:3**

**გოლები:** 1:0 კარიდი (10), 1:1 ძენონი (49), 1:2 კ. ლუკარელი (58-პენ), 1:3 რეჯინალდო (61)

**მოდენა-ბრეშა 1:3**

**გოლები:** 1:0 ოლივეირა (12), 1:1 კარაჩოლო (25-პენ), 1:2 ფეჩეშინი (33), 1:3 ბარონიო (64)

**გაძევება:** მარსილი (43. მოდენა), რიკი (70. მოდენა)

**სალერნიტანა-ანკონა 2:1**

**გოლები:** 0:1 მასტრონუნციო (8), 1:1 სკარპა (57-პენ), 2:1 კირიაცისი (80)

**გაძევება:** კატინალი (68. ანკონა)

**ტრევიზო-პიაჩენცა 3:2**

**გოლები:** 1:0 ორიო (16-საკ. კარში), 1:1 ფერარო (37), 1:2 ნაინგოლანი (60), 2:2 სკურტო (70), 3:2 სკალია (80)

**ვიჩენცა-სასუოლო 1:0**

**გოლები:** 1:0 ზგრინია (52)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 10 | 6 | 1 | 3 | 17-7 | 19 |
| 2. ვიჩენცა | 10 | 5 | 3 | 2 | 13-4 | 18 |
| 3. გროსეტო | 10 | 5 | 3 | 2 | 19-14 | 18 |
| 4. ემპოლი | 10 | 5 | 3 | 2 | 12-9 | 18 |
| 5. სალერნიტანა | 10 | 5 | 2 | 3 | 11-12 | 17 |
| 6. ტრიესტინა | 10 | 4 | 4 | 2 | 14-12 | 16 |
| 7. ბრეშა | 10 | 4 | 4 | 2 | 13-12 | 16 |
| 8. ბარი | 10 | 4 | 4 | 2 | 10-9 | 16 |
| 9. ლივორნო | 10 | 3 | 6 | 1 | 14-9 | 15 |
| 10. პიზა | 10 | 4 | 3 | 3 | 14-12 | 15 |
| 11. პარმა | 10 | 3 | 5 | 2 | 13-9 | 14 |
| 12. ალბინოლეფე | 10 | 3 | 5 | 2 | 9-10 | 14 |
| 13. მანტოვა | 10 | 3 | 4 | 3 | 9-8 | 13 |
| 14. ანკონა | 10 | 3 | 3 | 4 | 14-11 | 12 |
| 15. პიაჩენცა | 10 | 3 | 3 | 4 | 7-9 | 12 |
| 16. ფროზინონე | 10 | 3 | 3 | 4 | 12-15 | 12 |
| 17. ასკოლი | 10 | 2 | 3 | 5 | 6-10 | 9 |
| 18. რიმინი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-18 | 8 |
| 19. ტრევიზო | 10 | 2 | 4 | 4 | 10-13 | 6* |
| 20. ჩიტადელა | 10 | 2 | 3 | 5 | 4-9 | 6 |
| 21. მოდენა | 10 | 1 | 2 | 7 | 8-18 | 5 |
| 22. აველინო | 10 | 1 | 4 | 5 | 8-17 | 4* |

*შენიშვნა: * - ტრევიზოს დაკლებული აქვს 4 ქულა, აველინოს 3.*

**ბომბარდირები:** 7 - კ. ლუკარელი (პარმა), მასტრონუნციო (ანკონა); 6 - ედერი (ფროზინონე), სანსოვინი (გროსეტო), ტავანო (ლივორნო); 5 - ნოსელი (სასუოლო), ვანტაჯატო (რიმინი).

### სერია C1/A

#### IX ტური

პრო სესტო-სპალ 1:1; კრემონეზე-ლენიანო 2:1; ლუმეცანე-პროპატრია 5:1; მონცა-რეჯანა 2:2; ნოვარა-ვენეცია 2:1; პადოვა-ჩეზენა 1:0; პორტოგრუარო-პერგოკრემა 0:1; რავენა-სამბენედეტეზე 1:1; ვერონა-ლეკო 0:0.

### სერია C1/B

#### IX ტური

არეცო-ფოლინიო 0:0; კროტონე-ტერნანა 3:0; იუვე სტაბია-პოტენცა 0:0; პაგანეზე-ვირტუს ლანჩანო 3:2; პერუჯა-ტარანტო 3:0; პესკარა-გალიპოლი 2:1; პისტოიეზე-ბენევენტო 1:3; რეალ მარჩანიზე-ფოჯა 1:0; სორენტო-კავეზე 1:0.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. VIII ტური

# კამპ ნოუზე კატალონიური ფეხბურთი დაბრუნდა

## ვალენსიის საკლუბო რეკორდი



ვილიარეალმა და ატლეტიკომ საოცარი სპექტაკლი დადგეს

„ბარსელონამ“ მორიგი სპექტაკლი დადგა. კატალონიურმა გრანდმა თავმოყვარე „ალმერია“ არ დაინდო და მიწასთან გაასწორა. **პეპ გვარდიოლას** ბიჭებმა გამანადგურებელი ანგარიშით, 5:0 ზედიზედ მეორე თამაში მოიგეს. მოგეხსენებათ, მანამდე „ბარსამ“ ჩემპიონთა ლიგაში „ბაზელს“ გადაუარა. კატალონიურმა გიგანტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ როცა მას თამაში მისდის, ყველაფრის გაკეთება შეუძლია. ალბათ, სამართლიანი იქნება იმის თქმა, რომ მისი მსხვერპლი საშუალო დონის გუნდები გახდნენ. „ბაზელი“ და „ალმერია“ გრანდების კატეგორიას ნამდვილად არ განეკუთვნებიან, თუმცა უნდა გავიხსენოთ, რომ „ბარსელონამ“ ორი ტურით ადრე „კამპ ნოუზე“ „ატლეტიკოც“ გაასამტვერა. შესაძლოა, ვინმე ისიც თქვას, „როხიბლანკოს“ სერიოზული პრობლემები აქვს და იმ შეხვედრაში „ბარსას“ რეალური შესაძლებლობები არ გამოჩენილაო. კი, ბატონო, პირენეული გიგანტის რეალური ძალის შესაფასებლად ევროპულ გრანდებთან შეხვედრაა საჭირო, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ პეპ გვარდიოლა ნაყოფიერად მუშაობს და გუნდი სწორი გზით მიჰყავს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია **სამუელ ეტოოს** თამაში. კამერუნელმა ფორვარდმა ჰეთ ტრიკი შეასრულა და მთავარ მწვრთნელს მისი გენიალურობა კიდევ ერთხელ დაანახა. კატალონიაში დღეს არავის სურს იმის წარმოდგენა, თუ რა მოხდებოდა, გვარდიოლას სეზონის დაწყების წინ ეტოო მართლა რომ გაეყიდა. როგორც იცით, სენიორ პეპი ამბობდა, სამუელი არ მჭირდება და გაყიდეთო. ის მხოლოდ იმიტომ დარჩა, რომ **ჩიკი ბეგირისტაინმა** საინტერესო ტრანსფერის გაჩარხვა ვერ მოახერხა. მოკლედ, ეტოო წლევანდელი „ბარსას“ ულაპარაკო ლიდერი და საუკეთესო ბომბარდირია. „ალმერიასთან“ შეხვედრაში **ტიერი ანრიმ** და **დანიელ ალვეშმაც** გაიტანეს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბრაზილიელი ლეგიონერის გოლი გაცილებით შთამბეჭდავი იყო, თუმცა ანრის გოლიც არ უნდა დავაკნინოთ. ტიერიმ თანაგუნდელების ეფექტური იერიში დააგვირგვინა. დასკვნების გამოტანა, რა თქმა უნდა, ნაადრევია, მაგრამ გვარდიოლას მოღვაწეობის შეფასებას არავინ გვიკრძალავს. აშკარაა, პეპი კატალონიის საამაყო გუნდს კატალონიურ სტილში ათამაშებს. **ფრანკ რაიკაარდიც** ამ კულტურის მიმდევარი იყო, მაგრამ აშკარად ვხედავთ, რომ კატალონიური საფეხბურთო მსოფლმხედველობა გვარდიოლას მოღვაწეობის დროს უფრო დაიხვეწა. მობილური ნახევარდაცვა, მოკლე პასები, სწრაფი კომბინაციები, ტექნიკური დრიბლინგები და ვარსკვლავების ინდივიდუალიზმი, ეს ის კომპონენტებია, რომელთა სინთეზით გვარდიოლამ კლუბი არაჩვეულებრივად აათამაშა. ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ „ბარსას“ წარმატება მის ნახევარდაცვაში იჭედება. **ჩავისა და ინიესტას** თამაში მხოლოდ და მხოლოდ აღფრთოვანებას იმსახურებს. პირველ რიგში სწორედ ისინი არიან დიადი კატალონიური საფეხბურთო ტრადიციის გამგრძელებლები. არ შეიძლება, **ლეო მესის** ფანტასტიკურ თამაშსაც არ გავუსვათ ხაზი. არგენტინელმა გენიოსმა შაბათს ჩვეული დაუვიწყარი დრიბლინგებით გაგვანებივრა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „ბარსა“ ჯერჯერობით საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს.

გვარდიოლა დიდი ანგარიშით მოგებით, ცხადია, კმაყოფილი დარჩა: *„ბედნიერი ვარ, რომ მორიგი სამი ქულა მოვიპოვეთ. დღეს კარგად ვითამაშეთ, თუმცა მთავარი ის არის, რომ ეს კარგი თამაში გამარჯვებით დაგვირგვინდა. მახსოვს, სეზონის დასაწყისში, „ნუმანსიასთანაც“ კარგად ვიასპარეზეთ, მაგრამ წავაგეთ. ჩვენი ამოცანა სწორედ ეს არის, კარგად უნდა ვითამაშოთ და შეხვედრები მოვიგოთ. დღევანდელი პირველი ტაიმი სანიმუშოდ ჩავატარეთ. ფაქტობრივად, ყველაფერი გამოგვდიოდა. ნახევარდაცვაში უდიდესი უპირატესობა მოვიპოვეთ. შეტევები სიმძაფრეს სწორედ შუა ხაზში იძენდა და ფორვარდებს საქმე უადვილდებოდათ. ჩემს ფეხბურთელებს დიდ მადლობას ვუხდი, მათ დაამტკიცეს, რომ კარგ ფორმაში არიან. ეს გარემოება ოპტიმიზმს მიღრმავებს. ზედიზედ მეორე თამაში მოვიგეთ დიდი ანგარიშით. მანამდე „ატლეტიკო“ გავანადგურეთ, მაგრამ ამის გამო ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ. „ბარსელონა“ არ არის ის გუნდი, რომელიც რამდენიმე შეხვედრის მოგებით დაკმაყოფილდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია. ამიტომ, ეიფორიას თავი უნდა დავაღწიოთ და ბეჯითად ვიმუშაოთ. მცირე მოდუნებაც კი საკმარისი გახდება იმისთვის, რომ მიწაზე დავენარცხოთ და ცხოვრება გავირთულოთ.“*

„ოსასუნას“ ჯერჯერობით მთავარი მწვრთნელის შეცვლაც ვერ შველის. პამპლონელებმა მორიგი შეხვედრა დათმეს. ამჯერად ისინი „ბეტისთან“ დამარცხდნენ. „ოსასუნა“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც მიმდინარე სეზონში გამარჯვება არ მოუპოვებია. კლუბის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ახლახან დანიშნული **ხოსე ანტონიო კამაჩო** კრიზისს დაძლევს და „ოსასუნას“ უფრო ამბიციურ ამოცანებს დაუსახავს. ჯერჯერობით, ხელმძღვანელების იმედის გამართლებას პირი არ უჩანს. ნავარელები ძალიან ცუდად თამაშობენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათ შეტევაში არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ძალიან ცუდად გამოიყურება, ნახევარდაცვა და დაცვაც. „ბეტისთან“ მატჩში კი მეკარემაც შეირცხვინა თავი. ერთი გოლი სწორედ **რიკარდოს** შეცდომას მოჰყვა. მეორე ეპიზოდში კი მცველები შეცდნენ. „ოსასუნას“ ასეთი ცუდი შედეგი მისი არსებობის განმავლობაში არ ჰქონია. ეს პირველი შემთხვევაა, როცა გუნდს რვა ტურში ერთხელაც არ მოუგია. უმძიმესი სიტუაციის მიუხედავად, ხოსე ანტონიო კამაჩო ოპტიმისტურადაა განწყობილი და აცხადებს, რომ მალე საყოველთაო მწუხარებას დიდი სიხარული შეცვლის.

„ვილიარეალისა“ და „ატლეტიკოს“ შეხვედრა არავითარ ლოგიკას არ დაექვემდებარა. ერთი შეხედვით, სანახაობრივი ფეხბურთი გაიმართა, მრავალი გოლი ვიხილეთ და კიდევ უფრო მეტი საგოლე მომენტი, თუმცა ორთაბრძოლამ მაინც უკმაყოფილების გრძნობა დაგვიტოვა. ცოტა არ იყოს, არასერიოზული შეხვედრა გამოვიდა. ამას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, თუმცა მთავარი პრობლემა, ალბათ, ფეხბურთელების დაღლა იყო. მიუხედავად იმისა, რომ „ვილიარეალი“ ბურთის ფლობის მხრივ უდიდეს უპირატესობას ფლობდა, ამ გუნდს მეორე ტაიმის მიწურულს მაინც დაღლილობა დაეტყო. ყოველ შემთხვევაში, მცველები ბურთთან მისვლას აგვიანებდნენ. ერთი რამ უდავოა, „ყვითლებს“ დაცვაში პრობლემები აქვთ. **მანუელ პელეგრინის** ბიჭებმა ბოლო ორ შეხვედრაში შვიდი გოლი გაუშვეს, თანაც შვიდივე შინ. „ატლეტიკოს“ რაც შეეხება, ამ გუნდს ისევ სირთულეებთან ბრძოლა უწევს. მადრიდელები ორი ბურთით იგებდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. იმის გათვალისწინებით, რომ სტუმრებს კაცნაკლულად თამაში უხდებოდათ, საყაიმო შედეგი სრულიად მისაღები უნდა იყოს. თამაშის წინ **ენრიკე სერესომ** განაცხადა, „ელ მადრიგალზე“ რა შედეგიც არ უნდა დაფიქსირდეს, **ხავიერ აგირეს** არ გადავაყენებო, თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად დაიცავს პრეზიდენტი მიცემულ სიტყვას. აქვე იმასაც გეტყვით, რომ აგირემ **სერხიო აგუერო** პირადი მოსაზრებების გამო არ ათამაშა.

„ვალენსიამ“ უელვაში წაიფორხილა და პრიმერა დივიზიონის აუტსაიდერ „რეკრეატივოსთან“ ორი ქულა დაკარგა. **დავიდ ვილია** რომ არა, შესაძლოა, „ღამურებს“ სულაც წაეგოთ. **უნაი ემერი** შედეგით უკმაყოფილოა. მიუხედავად ყველაფრისა, „ვალენსიამ“ მცირე საკლუბო რეკორდი დაამყარა. ამ გუნდს რვა ტურის შემდეგ 6 გამარჯვება და 2 ფრე არასოდეს ჰქონია.

რვა ტურის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, „მალაგამაც“ საკლუბო რეკორდი დაამყარა. ანდალუსიურ გუნდს სადებიუტო რვა შეხვედრაში ოთხი გამარჯვება არასოდეს მოუპოვებია. სტუმართა გამარჯვება მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, რადგან „სევილიას“ უმწვავესი საკადრო პრობლემები ჰქონდა. ტრავმების გამო, **მანოლო ხიმენესს**, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობის გამოყვანა მოუხდა.

სხვა შეხვედრების საინტერესო დეტალებზე მოკლედ მოგახსენებთ, „ხეტაფემ“ მიმდინარე სეზონში პირველი საშინაო გამარჯვება მოიპოვა. ყველასაგან ჩამოწერილმა „სპორტინგმა“ კი ზედიზედ მესამე გამარჯვება მიითვალა. ხიხონელებმა ამჯერად, „რიასორზე“ „დეპორტივო“ დიდი ანგარიშით, 3:0 დაამარცხეს. სხვათა შორის, ლაკორუნიელებმა რამდენიმე დღით ადრე უეფას თასზე ცსკა-სთანაც ამავე ანგარიშით წააგეს. „ესპანიოლისთვის“ „მალიორკას“ სტადიონი აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა. კატალონიელებს პალმა დე მალიორკაში აგერ უკვე ცხრა წელია არ მოუგიათ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### მომდევნო ტური

**1 ნოემბერი. ბილბაო-ვილიარეალი, ატლეტიკო-მალიორკა, მალაგა-ბარსელონა, ვალენსია-რასინგი. 2 ნოემბერი. ესპანიოლი-ოსასუნა, სპორტინგი-ნუმანსია, ვალიადოლიდი-სევილია, რეკრეატივო-ხეტაფე, ალმერია-რეალი, ბეტისი-დეპორტივო.**

### ოსასუნა-ბეტისი 0:2

**ოსასუნა:** რიკარდო, ასპილიკუეტა, მიგელ ფლანიო, ხოსეტო, იოიერი, ხუანფრანი, პუნიალი (65. ექტორ ფონტი), ნექუნამი, ესკერო, კიკე სოლა (77. მასუდი), პორტილიო (65. დადი).

**ბეტისი:** კასტო, ნელსონი (87. რივასი), არსუ, ხუანიტო, ფერნანდო ვეგა, მეჰმეთ აურელიო, დამია, კაპი (70. მელი), ემანა (89. ხუანმა), სერხიო გარსია, პავონე.

**გოლები:** 0:1 მეჰმეთ აურელიო (51), 1:1 პავონე (86)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 13(6)-17(5); **კუთხური:** 1-5; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 11-10; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 17 175

### ბარსელონა-ალმერია 5:0

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, დანი ალვეში (73. ვიქტორ სანჩესი), პუიოლი, მარკესი, აბიდალი, ჩავი, ტურე (57. გლები), ინიესტა, მესი, ეტო'ო, ანრი (65. კრკიჩი).

**ალმერია:** დიეგო ალვეში, ბრუნო, გილერმე (85. ორტისი), პელერანო, გარსია, სორიანო, ხულიო ალვარესი, ხუანმა ორტისი (79. ნატალიო), კორონა, კრუსატი (46. მანე), ნეგრედო.

**გოლები:** 1:0 ეტო'ო (5), 2:0 ანრი (13), 3:0 ეტო'ო (20), 4:0 ეტო'ო (24), 5:0 დანიელ ალვეში (36)

**გაძევება:** ნეგრედო (29. ალმერია)

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 13(9)-6(2); **კუთხური:** 6-6; **თამაშგარე:** 6-3; **ჯარიმა:** 13-15; **ბურთის ფლობა:** 70%-30%

**მაყურებელი:** 63 566

### ხეტაფე-ვალიადოლიდი 1:0

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, ბელენგერი, დანიელ დიასი, სელესტინი (64. პოლანსკი), ლიხტი, კორტესი, კასკერო, გრანერო, მანუ (79. კონტრა, სოლდადო, ალბინი (69. უჩე).

**ვალიადოლიდი:** ასენხო, გარსია კალვო, ბარახა, ალბერტო მარკოსი, პედრო ლოპესი, ბორხა (62. კანობიო), ალვარო რუბიო, დელგადო, ვიქტორი (80. ჯონათან გონსალესი), ესკუდერო, პედრო ლეონი (46. აგირე).

**გოლი:** 1:0 დანიელ დიასი (32)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 13(5)-9(0); **კუთხური:** 6-4; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 13-20; **ბურთის ფლობა:** 44%-57%

**მაყურებელი:** 12 000

### მალიორკა-ესპანიოლი 3:0

**მალიორკა:** მოია, დავიდ ნავარო, რამისი, კორალესი, ხოსემი, ლუის მარტი, კლებერ სანტანა, ადურისი (84. ვებო), ხურადო (87. კასტრო), არანგო (81. ა. კეიტა), ვარელა.

**ესპანიოლი:** კამენი, პარეხა, ხარკე, ბერანჟე, სერხიო სანჩესი, მოისეს ურტადო, დე ლა პენია (79. რომანი), ნენე (62. რუფეტე), კორო, რაულ ტამუდო, ლუის გარსია.

**გოლები:** 1:0 ადურისი (49), 2:0 ადურისი (60), 3:0 ვარელა (76)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 13(6)-9(3); **კუთხური:** 8-0; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 20-14; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 14 000

### რეკრეატივო-ვალენსია 1:1

**რეკრეატივო:** რიესგო, მორისი, არსო, პოლი, იაგო ბუსონი, ხავი ფუეგო, ხესუს ვასკესი, ტორნავაკა (86. აკალე), კამუნიასი, რუბენი (68. კოლუნგა), გერერო (69. მერტინი).

**ვალენსია:** რენანი, ალექსისი, რაულ ალბიოლი, მორეტი, მიგელი, მანუელ ფერნანდესი (76. მარჩენა), ალბელდა (65. ბარახა), მატა, ხოაკინი, ვილია, ანგულო (56. ვისენტე).

**გოლები:** 1:0 კამუნიასი (47), 1:1 დავიდ ვილია (62)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 5(2)-14(6); **კუთხური:** 2-5; **თამაშგარე:** 4-4; **ჯარიმა:** 18-11; **ბურთის ფლობა:** 24%-76%

**მაყურებელი:** 13 000

### ნუმანსია-რასინგი 2:1

**ნუმანსია:** კოლინასი, ბორისი, პავონი, ნაგორე, დომინგო, ხუანრა, მორენო, ბარკერო (90. პალასიოსი), მარიო, კამარერო, ა. ეჩებერია (68. ლორენსი).

**რასინგი:** ტონიო, ივან მარკანო, სესარი, სეპსი, პინილიოსი (46. ჩიტე), რასენი, კოლსა, ოსკარ სერანო (61. მუნიტისი), ვალერა, ჯონათანი, ხუანხო.

**გოლები:** 1:0 ბარკერო (26), 1:1 ჩიტე (90-პენ), 2:1 დომინგო (90)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 8(2)-16(1); **კუთხური:** 4-6; **თამაშგარე:** 0-1; **ჯარიმა:** 24-14; **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 6 200

### დეპორტივო-სპორტინგი 0:3

**დეპორტივო:** არანსუბია, კოლოტო, ლოპო, კასმირსკი, მანუელ პაბლო, სერხიო (74. ხუან როდრიგესი), დე გუსმანი, რიკი (74. მისტა), ლაფიტა, გუარდადო, პაბლო ალვარესი (38. ვალერონი).

**სპორტინგი:** პიჩუ, ნერუ, ხერარდი, კანელია, სასტრე, მიჩელი, კამაჩო, ბარალი (81. მატაბუენა), კარმელო (67. ბილიჩი), ხიმენესი (88. ომარი), ლუის მორანი.

**გოლები:** 0:1 ბარალი (23-პენ), 0:2 კარმელო (27), 0:3 ხიმენესი (84)

**გაძევება:** კოლოტო (44. დეპორტივო)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 18(5)-14(8); **კუთხური:** 10-3; **თამაშგარე:** 4-0; **ჯარიმა:** 9-14; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 22 000

### სევილია-მალაგა 0:1

**სევილია:** პალოპი, სკილაჩი, ესკუდე, ფერნანდო ნავარო, კრესპო (57. ჩევანტონი), დუშერი, მარესკა (46. რომარიკი), ლუიშ ფაბიანო, რენატო (71. არმენტეროსი), ადრიანო, ხესუს ნავასი.

**მალაგა:** არნაუ, რობსონი, ექტორ როსარიო, კალეხა, გამესი, აპონო, მიგელ ანხელი (86. ლუკე), ადრიანი, ბაა (60. პაბლო), ნაჩო, ელისეუ (75. ფერნანდო).

**გოლი:** 0:1 ადრიანი (16)

**გაძევება:** ადრიანო (67. სევილია)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 10(3)-8(6); **კუთხური:** 7-3; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 18-19; **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 44 000

### ვილიარეალი-ატლეტიკო 4:4

**ვილიარეალი:** [illegible] ინი, გონსალო როდრიგესი, კაპდევილა, ვენტა, ბრუნო, სენა, პირესი (82. მატიას ფერნანდესი), კასორლა (71. კანი), ლორენტე, როსი.

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, სოტო, ჰეიტინგა, პერნია, სეიტარიდისი (46. ანტონიო ლოპესი), მანიშე (76. კუევასი), ასუნსაო (61. რაულ გარსია), ფორლანი, ბანეგა, სიმაო, მაქსი როდრიგესი.

**გოლები:** 0:1 სიმაო (1), 0:2 ფორლანი (22), 1:2 სენა (48), 2:2 ლორენტე (51), 3:2 გონსალო როდრიგესი (58), 4:2 როსი (67), 4:3 სიმაო (83), 4:4 რაულ გარსია (85).

**გაძევება:** ბანეხა (38. ატლეტიკო)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 23(14)-8(5); **კუთხური:** 10-3; **თამაშგარე:** 6-0; **ჯარიმა:** 13-19; **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 20 000

### რეალი-ბილბაო 3:2

**რეალი:** კასილიასი, ჰაინცე, პეპე, მარსელო, სალგადო, გაგო, ვან დერ ვაარტი (60. გუტი), სნეიდერი (78. დიარა), რობენი, რაული (89. სავიოლა), იგუაინი.

**ბილბაო:** ირაისოსი, ამორებიეტა, ოსიო, ბალენსიაგა, ირაოლა, იესტე (83. სუსაეტა), ორბაისი, ეჩებერია (56. გარმენდია), გაბილონდო (82. კასასი), დავიდ ლოპესი, ლორენტე.

**გოლები:** 1:0 სნეიდერი (13), 2:0 იგუაინი (29), 2:1 ეჩებერია (35), 2:2 ირაოლა (45-პენ), 3:2 იგუაინი (59).

**გაძევება:** ამორებიეტა (77. ბილბაო)

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 20(6)-15(5); **კუთხური:** 7-6; **თამაშგარე:** 4-3; **ჯარიმა:** 15-16; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 80 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 8 | 6 | 2 | 0 | 18-5 | 20 |
| 2. ბარსელონა | 8 | 6 | 1 | 1 | 24-7 | 19 |
| 3. რეალი | 8 | 6 | 1 | 1 | 23-12 | 19 |
| 4. ვილიარეალი | 8 | 5 | 3 | 0 | 13-7 | 18 |
| 5. სევილია | 8 | 5 | 2 | 1 | 13-5 | 17 |
| 6. მალაგა | 8 | 4 | 1 | 3 | 9-9 | 13 |
| 7. ხეტაფე | 8 | 3 | 3 | 2 | 9-8 | 12 |
| 8. მალიორკა | 8 | 3 | 2 | 3 | 8-10 | 11 |
| 9. ალმერია | 8 | 3 | 2 | 3 | 9-13 | 11 |
| 10. ატლეტიკო | 8 | 3 | 1 | 4 | 17-16 | 10 |
| 11. ესპანიოლი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-10 | 9 |
| 12. დეპორტივო | 8 | 2 | 3 | 3 | 5-9 | 9 |
| 13. სპორტინგი | 8 | 3 | 0 | 5 | 13-21 | 9 |
| 14. ბეტისი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-8 | 8 |
| 15. ვალიადოლიდი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-9 | 7 |
| 16. ნუმანსია | 8 | 2 | 1 | 5 | 7-14 | 7 |
| 17. რასინგი | 8 | 1 | 3 | 4 | 5-10 | 6 |
| 18. რეკრეატივო | 8 | 1 | 3 | 4 | 4-13 | 6 |
| 19. ბილბაო | 8 | 1 | 2 | 5 | 6-13 | 5 |
| 20. ოსასუნა | 8 | 0 | 4 | 4 | 3-8 | 4 |

**ბომბარდირები:** 9 - ვილია (ვალენსია), ეტო'ო (ბარსელონა); 5 - ნეგრედო (ალმერია), მესი (ბარსელონა); 4 - სინამა-პონგოლე (ატლეტიკო), რაული (რეალი), ვან დერ ვაარტი (რეალი), მატა (ვალენსია), ვან ნისტელროი (რეალი), ბილიჩი (სპორტინგი).

### II დივიზიონი

### IX ტური

**კორდობა-ტენერიფე 2:0**

**გოლები:** 1:0 რუისი (62), 2:0 იორდი (65)

**ელჩე-ალიკანტე 0:0**

**ვალეკანო-ეიბარი 4:1**

**გოლები:** 1:0 ენგუისი (25), 2:0 აგანსო (54), 3:0 პაჩონი (72), 4:0 კოლანტესი (84), 4:1 ტოკერო (90)

**სარაგოსა-ხერესი 2:1**

**გოლები:** 1:0 რიკარდო ოლივეირა (52), 1:1 ანტონიტო (72), 2:1 ევერტონი (90)

**ლას პალმასი-ხირონა 2:2**

**გოლები:** 1:0 სანჩესი (4), 2:0 მარკესი (30), 2:1 მარტინი (53), 2:2 მანგა (85)

**ალბასეტე-სელტა 1:1**

**გოლები:** 0:1 დინეი (8), 1:1 რიტჩი (20)

**სოსიედადი-კასტელონი 2:3**

**გოლები:** 0:1 სანჩესი (31), 1:1 დე სერიო (73), 1:2 არანა (81), 1:3 არნა (88), 2:3 დე სერიო (89)

**ლევანტე-ხიმნასტიკი 2:2**

**გოლები:** 1:0 მარტინი (15), 2:0 ნადალი (17), 2:1 ნ'გალი (79), 2:2 კამპანიო (80)

**სალამანკა-უესკა 2:0**

**გოლები:** 1:0 კოენი (40), 2:0 მარტინი (65)

**ერკულესი-ალავესი 3:0**

**გოლები:** 1:0 კარილი (45), 2:0 ფარინოსი (72), 3:0 ნავარო (90).

**გაძევება:** გარიტანო (70. ალავესი)

**მურსია-სევილია B 1:0**

**გოლი:** 1:0 დესპოტოვიჩი (23).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სალამანკა | 9 | 6 | 2 | 1 | 12-6 | 20 |
| 2. სარაგოსა | 9 | 5 | 2 | 2 | 20-12 | 17 |
| 3. ერკულესი | 9 | 4 | 5 | 0 | 13-4 | 17 |
| 4. ვალეკანო | 9 | 4 | 4 | 1 | 17-12 | 16 |
| 5. კასტელონი | 9 | 4 | 3 | 2 | 15-11 | 15 |
| 6. ხერესი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-9 | 14 |
| 7. ხიმნასტიკი | 9 | 3 | 4 | 2 | 15-11 | 13 |
| 8. ტენერიფე | 9 | 4 | 1 | 4 | 17-16 | 13 |
| 9. ალბასეტე | 9 | 3 | 3 | 3 | 11-11 | 12 |
| 10. კორდობა | 9 | 3 | 3 | 3 | 7-7 | 12 |
| 11. ალავესი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-14 | 12 |
| 12. ლევანტე | 9 | 3 | 3 | 3 | 12-15 | 12 |
| 13. უესკა | 9 | 2 | 5 | 2 | 12-11 | 11 |
| 14. სოსიედადი | 9 | 2 | 5 | 2 | 9-8 | 11 |
| 15. ხირონა | 9 | 2 | 5 | 2 | 9-8 | 11 |
| 16. ეიბარი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-14 | 11 |
| 17. ლას პალმასი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-9 | 10 |
| 18. სელტა | 9 | 1 | 5 | 3 | 6-10 | 8 |
| 19. მურსია | 9 | 2 | 2 | 5 | 5-11 | 8 |
| 20. ალიკანტე | 9 | 1 | 4 | 4 | 8-14 | 7 |
| 21. სევილია B | 9 | 1 | 3 | 5 | 4-13 | 6 |
| 22. ელჩე | 9 | 0 | 4 | 5 | 5-13 | 4 |



ჩელსი-ლივერპული. ჯონ ტერისა და დირკ კუიტის ორთაბრძოლა

ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტური

# ლივერპულის საჩემპიონო განაცხადი

## რედნაპის გამარჯვების ფორმულა: სამი ქულა 24 საათში

**ჩაბი ალონსოს** ერთადერთმა გოლმა "ჩელსის" ოთხწლიან წაუგებელ საშინაო სერიას დაუსვა წერტილი. რეკორდული სერია, რომელიც პრემიერლიგის 86 თამაშს მოიცავდა, "არისტოკრატების" სიამაყის საგანი იყო.

ბოლო შეხვედრა, რომელიც ლონდონელებს "სტემფორდ ბრიჯზე" ჰქონდათ წაგებული, 2004 წლის თებერვლით თარიღდებოდა. ის დღეს მათ "არსენალთან" დათმეს, 1:2. და აი, გუშინ "ლივერპულმა" მინიმალური ანგარიშით მოუგო. შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ, მერსისაიდელებმა კიდევ ერთ ფავორიტს, "მანჩესტერ იუნაიტედს" მოუგეს.

ჩაბი ალონსომ გოლი მეცხრე წუთზე გაიტანა. მან 20 მეტრიდან დაარტყა. ბურთი გზად **ჟოზე ბოსინგვას** მოხვდა და მკვეთრად შეიცვალა მიმართულება. საწინააღმდეგო კუთხეში გადამხტარი **პეტრ ჩეხი** უძლური აღმოჩნდა.

"ჩელსიმ" არა მხოლოდ რეკორდული სერია დაასრულა, არამედ **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ხელმძღვანელობით პირველად წააგო. "ლივერპულს" ინიციატივა ერთი წუთითაც არ დაუთმია. როგორც ჩანს, მერსისაიდელები შორეული 1990 წლის შემდეგ პირველად იბრძოლებენ ოქროს მედლებისათვის.

თამაში "ჩელსის" შეტევებით დაიწყო. **ნიკოლა ანელკა** მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა. თავდამსხმელს დარტყმის საშუალება არ მისცეს. ბურთი **დეკუს** მიუგორდა. პორტუგალიელმა ძლიერად მოიქნია, მაგრამ მას მცველები გადაეღობნენ.

"ლივერპულმა" პირველივე იერიში შედეგიანად დაასრულა. გოლი "ჩელსის" საჯარიმოს სიახლოვეს დანიშნულ აუტს მოჰყვა. **დირკ კუიტმა** საჯარიმოში ჩაგდებულ ბურთს თავი აჰკრა. **ჯონ ტერიმ** მდგომარეობის განმუხტვა ვერ შეძლო. შემდეგ კი მოვლენები ისევ განვითარდა, როგორც ზემოთ აღვწერეთ.

ალონსოს გოლის შემდეგ "ლივერპულმა" ინიციატივა ხელში აიღო და ბოლო წუთამდე არ დაუთმია. "ჩელსი" ბევრს ეცადა საპასუხო გოლის გატანას, მაგრამ რეალური მომენტი არ შეუქმნია. სტუმრებმა კი მეორე ტაიმში ბურთი ძელს გაარტყეს...

„ევერტონმა" „მანჩესტერ იუნაიტედს" ორი ქულა აართვა. „ეშმაკებმა" პირველი ნახევარი აღმავლობით ჩაატარეს და მოიგეს კიდეც. შესვენების შემდეგ, ლივერპულელებმა ტემპს მოუმატეს და დამსახურებულად გაათანაბრეს.

**სერ ალექს ფერგიუსონმა** ძირითად შემადგენლობაში ხუთი ფეხბურთელი შეცვალა. გუნდს დაუბრუნდნენ **რიო ფერდინანდი, პატრის ევრა, რაიან გიგზი, ვესლი ბრაუნი** და **ჟი სუნ პარკი**. „ევერტონმა" მანჩესტერელთა ყოფილი ვარსკვლავები - **ლუი საა** და **ფილ ნევილი** გამოიყვანა.

**დევიდ მოიესმა სტივ პიენაარსა** და **მიკელ არტეტას** ფლანგებზე აქტიურად თამაში დაავალა. მარტო დარჩენილ **ლეო ოსმანსა** და **მარუან ფელაინის** ცენტრის გაკონტროლება გაუჭირდათ. სტუმრებმა ისინი იოლად შეავიწროვეს და მეტოქის ნახევარზე დაიდეს ბინა.

გიგზის კუთხურს **დარენ ფლეტჩერი** გამოეხმაურა. მან მცირე მანძილით ააცილა. **ფილ ნევილი კრისტიანო რონალდოს** გადაეღობა. ვერც **უეინ რუნის** იერიშმა მიაღწია მიზანს. ფლეტჩერმა ანგარიში 22-ე წუთზე გახსნა. საგოლე შეტევა გიგზმა წამოიწყო. უელსელმა მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა. ფელაინი ბურთს ასცდა. ფლეტჩერმა ბურთი მიიღო, **ლესკოტს** გასცდა და გაიტანა.

"ევერტონმა" მეორე ტაიმი აქტიურად დაიწყო. მასპინძლები უხეშობის ზღვარზე ათამაშდნენ. მათ ორჯერ ეს ზღვარიც გადალახეს და ორ გაფრთხილებას გამოჰკრეს ხელი. **ფილ ჟაგიელკამ დიმიტარ ბერბატოვი** მოცელა, ხოლო **ფილ ნევილმა** - რონალდო. ნევილი პორტუგალიელს ისე ეუხეშა, რომ ყოფილმა მეგობრებმა კინაღამ მასზე აღმართეს ხელი.

ფილმა „იუნაიტედს" საგოლე პასით გადაუხადა სამაგიერო. 63-ე წუთზე მან სტუმართა საჯარიმოში ჩაჰკიდა. ფელაინიმ **ვიდიჩს** საჰაერო დუელი მოუგო და თავით გაიტანა. ამ მომენტამდე **ედვინ ვან დერ სარი** კარში უსაქმოდ იდგა. ევერტონელებმა პირველივე მომენტი გოლად აქციეს.

ფერგიმ პარკი **ანდერსონით** შეცვალა, ხოლო რუნი - **ნანით**. უეინი არტეტას ეუხეშა და ყვითელი ბარათი მიიღო. ნამატჩევს სერ ალექსმა თქვა - რომ არ გამეყვანა, შეიძლება გაეგდოთო. „იუნაიტედი" მეორე გოლის გატანას შეეცადა. ფერგიმ ფლეტჩერის ნაცვლად **კარლოს ტევესი** ჩართო თამაშში. რონალდო ცენტრში გადაიყვანეს. **ჯოზეფ იობომ** მისი ორი სახიფათო შეტევა შეაჩერა. თამაშის მიწურულს მოიესმა თავდამსხმელები - **იაკუბუ** და საა გაიყვანა. მსაჯისაგან დამატებულ დროში ფელაინიმ ბერბატოვს მოქაჩა და ისიც გააფრთხილეს...

"სანდერლენდმა" "ნიუკასლს" 28-წლიანი პაუზის შემდეგ მოუგო. ადგილობრივმა გულშემატკივრებმა მოედნის კიდეზე მყოფ **ჯოი ბარტონს** მაშხალები დააყარეს. ორმა გულშემატკივარმა ჯორდების მეკარე **შეი გივენთან** ანგარიშსწორება სცადა. ხოლო საფინალო სასტვენის შემდეგ მეტოქე გუნდების ფანების მოედანზე გადაცვივდნენ და ჩხუბი გააჩაღეს. პოლიციამ ვნებები დროულად ჩაახშო. ფანების დაშოშმინებისას, დაშავდა ერთი პოლიციელი და აგრეთვე, პოლიციელთა ცხენი, რომელსაც მაშხალა ესროლეს. საფეხბურთო ასოციაციამ გამოძიება დაიწყო. „სანდერლენდს" სასჯელი ელოდება.

„ჰალ სიტიმ" ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო და საკვირაო მატჩამდე „ჩელსისა" და „ლივერპულს" გაუთანაბრდა. სამი ლონდონური კლუბის („არსენალი", „ტოტენჰემი" და „ვესტ ჰემი") დამარცხების შემდეგ, **ფილ ბრაუნის** შეგირდებმა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონიც" იოლად დაამარცხეს. ახლა დებიუტანტებს „ჩელსისა" და „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრები ელით...

ამ უქმეებზე „ტოტენჰემში" მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. „ბოლტონთან" მატჩამდე 24 საათით ადრე „მამლებმა" კარისაკენ მიუთითეს **ხუანდე რამოსს** და „პორტსმუთის" თავკაც **ჰარი რედნაპს** გაუფორმეს კონტრაქტი. „პორტსმუთმა" მწვრთნელის სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა მიიღო. და აი, რედნაპს ზუსტად 24 საათის დასჭირდა საიმისოდ, რასაც რამოსმა ვერა და ვერ მოაბა თავი. „ტოტენჰემმა" მისი ხელმძღვანელობით სეზონის პირველი გამარჯვება მოიპოვა. ამის მიუხედავად, „მამლები" ისევ ბოლო ადგილზე იმყოფებიან. მისტერ რედნაპს წინ დიდი შრომა, რათა გუნდში კრიზისი დაძლიოს.

### მომდევნო ტური

28 ოქტომბერი. **არსენალი-ტოტენჰემი, ბოლტონი-ევერტონი, ჰალი-ჩელსი, მანჩესტერ იუნ-ვესტ ჰემი, მიდლსბრო-მანჩესტერ სიტი, სტოკი-სანდერლენდი, ასტონ ვილა-ბლექბერნი, ფულჰემი-ვიგანი, ლივერპული-პორტსმუთი, ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი.**

### ევერტონი-მანჩესტერ იუნ. 1:1

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჟაგიელკა, იობო, ლესკოტი, ფილ ნევილი, ოსმანი, ფელაინი, არტეტა, პიენაარი, საა (90. ანიჩებე), იაკუბუ (88. ვოგანი).

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ვიდიჩი, რიო ფერდინანდი, ევრა, ბრაუნი, გიგზი, ფლეტჩერი (78. ტევესი), პარკი (67. ანდერსონი), რონალდო, ბერბატოვი, რუნი (71. ნანი).

**გოლები:** 0:1 ფლეტჩერი (22), 1:1 ფელაინი (63).

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 17(3)-20(6); **ჯარიმა:** 19-13; **კუთხური:** 6-10; **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 36 069

### სანდერლენდი-ნიუკასლი 2:1

**სანდერლენდი:** ფულოპი, კოლინზი, ანტონ ფერდინანდი, მაკარტნი, შიმბონდა, იორკი (57. ჯოუნსი), უაითჰედი, რიჩარდსონი, მალბრანკი (88. ტაინიო), დიუფი (90. რიდი), ჯიბრილ სისე.

**ნიუკასლი:** გივენი, კოლოჩინი, სტივ ტეილორი, ბასონგი (85. ხოსე ენრიკე), ბეიე, ბატი (85. ბარტონი), გუტრი, დაფი, ჯერემი (74. გურიეტესი), ამეობი, მარტინსი.

**გოლები:** 1:0 სისე (20), 1:1 ამეობი (30), 2:1 რიჩარდსონი (75).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 14(3)-12(2); **ჯარიმა:** 13-16; **კუთხური:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 56%-45%.

**მაყურებელი:** 47 936

### ვესტ ბრომვ.-ჰალ სიტი 0:3

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, ოლსონი, დონკი, რობინსონი, ცუივერლოონი, კორენი (80. ბრანტი), გრინინგი, ვალერო, მორისონი (80. მაკდონალდი), მილერი (80. ლუკ მური), ბედნარი.

**ჰალი:** მაიჰილი, ზაიათი, ტერნერი, ეშბი (76. ბრაიან ჰიუზი), ენდი დოსონი (10. რიკეტსი), მაკშეინი, ჯოვანი (78. რიჩარდ გარსია), ჯორჯ ბოატენგი, მარნი, მარლონ კინგი, კუზენი.

**გოლები:** 0:1 ზაიათი (47), 0:2 კინგი (66), 0:3 ჯოვანი (62).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 25(8)-16(9); **ჯარიმა:** 11-13; **კუთხური:** 14-5; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 26 323

### ბლექბერნი-მიდლსბრო 1:1

**ბლექბერნი:** რობინსონი, ნელსენი, ოოიერი, გრელა, ოლსონი (81. ტრისი), სიმპსონი, ვილიანუევა, უორნოკი, ემერტონი, დერბიშირი (66. მაკარტი), სანტა კრუსი.

**მიდლსბრო:** ტერნბული, პოგატეცი, რიგოტი, ენდრიუ ტეილორი, ვიტერი, დიგარდი, ონილი, დაუნინგი, ალიადიერი, აფონსო ალვეში, თუნჯაი (85. ემნესი).

**გოლები:** 0:1 ალვეში (74), 1:1 მაკარტი (90).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 15(4)-7(2); **ჯარიმა:** 17-13; **კუთხური:** 9-2; **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 17 606

### ჩელსი-ლივერპული 0:1

**ჩელსი:** ჩეხი, ტერი, კარვალიო, ეშლი კოული, ბოსინგვა (85. სინკლერი), ობი მიკელი, ლემპარდი, დეკუ, მალუდა (58. ბელეტი), ანელკა, კალუ (58. დი სანტო).

**ლივერპული:** რეინა, აგერი, კარაგერი, აურელიო, არბელოა, ჩაბი ალონსო, მასკერანო, რობი კინი (60. ბაბელი), ჯერარდი, რიერა (90. ჰიიპია), კუიტი (88. ლუკასი).

**გოლები:** 0:1 ჩაბი ალონსო (10).

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 17(2)-11(3); **ჯარიმა:** 18-14; **კუთხური:** 4-2; **ბურთის ფლობა:** 61%-40%.

**მაყურებელი:** 41 705

### მანჩესტერ სიტი-სტოკი 3:0

**სიტი:** ჰარტი, ბენ-ჰაიმი, დანი (76. ჟელსონი), გარიდო (70. ონუოჰა), რიჩარდსი, კომპანი, ირლანდი, ელანდო, რაიტ-ფილიპსი, ევანსი (43. სტარიჯი), რობინიო.

**სტოკი:** სორენსენი, შოკროსი, ფაიე, ჰიგინობთემი, გრიფინი, დიაო (76. ველანი), ოლოფინიანა, დელაპი, სუარესი (70. კრესველი), სიდიბე (66. კიტსონი), ფულერი.

**გოლები:** 1:0 რობინიო (14), 2:0 რობინიო (47), 3:0 რობინიო (72).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 19(10)-10(6); **ჯარიმა:** 13-16; **კუთხური:** 6-8; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 44 624

### ტოტენჰემი-ბოლტონი 2:0

**ტოტენჰემი:** გომესი, ჩორლუკა, ლედლი კინგი, ასუ-ეკოტო, ჰატონი, მოდრიჩი, ჯენასი, ჰადლსტონი, ოჰარა (71. ლენონი), ბენტლი, პავლიუჩენკო (67. დარენ ბენტი).

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ენდი ობრაიენი, კაჰილი, სამუელი, სტეინსონი, მაკენი, მუამბა (86. რიკარდო გარდნერი), ნოლანი, მეტიუ ტეილორი, კევინ დევისი, ელმანდერი (85. მუსტაფა).

**გოლები:** 1:0 პავლიუჩენკო (17), 2:0 დარენ ბენტი (76-პენ).

**გაძევება:** მაკენი (56. ბოლტონი)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 20(8)-17(3); **ჯარიმა:** 9-15; **კუთხური:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 64%-37%.

**მაყურებელი:** 35 507

### ვიგანი-ასტონ ვილა 0:4

**ვიგანი:** კერკლანდი, შარნერი, ბრემბლი, ფიგეროა, ბოისი, კატერმოული (81. ბრაუნი), პალასიოსი, დე რიდერი (81. ტეილორი), კაპო (46. კუმასი), ჰესკი, ზაქი.

**ვილა:** ფრიდელი, კუელიარი, ლაურსენი, შორი, ლუკ იანგი (79. კერტის დევისი), რეო-კოკერი, ბერი (55. ქერიუ), სტილიან პეტროვი (85. სიდველი), ეშლი იანგი, აგბონლაჰორი, მილნერი.

**გოლები:** 0:1 ბერი (22-პენ), 0:2 აგბონლაჰორი (57), 0:3 ქერიუ (62), 0:4 სიდველი (90).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 21(5)-10(7); **ჯარიმა:** 16-9; **კუთხური:** 9-4; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 20 249

### ვესტ ჰემი-არსენალი 0:2

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, კოლინსი, ილუნგა, ფობერი, პარკერი (78. ბოა მორტე), ბოუიერი (90. სიერსი), მულინსი, ბელამი, კარლტონ კოული, დი მიკელე (78. ეთერინგტონი).

**არსენალი:** ალმუნია, სილვესტრი, გალასი, კლიში, ებუე, სონგი, ფაბრეგასი, ნასრი (67. დიაბი), უოლკოტი (68. ადებაიორი), ბენდტნერი, ვან პერსი (90. სანია).

**გოლები:** 0:1 ფობერი (75-საკ.კარში), 0:2 ადებაიორი (90).

**გაძევება:** კარლტონ კოული (90. ვესტ ჰემი).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 11(4)-24(6); **ჯარიმა:** 13-9; **კუთხური:** 4-9; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 34 802

### პორტსმუთი-ფულჰემი 1:1

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, დესტენი, კაბული, ბელჰაჯი, პამარო, დიარა (83. მვუემბა), რიჩარდ ჰიუზი, ტრაორე (84. [illegible]), [illegible] დეფო, კრაუჩი.

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, აარონ ჰიუზი, კონჩესკი, [illegible] (84. [illegible]), ბულარდი, დენი მერფი, გერა (71. დემპსი), საიმონ დევისი, ზამორა, ენდი ჯონსონი.

**გოლები:** 1:0 კრაუჩი (61), 1:1 დემპსი (87).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 25(7)-11(5); **ჯარიმა:** 10-7; **კუთხური:** 8-6; **ბურთის ფლობა:** 52%-49%.

**მაყურებელი:** 19 233

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 9 | 7 | 2 | 0 | 14-6 | 23 |
| 2. ჩელსი | 9 | 6 | 2 | 1 | 19-4 | 20 |
| 3. ჰალი | 9 | 6 | 2 | 1 | 14-11 | 20 |
| 4. არსენალი | 9 | 6 | 1 | 2 | 18-6 | 19 |
| 5. ასტონ ვილა | 9 | 5 | 2 | 2 | 16-10 | 17 |
| 6. მანჩესტერ იუნ. | 8 | 4 | 3 | 1 | 13-5 | 15 |
| 7. პორტსმუთი | 9 | 4 | 2 | 3 | 10-14 | 14 |
| 8. მანჩესტერ სიტი | 9 | 4 | 1 | 4 | 23-14 | 13 |
| 9. ვესტ ჰემი | 9 | 4 | 0 | 5 | 14-16 | 12 |
| 10. სანდერლენდი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-10 | 12 |
| 11. ბლექბერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-15 | 12 |
| 12. მიდლსბრო | 9 | 3 | 1 | 5 | 8-15 | 10 |
| 13. ვესტ ბრომვ. | 9 | 3 | 1 | 5 | 7-14 | 10 |
| 14. ევერტონი | 9 | 2 | 3 | 4 | 13-19 | 9 |
| 15. ვიგანი | 9 | 2 | 2 | 5 | 11-13 | 8 |
| 16. ფულჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-8 | 8 |
| 17. ბოლტონი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-12 | 8 |
| 18. სტოკი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-18 | 7 |
| 19. ნიუკასლი | 9 | 1 | 3 | 5 | 10-17 | 6 |
| 20. ტოტენჰემი | 9 | 1 | 2 | 6 | 7-12 | 5 |

**ბომბარდირები:** 7 - ზაქი (ვიგანი); 6 - დეფო (პორტსმუთი); 5 - ტორესი (ლივერპული); 4 - აგბონლაორი (ასტონ ვილა), ანელკა (ჩელსი), კარუ (ასტონ ვილა), კევინ დევისი (ბოლტონი), ვან პერსი (არსენალი).

### ჩემპიონატი

#### XIII ტური

**ბარნსლი-ბრისტოლი 0:0**

**ბირმინგემი-შეფილდ უენს. 3:1**

გოლები: 1:0 ოკონორი (11), 1:1 ესაიასი (14), 2:1 ოკონორი (15), 3:1 ფილიპსი (38).

გაძევება: სმიტი (70. შეფილდ უენსდეი)

**ბლექპული-კრ.პალასი 2:2**

გოლები: 0:1 იფილი (28), 1:1 ბერჯესი (48), 1:2 ბიტი (49), 2:2 ევათი (65).

**ჩარლტონი-ბარნლი 1:1**

გოლები: 0:1 ტომპსონი (13), 1:1 ტოდოროვი (76).

**ქოვენთრი-დერბი 1:1**

გოლები: 0:1 ჰალსი (41), 1:1 მორისონი (90).

**ნორვიჩი-დონკასტერი 2:1**

გოლები: 0:1სტოკი (77-პენ), 1:1 სიბირსკი (83), 2:1 ლიტა (90).

**ნოტინგემი-კარდიფი 0:1**

გოლი: 0:1 მაკორმაკი (54-პენ).

**პლიმუთი-იფსვიჩი 1:3**

გოლები: 0:1 გარვანი (28), 0:2 გარვანი (42), 0:3 ლისბი (48), 1:3 კეთკარტი (79).

გაძევება: ნორისი (90. იფსვიჩი)

**შეფილდ იუნ.-პრესტონი 1:0**

გოლი: 1:0 ეჰიოგუ (50).

**სვონსი-საუთჰემპტონი 3:0**

გოლები: 1:0 პრეტლი (12), 2:0 გომესი (58), 3:0 ბატლი (72).

**უოტფორდი-ვულვერჰემპტ. 2:3**

გოლები: 0:1 იველუმო (1), 1:1 რასიაკი (21), 1:2 ჯოუნსი (40), 2:2 ოტული (47), 2:3 გრეი (71).

**რედინგი-ქუინზ პარკი 0:0**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბირმინგემი | 13 | 9 | 3 | 1 | 18-8 | 30 |
| 2. ვულვერჰემპტ. | 13 | 9 | 1 | 3 | 31-21 | 28 |
| 3. რედინგი | 13 | 7 | 3 | 3 | 29-14 | 24 |
| 4. კარდიფი | 13 | 5 | 7 | 1 | 16-11 | 22 |
| 5. შეფილდ იუნ. | 13 | 6 | 3 | 4 | 16-8 | 21 |
| 6. ბრისტოლი | 13 | 5 | 5 | 3 | 16-12 | 20 |
| 7. სვონსი | 13 | 5 | 5 | 3 | 17-15 | 20 |
| 8. ბარნლი | 13 | 5 | 5 | 3 | 18-18 | 20 |
| 9. ქუინზ პარკი | 13 | 5 | 4 | 4 | 13-12 | 19 |
| 10. პლიმუთი | 13 | 5 | 3 | 5 | 17-16 | 18 |
| 11. ბლექპული | 13 | 4 | 6 | 3 | 13-14 | 18 |
| 12. შეფილდ უენს. | 13 | 5 | 3 | 5 | 15-23 | 18 |
| 13. იფსვიჩი | 13 | 4 | 5 | 4 | 20-15 | 17 |
| 14. დერბი | 13 | 4 | 5 | 4 | 15-15 | 17 |
| 15. პრესტონი | 13 | 5 | 2 | 6 | 14-17 | 17 |
| 16. კრ.პალასი | 13 | 4 | 4 | 5 | 15-14 | 16 |
| 17. ქოვენთრი | 13 | 4 | 4 | 5 | 15-16 | 16 |
| 18. ნორვიჩი | 13 | 4 | 4 | 5 | 15-16 | 16 |
| 19. უოტფორდი | 13 | 4 | 3 | 6 | 20-21 | 15 |
| 20. ჩარლტონი | 13 | 4 | 2 | 7 | 13-17 | 14 |
| 21. ბარნსლი | 13 | 3 | 3 | 7 | 10-16 | 12 |
| 22. საუთჰემპტონი | 13 | 3 | 3 | 7 | 11-21 | 12 |
| 23. დონკასტერი | 13 | 2 | 2 | 9 | 7-21 | 8 |
| 24. ნოტინგემ ფ. | 13 | 1 | 3 | 9 | 9-22 | 6 |

### I ლიგა

#### X ტური

**ტრანმერი-ქრუ 2:0, ბრისტოლი-საუთენდი 4:2, კოლჩესტერი-კარლაისლი 5:0, ჰარტლპული-ბრაიტონი 1:0, ჰერეფორდი-სტოკპორტი 0:1, ლიდსი-უოლსოლი 3:0, ლესტერი-ნორთჰემპტონი 0:0, მილტონი-ჩელტენჰემი 3:1, პიტერბორო-ჰადერსფილდი 4:0, სკანთორპი-მილუოლი 3:2, სვინდონი-ოლდჰემი 2:0, იოვილი-ლეიტონი 0:0.**

### II ლიგა

#### VIII ტური

**გრიმსბი-ბრედფორდი 1:3, აქრინგტონი-ვიკომბი 0:1, ბარნეტი-ექსეტერი 0:1, ბორნმუთი-ლინკოლნი 0:1, ბრენტფორდი-შრუსბრი 1:1, ბერი-ლუტონი 1:2, ჩესტერფილდი-ნოთს ქაუნთი 3:1, დარლინგტონი-დაგენჰემი 3:0, ჯილინგემი-ჩესტერი 2:0, მაკლსფილდი-როტერჰემი 1:2, პორტ ვეილი-მორკომბი 2:1, როჩდეილი-ოლდერშოტი 3:1.**

გერმანია. ბუნდესლიგა. IX ტური

# მომავალი პოფესია!

## კლინსმანი მეცხრე ცაზე: ბაიერნი ისევ ბაიერნია

გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვსა** და კაპიტან **მიხაელ ბალაკს** შორის გაჩაღებულმა ბრძოლამ ბუნდესლიგის მე-9 ტური ოდნავ ჩრდილში მოაქცია (აქვე გეტყვით, რომ ბალაკმა მწვრთნელისთვის ბოდიშის მოხდა გადაწყვიტა). მაგრამ შაბათის შემდეგ ბალაკი-ლიოვის თემაზე დისკუსიები შედარებით მიწყნარდა და მთავარი თემა „ბაიერნის" „დაბრუნება" გახდა. რეკორდმაისტერმა დრამატულ მატჩში „ვოლფსბურგი" დაამარცხა და ეს **იურგენ კლინსმანის** გუნდისთვის ზედიზედ მესამე გამარჯვება გახლავთ (ჩემპიონთა ლიგაში მოგებული მატჩის ჩათვლით), რის შემდეგაც შეიძლება ითქვას, რომ „ბაიერნი" ისევ ის „ბაიერნია". კლინსმანმა კრიზისული პერიოდის შემდეგ არა მარტო ვარცხნილობა შეიცვალა, არამედ შეცვალა ტაქტიკაც. აგერ უკვე სამი თამაშია, რაც მიუნხენური გრანდი ძველ, **ოტმარ ჰიტცფელდის** დროინდელ ტაქტიკას (4-4-2) დაუბრუნდა. და ბავარიელებმა სამივე მატჩი მოიგეს!

ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ მიუნხენელებმა პირველი ტაიმი 2:0 დათმეს და ისევ ცუდად თამაშობდნენ. 124 წამის განმავლობაში გაშვებული ორი გოლი ბევრ რამეზე მეტყველებს და რაც მთავარია, წესით, „ვოლფსბურგს" ორჯერ მეტი უნდა გაეტანა. მაგრამ კლინსმანმა შეძლო და მეორე ნახევარში გუნდი მთლიანად გარდაქმნა. თუკი პირველი შესვენებამდე კლინსმანს და მის გვერდით მჯდომ **ული ჰიონესს** სახეები ჩამოსტიროდათ, მესამე და მეოთხე გოლების დროს ისე დახტოდნენ და ეხუტებოდნენ ერთმანეთს, თითქოს „ბაიერნმა" გერმანიის ჩემპიონობა გაინაღდა.

*„ბაიერნმა" მეორე ტაიმში ითამაშა ფეხბურთი, რომელსაც ჩემპიონურს ვუწოდებდი. ამ წუთას 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ „ვერცხლის სინი" მიუნხენში დარჩება,"* - ეს ჰიტცფელდის სიტყვებია, რომელიც ცხადია, ამაყობს იმით, რომ ბავარიელებმა კრიზისი მას მერე დაძლიეს, რაც ოტმარის ტაქტიკას დაუბრუნდნენ.

„ვოლფსბურგის" მთავარ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს** კი დანა პირს არ უხსნიდა. „დესპოტი ფელიქსი" „ბაიერნის" წინააღმდეგ მატჩის დროს ყოველთვის განსაკუთრებით მოტივირებულია ხოლმე. ამჯერად კი, რაკი მისმა შეგირდებმა ორბურთიანი უპირატესობა გაანიავეს, მაგათმა ფეხბურთელები საფინალო სასტვენის შემდეგ ასე დასაჯა: მან ბიჭები ისევ მინდორზე შეაბრუნა და მოედნის ცენტრში ვარჯიში დაავალა - და ეს სიხარულისგან გადარეული ბაიერნელებისა და მათი ქომაგების ბედნიერი შეძახილების ფონზე. ვერაფერს იტყვი, მძიმე სასჯელია, მაგრამ მაგათს უარესებიც სჩვევია. გასაკვირი სულაც არაა, რომ ფელიქსი გაგიჟებულია, რადგან ბოლო ხუთი გასვლითი მატჩიდან, „ვოლფსბურგი" თითოეულ შეხვედრაში მინიმუმ ორ გოლს უშვებდა. მაგათი: *„უცნაური არაფერი მომხდარა. „ბაიერნი" გაცილებით ძლიერი გუნდია, ვიდრე „ვოლფსბურგი", მაგრამ დაუწერელი კანონია, როცა 2:0-ს იგებ, ის მატჩი არ უნდა წააგო, თუნდაც მსოფლიოს ნაკრებს ეთამაშებოდე."*

ის, რომ „ბაიერნი" კრიზისიდან გამოდის, ზოგადად ბუნდესლიგისთვის ძალიან კარგია, რადგან ლიდერებმა უკვე იგრძნეს „რეკორდმაისტერის" სუნთქვა და ეს გერმანულ ლიგას კიდევ უფრო დაძაბავს.

როგორც იცით, შუა კვირაში, „პანათინაიკოსის" ფანები „ვერდერის" მეკარე **კრისტიან ფანდერს** ლაზერით აბრმავებდნენ. როგორც ჩანს, ბრემენელ ფანებს ეს იდეა ძალიან მოეწონათ, რადგან შაბათს, „ჰანოვერისა" და „ვერდერის" შეხვედრის დროს, „წითლების" მეკარე **ფლორიან ფრომლოვიტცმა** მატჩის მთავარ არბიტრს რამდენჯერმე მიმართა, „ვერდერის" ფანების ტრიბუნიდან ყვითელ შუქს სახეში მანათებენო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მატჩი კინაღამ შეწყდა, რადგან აბეზარი ქომაგის მიგნება ვერ მოხერხდა. მსაჯმა **კინჰიოფერმა** მატჩი მხოლოდ იმიტომ არ შეწყვიტა, რომ მას მერე, რაც სტადიონზე გამოაცხადეს, შეწყვიტეთ „ფლოს" დაბრმავებაო, „ჰანოვერის" მეკარეს პროტესტი აღარ გამოუთქვამს. ისე, წინა ტურისგან განსხვავებით (5 გოლი „ჰოფენჰაიმისგან", აქედან 3 ახალგაზრდა მეკარის სინდისზე იყო), ფრომლოვიტცმა შესანიშნავად ითამაშა, მატჩი კი ფრედ 1:1 დასრულდა და ის, რომ „წითლებმა" „მუსიკოსებს" ქულა დაატოვებინეს, სწორედ ფლოს დამსახურებაა, რომელიც ერთი კვირის წინ ანტიგმირი იყო. „ვერდერის" დამრიგებელი **თომას შააფი** ფრით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო გახლდათ. ბრემენელთათვის პოზიტიური მხოლოდ ის არის, რომ **ტორსტენ ფრინგსი** ნელ-ნელა ფორმის პიკს უახლოვდება.

შაბათს კიდევ ერთ მეკარეს ჰქონდა გრანდიოზული დღე - კერძოდ, „არმინიის" კარის დარაჯ **აილჰოფს**. ბილეფელდურმა კლუბმა გელზენკირხენიდან ქულა წამოიღო (0:0), რაც ამ მეკარის გენიალური თამაშითაა გამოწვეული. ვითარება ძალიან დაიძაბა გასავარდნ ზონაში. ფრანკფურტის „აინტრახტი" ჯერ საერთოდ ვერ იგებდა, ახლა კი ზედიზედ ორი მატჩი მოიგო (ამჯერად კოტბუსთან 3:2) და „შავ სიას" თავი დააღწია.

გერმანიაში მწვრთნელებს თითქმის ყოველთვის წარმატებული დებიუტი აქვთ ხოლმე. არც მიონხენგლადბახის „ბორუსიის" შემთხვევა ყოფილა გამონაკლისი. **ჰანს მაიერის** დებიუტი 3-ქულიანი გამოდგა - „გლადბახმა" „რკინის ჰანსის" თაოსნობით **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" 1:0 დაამარცხა.

გუშინ, ტურის ცენტრალურ მატჩში პატარა „ჰოფენჰაიმმა" დიდი „ჰამბურგი" დაარბია - 3:0 და... ჰო, „ჰოფე" ბუნდესლიგის ლიდერია, ერთპიროვნული და დამსახურებული ლიდერი. შეუდარებელი და გასაოცარია ის სტილი, როგორც **რალფ რანგნიკის** შეგირდებმა ექსლიდერი და ბუნდესლიგის უძველესი დინო გაანადგურეს და პირველი ადგილიდან ჩამოაგდეს. „პროფესორი რალფი" სუპერგუნდს აღარ აშენებს. მას უკვე ჰყავს სუპერგუნდი!

**გოტფრიდ ლენცი**



ჰოფეს იმედმა, ჩინედუ ობასი ოგბუკემ ჰამბურგს დუბლი შეუსრულა

### მომდევნო ტური

**28 ოქტომბერი.** ვერდერი-ლევერკუზენი, ვოლფსბურგი-ბორუსია (მ), კარლსრუე-შალკე, არმინია-კოტბუსი. **29 ოქტომბერი.** ჰამბურგი-შტუტგარტი, აინტრახტი-ბაიერნი, ჰერტა-ჰანოვერი, ბოხუმი-ჰოფენჰაიმი, კიოლნი-ბორუსია (დ).

### ლევერკუზენი-კიოლნი 2:0

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი-2.5, კასტრო-3, მ. ფრიდრიხი-2, ენრიკე-3, კადლეცი-3.5, როლფესი-3, რენატო-4 (91. ჰაგი), ვიდალი-3, შვეგლერი-2.5 (88. დუმი), ჰელმესი-4 (79. გეკასი), კისლინგი-3.5.

**კიოლნი:** მონდრაგონი-2.5, ბრეჩკო-3.5, გერომელი-4, მოჰამადი-3, ვომე-4, პეტიტი-3, პეცონი-4 (81. მაკენა), ვუჩიჩევიჩი-4, ანტარი-4, ერეთი-4.5 (72. ჩიპი), ნოვაკოვიჩი-4.5.

**გოლები:** 1:0 მ. ფრიდრიხი (67), 2:0 გეკასი (84-პენ).

**გაფრთხილება:** 1-5; **დარტყმა:** 11(5)-12(3); **ჯარიმა:** 22-19; **კუთხური:** 4-3; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 19 200.

### ბაიერნი-ვოლფსბურგი 4:2

**ბაიერნი:** რენზინგი-2.5, ოდო-4.5 (46. ბოროვსკი-3), ლუსიო-5, დემიკელისი-3.5, ლელი-5, ვან ბომელი-3, ზე რობერტო-2, შვაინშტაიგერი-3, რიბერი-2, კლოზე-2.5, პოდოლსკი-4.5 (76. ოტლი).

**ვოლფსბურგი:** ბენალიო-3.5, რიტერი-5, მადლუნგი-4, ბარძალი-4.5, მ. შეფერი-4.5, ჟოსუე-2.5, ჰასებე-3.5 (57. გენტნერი-3.5), სანტანა-3.5 (64. დეჟაგა-4), მიშიმოვიჩი-4 (80. ზალიკი), გრაფიტე-3, ჯეკო-2.5.

**გოლები:** 0:1 გრაფიტე (31-პენ), 0:2 ჯეკო (33), 1:2 რიბერი (41), 2:2 ვან ბომელი (54), 3:2 ბოროვსკი (63), 4:2 შვაინშტაიგერი (80).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 19(7)-13(5); **ჯარიმა:** 28-24; **კუთხური:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 69 000.

### შალკე-არმინია 0:0

**შალკე:** ნოიერი-3, რაფინია-4, ჰიოვედესი-3, ბორდონი-2.5, კობიაშვილი-4.5, ჯონსი-3, ფ. ერნსტი-4.5 (66. ენგელაარი-3), რაკიტიჩი-3.5 (66. ასამოა-4), ფარფანი-4, ჰალილ ალთინთოფი-4 (78. სანჩესი), კურანი-3.5.

**არმინია:** აილჰოფი-1, ლამეი-3.5, ჰერციგი-3.5, ბოლმანი-2.5, შულერი-3, კუჩერა-4, ტეშე-4, კამპერი-4, ჰალფარი-3.5, კატონგო-5, ვიხნიარეკი-4 (87. ზადიკი).

**გაძევება:** კამპერი (60. არმინია).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 20(7)-7(2); **ჯარიმა:** 16-23; **კუთხური:** 8-1; **ბურთის ფლობა:** 75%-25%.

**მაყურებელი:** 60 886.

### ჰანოვერი-ვერდერი 1:1

**ჰანოვერი:** ფრომლოვიტცი-1.5, ჩერუნდოლო-4, ვინიციუსი-4.5, ფარენჰორსტი-3, რაუში-3.5 (79. ლალა), ბალიტში-4, კ. შულცი-2, კრ.ბსი-4.5 (46. შლაუდრაფი-3), პინტუ-3, ჰუშტი-2.5, ფორსელი-5 (66. ჰანკე-4).

**ვერდერი:** ფანდერი-2.5, კ. ფრიტცი-4, ბაუმანი-3, ნალდო-2.5, ბოონიში-4.5, ფრინგსი-4, ვრანიეში-3, ჰანტი-4.5, იოზილი-3.5, როზენბერგი-3.5 (75. სანოგო), უგო ალმეიდა-3.

**გოლები:** 1:0 კ. შულცი (9), 1:1 უგო ალმეიდა (41).

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 19(7)-13(5); **ჯარიმა:** 18-13; **კუთხური:** 10-8; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 49 000.

### კოტბუსი-აინტრახტი 2:3

**კოტბუსი:** ტრემელი-4.5, პავიჩევიჩი-4, კუკიელკა-4.5, კვიტანოვიჩი-3 (63. რადელიჩი-4), კადასი-3.5, ტ. როსტი-4.5, რივიჩი-3 (72. დ. სიორენსენი), სკელა-3.5, ილიევი-3.5 (55. ვასილიევიჩი-3.5), რანგელოვი-2, ბ. იელიჩი-4.5.

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-2.5, პ. ოხსი-3.5 (73. ცუმუ), რუსი-4, გალინდო-4.5, შპიხერი-3.5, ინამოტო-3, მ. ფინკი-3, შტაინჰიოფერი-2.5, ლიუბიჩიჩი-5 (46. ქორქმაზი-3), კაიო-3.5 (61. ფენინი-3), ლიბეროპულოსი-3.5.

**გოლები:** 1:0 რანგელოვი (8), 2:0 რანგელოვი (15), 2:1 მ. ფინკი (38), 2:2 ფენინი (68), 2:3 ლიბეროპულოსი (74).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 14(4)-16(8); **ჯარიმა:** 19-20; **კუთხური:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 13 294.

### ბორუსია (მ)-კარლსრუე 1:0

**ბორუსია (მ):** გოსპოდარეკი-2.5, სფერდი-4.5, კლაინე-4.5, დაემსი-3, ფოიგტი-3.5, ალბერმანი-4, პააუვე-3.5, მატმური-3.5 (85. ნდიენგი), ბრედლი-4.5 (77. კულიბალი), მარინი-4 (65. ნოივილი-3.5), ფრენდი-3.

**კარლსრუე:** მილერი-3.5, ჩელოზი-4, სებასტიანი-4.5, ფრანცი-3.5, აიხნერი-3.5, მუტცელი-4 (46. ადუბე-4), პორჩელო-4.5, ფრაისი-4.5, ა. და სილვა-4 (64. ტიმი-4), იაშვილი-3 (79. კაპლანი), კენედი-4.

**გოლი:** 1:0 პააუვე (51).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 12(2)-17(2); **ჯარიმა:** 24-11; **კუთხური:** 3-12; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 42 051.

### შტუტგარტი-ბოხუმი 2:0

**შტუტგარტი:** ლემანი-2.5, ოსორიო-4 (56. ელსონი-3.5), ტასკი-3, დელპიერი-3.5, მანინი-4, ხედირა-3.5, ჰიტცლშპერგერი-2.5, ჰილბერტი-3, ბოკა-4.5 (67. მარიკა-4), გომესი-1.5, კაკაუ-3.5 (84. ბულარუზი).

**ბოხუმი:** ფერნანდესი-3, პფერტცელი-3.5, მალტრიტცი-4, იაია-3.5, კ. ფუხსი-4, ო. შრიოდერი-4.5 (84. მიჩიელი), დაბროვსკი-4.5, ფრაიერი-4, აზაუაგი-5, შესტაკი-4.5 (71. გროტე), შინანი-4.

**გოლები:** 1:0 გომესი (80), 2:0 გომესი (83).

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 14(5)-8(3); **ჯარიმა:** 18-26; **კუთხური:** 4-5; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 43 000.

### ბორუსია (დ)-ჰერტა 1:1

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-3, ლი-3.5, სუბოტიჩი-4, ჰუმელსი-4, შმელცერი-4.5 (60. ოვომოიელა-4), კელი-2.5, ტინგა-3.5 (72. ზიდანი), კრინგე-3.5, ჰაინალი-3, ბლაშჩიკოვსკი-3 (20. ფრაი-3.5), ვალდესი-4.5.

**ჰერტა:** დრობნი-3.5, ჩაჰედი-4, ა. ფრიდრიხი-3.5, კაკა-3, მ. შტაინი-4, ლუსტენბერგერი-4 (61. დარდაი-4), კაჩარი-4.5, ნიკუ-4, სისერო-4, რაფაელი-3.5, პანტელიჩი-4 (77. დომოვჩიისკი).

**გოლები:** 0:1 სისერო (31-პენ), 1:1 კელი (71).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 24(7)-15(5); **ჯარიმა:** 15-16; **კუთხური:** 10-5; **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 66 600.

### ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი 3:0

**ჰოფენჰაიმი:** ჰაასი-2.5, ბეკი-2.5, იაისლე-2, კომპერი-3, იბერტსბერგერი-2.5, კარლოს ედუარდო-2 (84. კოპადო), ლუის გუსტავო-3, სალიჰოვიჩი-2.5 (82. ტებერი), ობასი ოგბუკე-1, ბა-2.5 (74. ფორსა), იბიშევიჩი-3.5.

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-4, დემელი-4.5 (81. ჯ. ბოატენგი), ალექს სილვა-4.5, ბ. რაინჰარდტი-4, მატიისენი-4, იაროლიმი-4.5, ბენჯამინი-5 (46. აოგო-4), პიტროიპა-4.5, ტროხოვსკი-4.5 (71. ბენ-ჰატირა), პეტრიჩი-5, ოლიჩი-4.

**გოლები:** 1:0 ობასი ოგბუკე (7), 2:0 იბიშევიჩი (13), 3:0 ობასი ოგბუკე (35).

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 16(8)-5(0); **ჯარიმა:** 17-17; **კუთხური:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 26 300.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოფენჰაიმი | 9 | 6 | 1 | 2 | 24-14 | 19 |
| 2. ლევერკუზენი | 9 | 6 | 0 | 3 | 22-11 | 18 |
| 3. ჰამბურგი | 9 | 5 | 2 | 2 | 15-15 | 17 |
| 4. შტუტგარტი | 9 | 5 | 1 | 3 | 15-10 | 16 |
| 5. ბაიერნი | 9 | 4 | 3 | 2 | 20-15 | 15 |
| 6. ჰერტა | 9 | 4 | 3 | 2 | 11-10 | 15 |
| 7. შალკე | 9 | 3 | 5 | 1 | 12-8 | 14 |
| 8. ბორუსია (დ) | 9 | 3 | 5 | 1 | 17-15 | 14 |
| 9. ვოლფსბურგი | 9 | 3 | 4 | 2 | 20-16 | 13 |
| 10. ვერდერი | 9 | 3 | 4 | 2 | 23-20 | 13 |
| 11. კიოლნი | 9 | 4 | 1 | 4 | 8-11 | 13 |
| 12. აინტრახტი | 9 | 2 | 3 | 4 | 10-14 | 9 |
| 13. კარლსრუე | 9 | 3 | 0 | 6 | 8-13 | 9 |
| 14. ჰანოვერი | 9 | 2 | 3 | 4 | 10-17 | 9 |
| 15. ბოხუმი | 9 | 1 | 4 | 4 | 12-15 | 7 |
| 16. არმინია | 9 | 1 | 4 | 4 | 10-16 | 7 |
| 17. ბორუსია (მ) | 9 | 2 | 1 | 6 | 9-17 | 7 |
| 18. კოტბუსი | 9 | 1 | 2 | 6 | 5-14 | 5 |

**ბომბარდირები:** 10 - იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი); 8 - ჰელმესი (ლევერკუზენი); 6 - ვიხნიარეკი (არმინია); 5 - პისარო (ვერდერი), ბა (ჰოფენჰაიმი), ნოვაკოვიჩი (კიოლნი), გომესი (შტუტგარტი).

### II ბუნდესლიგა

**ფიურტი-ალემანია 1:1**

გოლები: 0:1 შტელე (23), 1:1 ალაგუი (43).

**ზტ. პაული-ვეენი 2:0**

გოლები: 1:0 ბრუნენმანი (57), 2:0 ბოლი (61).

**ალენი-ფრაიბურგი 0:3**

გოლები: 0:1 აბდესადკი (15), 0:2 გლონკერი (27), 0:3 იდრისუ (83).

**ფრანკფურტი-ჰანზა 0:0**

**ინგოლშტადტი-აუგსბურგი 1:2**

გოლები: 1:0 დემირი (1), 1:1 ვერნერი (28), 1:2 ვერნერი (41).

**მაინცი-დუისბურგი 0:0**

**კობლენცი-ნიურნბერგი 1:1**

გოლები: 0:1 ენგელჰარდტი (2), 1:1 კუქი (83).

**ოსნაბრიუკი-მიუნხენ 1860 0:2**

გოლები: 0:1 ლევჯერვუდი (40), 0:2 ლაუთი (55).

**ობერჰაუზენი-კაიზერსლაუტ. 2:1**

გოლები: 0:1 ლაკიჩი (23), 1:1 კრუსე (38), 2:1 ტერანოვა (70).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფრაიბურგი | 9 | 6 | 1 | 2 | 18-5 | 19 |
| 2. კაიზერსლაუტ. | 9 | 6 | 1 | 2 | 20-15 | 19 |
| 3. მაინცი | 9 | 5 | 3 | 1 | 20-10 | 18 |
| 4. დუისბურგი | 9 | 4 | 3 | 2 | 15-10 | 15 |
| 5. ფიურტი | 9 | 4 | 2 | 3 | 22-16 | 14 |
| 6. ალემანია | 9 | 4 | 2 | 3 | 13-11 | 14 |
| 7. ალენი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-17 | 14 |
| 8. ჰანზა | 9 | 3 | 4 | 2 | 21-11 | 13 |
| 9. მიუნხენ 1860 | 9 | 4 | 1 | 4 | 14-9 | 13 |
| 10. ზტ. პაული | 9 | 4 | 1 | 4 | 17-20 | 13 |
| 11. ოსნაბრიუკი | 9 | 3 | 2 | 4 | 15-19 | 11 |
| 12. ნიურნბერგი | 9 | 2 | 4 | 3 | 11-12 | 10 |
| 13. ინგოლშტადტი | 9 | 3 | 1 | 5 | 14-20 | 10 |
| 14. კობლენცი | 9 | 3 | 3 | 3 | 14-16 | 9 |
| 15. აუგსბურგი | 9 | 3 | 0 | 6 | 12-16 | 9 |
| 16. ობერჰაუზენი | 9 | 3 | 0 | 6 | 10-22 | 9 |
| 17. ფრანკფურტი | 9 | 1 | 3 | 5 | 9-15 | 6 |
| 18. ვეენი | 9 | 1 | 3 | 5 | 8-21 | 6 |

**ბომბარდირები:** 9 - ალაგუი (ფიურტი); 7 - დემირი (ინგოლშტადტი); 6 - აუერი (ალემანია), ტობორგი (ალენი), იდრისუ (ფრაიბურგი); 5 - ტორგელე (აუგსბურგი), მაკიადი (დუისბურგი), იენდრიშეკი (კაიზერსლაუტერნი).

### III ბუნდესლიგა

**ერფურტი-რეგენსბურგი 4:1, ბრაუნშვაიგი-კარლ ცაისი 1:2, დრეზდენი-აალენი 1:1, უნიონი-პადერბორნი 3:2, შტუტგარტი II-დიუსელდორფი 0:4, ბურგჰაუზენი-აუე 0:4, ოფენბახი-შტუტ. კიკერსი 4:0, ვუპერტალი-ვერდერი II 2:1, ემდენი-ზანდჰაუზენი 3:0, ბაიერნი-უნტერჰახინგი 0:0.**

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

X ტური

**ოსერი-ლიონი 0:0**

**ოსერი:** რე. რიუ, ენგბარტი, გრიშტინგი, მინო, დუდკა, ნარი, პედრეტი, კალენბერგი, ლეჟონი (54. ოლიეში), იელენი (90+3. ალ. ტრაორე), ნიკულაე (89. ლანგილი).

**ლიონი:** ვერკუტრი, რევეიერი, კრისი, ბუმსონგი, გროსო, ტულალანი, კალსტრიომი (46. პიანიჩი), ჟუნინიო, აბ. კეიტა, ედერსონი (73. ფრედი), ბენზემა (84. მაკუნი).

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 15 042

**ჰავრი-ვალანსი 2:1**

**ჰავრი:** რევო, ანენი (46. ბაკა), ნესტორი, ჟილე, ტისიერი, დიოზი, ნორო, ალასანი, ალა (83. ანინი), ლესაჟი, ბოლი (62. ფონტენი).

**ვალანსი:** პენეტო, მო. ტრაორე, ბიშევაცი, რაფაელი (85. ლაკური), ტიენე, საესი (79. ტრაორე), სანჩესი, დანიკი (64. ბეზაზი), ბანგური, პუჟოლი, პიერონი.

**გოლები:** 0:1 პიერონი (1), 1:1 ლესაჟი (24), 2:1 ლესაჟი (49)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 13 283

**ლილი-კაენი 2:2**

**ლილი:** მალიჩკი, შეიჯუ, ბერია (80. ჰაზარი), რამი, ემერსონი, მავუბა, ბალმონი (67. დებუში), ბასტოსი, კაბიე, ობრანიაკი, დე მელო (69. ფოვერგი).

**კაენი:** პლანტე, ბარზოლა, ლეკა, სორბონი, სეობი, პრომანი, რ. გომისი (53. ლემაეტრი), ბენ ხალფალა, ნივე (88. ადნანი), ფლორენტენი (81. ტუდიჩი), სავიდანი.

**გოლები:** 1:0 ობრანიაკი (9), 2:0 ობრანიაკი (39), 2:1 სეობი (46), 2:2 სავიდანი (63)

**გაფრთხილება:** 0-0

**მაყურებელი:** 13 841

**ლორიანი-ნანტი 3:0**

**ლორიანი:** კაპონე, ჟალე, მარშალი, სიანი, ლე ლანი, მანსური, ამალფიტანო (84. ვაირუა), ჟუფრე (73. სორო), მორელი (77. აიევი), გამეირო, აბრიელი.

**ნანტი:** ალონსო (85. ერტებისი), მულეკი, გრავგაარდი, პიერი, მარევალი, ნ'დავი, და როშა (76. ჯორჯევიჩი), ფატი, ბეკამენგა (67. კესერუ), კლასნიჩი, ბაგაიოკო.

**გოლები:** 1:0 აბრიელი (31), 2:0 მორელი (55), 3:0 გამეირო (76)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 13 128

**ნიცა-ბორდო 2:2**

**ნიცა:** ოსპინა, დ. დიაკტე, აპამი, კანტე, როოლი, ეშუაფნი (77. ყონეშამი), ფაე, ელებუიკი, ბამოგო (33. მა. ტრაორე), ბენ საადა (65. მულუნგუი), რემი.

**ბორდო:** რამე, შალმე, პლანუსი, ს. დიაბარა, პლასენტე, ფერნანდო, დუკასი, გუფრანი (65. ობერტანი), ვენდელი (80. ა. დიარა), კავენაგი (65. გურკუფი), შამახი.

**გოლები:** 0:1 ვენდელი (10), 0:2 კავენაგი (58-პენ), 1:2 მულუნგუი (85), 2:2 რემი (90+6-პენ)

**გაფრთხილება:** 1-4

**მაყურებელი:** 15 000

**რენი-ლე მანი 2:2**

**რენი:** დუშე, ფანი, მანგანი, ჰანსონი, ბოკანეგრა, ლემუანი, ბრ. შეირუ (76. ეშიეჟილე), ჟ. ლერუა (74. კემბო), პადისი, სოვი (63. ვილტორი), ბრიანი.

**ლე მანი:** ი. პელე, ლუვიონი, პაულო ანდრე, სედრანი, იბ. კამარა, კუტადორი (46. ალ. კეიტა), ფ. ტომასი, ჟერვინიო, სტრომსტადი (85. გედერი), მაიგა, ჰელსტადი (38. ლამა).

**გოლები:** 0:1 ჟერვინიო (10), 1:1 ბრიანი (15), 1:2 კუტადორი (34-პენ), 2:2 პაჟისი (78)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 23 555

**ტულუზა-მონაკო 0:0**

**ტულუზა:** კარასო, ებონდო, სეტო, მ. ფოფანა, მ'ბენგი, სირიეი (76. ლარსენი), ე. კაპუე, მუ. სისოკო (79. ბონე), ე. დიდო, მატიო, გინიაკი.

**მონაკო:** რუფიე, ადრიანო, კუფრე, შიმიჩი, ნ'კულუ, პოკრივაცი (72. მელო), პერესი, ალონსო, მერიემი, ლიკატა (46. ნიმანი), პარკი.

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 17 704

**ნანსი-სოშო 1:1**

**ნანსი:** ბრასილიანო, ანდრე ლუისი, კალვე, მაკალუსო, ჰაჯი (88. ელდერი), ბერენგერი, გავანონი, ბრისონი, ფერე (67. მალონგა), ზერკა (78. ნ'გემო), ფორტუნე.

**სოშო:** რიშერი, დაფი, პერკისი, იოკიჩი, კარლაო, აფოლაბი, ს. დალმა, პიტო, მარტენი (83. ტულასნი), ბუდებუ (77. ბირსა), ერდინგი (75. სანტოსი).

**გოლები:** 0:1 ს. დალმა (19), 1:1 ფორტუნე (74)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 17 016

**სტ. ეტიენი-გრენობლი 0:2**

**სტ. ეტიენი:** ვივიანი, ბენალუანი, ტავლარიდისი, სოგე, მაცუი (46. დერნისი), პერენი, მატუიდი, მაჩადო (79. გრაქსი), გომისი, მირალა (46. გილიოტი), პეიე.

**გრენობლი:** ვიმბე, ფლაშე, ვიტაკიჩი, ქატლი, კურტუა (81. ბანინგი), რობენი, რეგრაგი, რომაო, ფუგელი (68. ჯა ჯეჯე), მორეირა (75. დიმიტრიევიჩი), აკრური.

**გოლები:** 0:1 მორეირა (3), 0:2 ჯა ჯეჯე (82)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 31 519

**მარსელი-პსჟ 2:4**

**მარსელი:** მანდანდა, ილტონი, კანია, ტაივო, ბონარტი, მბამი, კაბორი (71. სამასა), ნიანგი (82. ზენდენი), შეირუ, ვალბუენა, კონე.

**პსჟ:** ლანდრო, კამარა, ბურიონი, არმანი, სეარა, მაკელელე, როტენი, სესენიონი (90. შანტომი), ლუინდულა, ორუ, პანკრატი (84. სახო).

**გოლები:** 0:1 ორუ (10), 1:1 ნიანგი (21), 2:1 ვალბუენა (45), 2:2 ლუინდულა (53), 2:3 როტენი (77), 2:4 ორუ (82).

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 60 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 10 | 6 | 3 | 1 | 14-8 | 21 |
| 2. მარსელი | 10 | 5 | 4 | 1 | 20-13 | 19 |
| 3. ლე მანი | 10 | 5 | 3 | 2 | 18-11 | 18 |
| 4. ბორდო | 10 | 5 | 3 | 2 | 14-10 | 18 |
| 5. ტულუზა | 10 | 5 | 3 | 2 | 9-8 | 18 |
| 6. პსჟ | 10 | 5 | 2 | 3 | 12-9 | 17 |
| 7. გრენობლი | 10 | 5 | 2 | 3 | 10-8 | 17 |
| 8. ლილი | 10 | 4 | 4 | 2 | 15-13 | 16 |
| 9. რენი | 10 | 3 | 6 | 1 | 13-9 | 15 |
| 10. ნიცა | 10 | 4 | 3 | 3 | 14-12 | 15 |
| 11. კაენი | 10 | 3 | 4 | 3 | 16-12 | 13 |
| 12. ოსერი | 10 | 3 | 3 | 4 | 10-11 | 12 |
| 13. მონაკო | 10 | 2 | 4 | 4 | 6-9 | 10 |
| 14. სტ.ეტიენი | 10 | 3 | 1 | 6 | 6-10 | 10 |
| 15. ნანტი | 10 | 3 | 1 | 6 | 7-16 | 10 |
| 16. ნანსი | 10 | 1 | 6 | 3 | 7-10 | 9 |
| 17. ლორიანი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-14 | 9 |
| 18. ჰავრი | 10 | 2 | 2 | 6 | 8-14 | 8 |
| 19. ვალანსიენი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-16 | 7 |
| 20. სოშო | 10 | 0 | 6 | 4 | 10-14 | 6 |

**ბომბარდირები:** 6 - ბენზემა (ლიონი); 5 - გინიაკი (ტულუზა), რემი (ნიცა), სავიდანი (კაენი).

### II დივიზიონი

XII ტური

| | |
|---|---|
| შატორუ-ბასტია | 2:0 |
| კლერმონი-მონპელიე | 2:1 |
| ანჟერსი-ტური | 2:0 |
| ბრესტი-მეცი | 2:1 |
| ლანსი-ამიენი | 2:0 |
| ნიმი-ბულონი | 0:1 |
| სედანი-დიჟონი | 2:1 |
| ტრუა-გინგამი | 2:2 |
| ვანი-რეიმსი | 1:0 |
| აიაჩო-სტრასბური | დღეს |

## რუმინეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| პანდური-ვასლუი | 1:0 |
| არჯეში-პოლიტეხნიკა (ი) | 3:0 |
| ბრაშოვი-გლორია (ბის) | 0:0 |
| უნირეა-ფარული | 1:0 |
| დინამო-ოცელული | 1:0 |
| გაზ მეთანი-უნივერსიტატეა | 2:5 |
| სტიაუა-გლორია (ბუზ) | 1:1 |
| პოლიტეხნიკა (ტ)-კლუჟი | 2:1 |
| ოტოპენი-რაპიდი | დღეს |

## არგენტინა

XI ტური

| | |
|---|---|
| სან მარტინი-არსენალი | 1:0 |
| ლანუსი-გოდოი | 4:3 |
| ველესი-კოლონი | 0:3 |
| ურაკანი-ტიგრე | 0:3 |
| ნიუელსი-ესტუდიანტესი | 1:1 |
| ინდეპენდიენტე-არგ. ხუნიორსი | 1:1 |
| ბოკა-როსარიო | 2:1 |
| რასინგი-სან ლორენსო | 2:1 |
| ხიმნასია (ხ)-რივერი | გვ. დასრულდა |
| ხიმნასია (ლ)-ბანფილდი | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

VIII ტური

| | |
|---|---|
| სენტრალი-პენიაროლი | 0:0 |
| სერო ლარგო-რასინგი | 0:0 |
| რამპლა-მონტევიდეო | 1:1 |
| ტაკუარემბო-ხუვენტუდი | 0:1 |
| ლივერპული-სერო | 1:2 |
| ბელა ვისტა-ნასიონალი | 0:1 |
| დანუბიო-რივერ პლეიტი | 3:0 |
| ვ. ესპანიოლა-დეფენსორი | 1:3 |

## პოლონეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| პიასტი-რუხი | 0:0 |
| ბელხატოვი-პოლონია (ვ) | 1:2 |
| იაგელონია-ლეხია | 2:0 |
| კრაკოვია-ოდრა | 0:0 |
| გურნიკი-ლკს | 2:0 |
| ლეხი-შლიონსკი | 1:1 |
| არკა-პოლონია (ბ) | 1:3 |
| ლეგია-ვისლა | 2:1 |

## უკრაინა

XII ტური

| | |
|---|---|
| არსენალი-ვორსკლა | 0:0 |
| ზორია-ლვოვი | 1:1 |
| კარპატი-მეტალურგი (ზ) | 0:0 |
| ტავრია-დინამო | 1:3 |
| კრივბასი-ილიჩივეცი | 0:0 |
| ჩერნომორეცი-დნიპრო | 1:1 |
| ხარკოვი-შახტარი | 0:0 |
| მეტალურგი (დ)-მეტალისტი | 0:2 |

## მექსიკა

XIV ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-ტოლუკა | 0:0 |
| სან ლუისი-მონტერეი | 2:0 |
| პაჩუკა-მორელია | 1:1 |
| ტიგრესი-ნეკაქსა | 1:1 |
| ატლასი-ს. ლაგუნა | 2:1 |
| პუებლა-კრუს ასული | 2:2 |
| პუმასი-ინდიოსი | 1:1 |
| ატლანტე-ტეკოსი | გადაიდო |
| ამერიკა-ჩივასი | გვ. დასრულდა |

## ჰოლანდია

VII ტური

| | |
|---|---|
| ჰერაკლესი-დენ ჰააგი | 3:1 |
| ალკმაარი-ვოლენდამი | 3:0 |
| გრონინგენი-სპარტა | 3:0 |
| ვილემი-გრააფსხაპი | 1:1 |
| ეინდჰოვენი-როდა | 2:3 |
| აიაქსი-ნიიმეგენი | 2:0 |
| უტრეხტი-ბრედა | 0:0 |
| ვიტესი-ტვენტე | 0:2 |
| ფეიენოორდი-ჰერენვენი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გრონინგენი | 7 | 5 | 1 | 1 | 16-3 | 16 |
| 2. ბრედა | 7 | 5 | 1 | 1 | 16-9 | 16 |
| 3. ალკმაარი | 7 | 5 | 0 | 2 | 18-7 | 15 |
| 4. ტვენტე | 7 | 4 | 2 | 1 | 11-6 | 14 |
| 5. აიაქსი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-9 | 13 |
| 6. ეინდჰოვენი | 7 | 4 | 0 | 3 | 13-7 | 12 |
| 7. ჰერაკლესი | 7 | 3 | 3 | 1 | 12-8 | 12 |
| 8. ჰერენვენი | 7 | 3 | 3 | 1 | 18-15 | 12 |
| 9. ნიიმეგენი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-7 | 11 |
| 10. ვილემი | 7 | 3 | 2 | 2 | 11-11 | 11 |
| 11. დენ ჰააგი | 7 | 3 | 1 | 3 | 11-10 | 10 |
| 12. უტრეხტი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-8 | 8 |
| 13. გრააფსხაპი | 7 | 2 | 1 | 4 | 4-11 | 7 |
| 14. როდა | 7 | 1 | 3 | 3 | 8-13 | 6 |
| 15. ფეიენოორდი | 7 | 1 | 2 | 4 | 11-13 | 5 |
| 16. სპარტა | 7 | 1 | 2 | 4 | 6-18 | 5 |
| 17. ვიტესი | 7 | 0 | 2 | 5 | 4-16 | 2 |
| 18. ვოლენდამი | 7 | 0 | 0 | 7 | 5-20 | 0 |

### II დივიზიონი

XIII ტური

ემენი-აპელდორნი 2:3; ექსელსიორი-ტოპ ოსი 2:1; დენ ბოში-ეინდჰოვენი A 0:2; დორდრეჰტი-ფორტუნა 3:0; ცვოლე-ვაალვიკი 1:1; ჰელმონდი-ჰაარლემი 1:1; მაასტრიხტი-ომნივორლდი 2:1; როსენდალი-კამბური 1:2; ვენლო-ვეენდამი 1:0; ტელსტარი-იგლზი 4:1.

## ჩეხეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| სიგმა-ლიბერეცი | 2:1 |
| სპარტა-პრშიბრამი | 3:0 |
| კლადნო-ვიქტორია | 1:0 |
| ბრნო-ბუდეიოვიცე | 1:1 |
| იაბლონეცი-ტეპლიცე | 0:2 |
| ბოჰემიანსი-პლზენი | 0:2 |
| ზლინი-ბანიკი | 2:5 |
| ბოლესლავი-სლავია | დღეს |

### II დივიზიონი

XIII ტური

ვიტკოვიცე-უსტი 0:1; მოსტი-ტრშინეცი 2:2; სოკოლოვი-დუკლა 2:1; სპარტა II-პრადეცი 0:1; ფულნეკი-ოპავა 0:1; კარვინა-სლოვაცკო 1:1; ჩასლავი-ოლომოუცი 1:0; ბოჰემიანსი-იჰლავა .

## კვიპროსი

VI ტური

| | |
|---|---|
| ენოსისი-ატრომიტოსი | 1:0 |
| აპოპ-აპოელ | 1:2 |
| ალკი-აპოლონი | C:3 |
| აეკ-ეთნიკოსი | 1:1 |
| აეპ-აპეპ | 1:1 |
| აელ-დოხა | დღეს |
| ომონია-ანორთოსისი | დღეს |

## დანია

XI ტური

| | |
|---|---|
| აგფ ორჰუსი-ვეილე | 2:1 |
| ნორდსილანდი-ჰორსენსი | 3:1 |
| ბრონდბიუ-მიდტიულანდი | 3:0 |
| რანდერსი-ოლბორგი | 2:2 |
| კოპენჰაგენი-ოდენსე | 0:0 |
| ესბიერგი-სონდერილი | დღეს |

### II დივიზიონი

XI ტური

აკადემისკი-ვიბორგი 2:1; ფრემადისკივე 2:2; ჰვიდოვრე-ნაესტვედი 1:2; ფრედერისია-ფრემი 2:2; როსკილდე-ტისტედი 1:0; ჰერფიოლგე-ლუნგბიუ 1:1; კიოგე-ნიკიობინგი 1:1; სილკებორგი-კიოლდინგი 2:2.

## უნგრეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| დებრეცენი-ჰონვედი | 4:1 |
| პალადაში-მტკ | 0:0 |
| შიოფოკი-დიოშდიორი | 4:1 |
| ფეჰერვარი-დიორი | 3:2 |
| კეჩკემეტი-კაპოშვარი | 3:4 |
| რეაკ-ვაშაში | 0:2 |
| უიპეშტი-პაკში | 3:1 |
| ნირედიჰაზა-ზალაეგერსეგი | 1:1 |

## ისრაელი

VII ტური

| | |
|---|---|
| ჰაკოაჰი-მაკაბი (ნ) | 1:2 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ბნეი იეჰუდა | 2:0 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-მაკაბი (ფ-თ) | 0:1 |
| აშდოდი-ბეითარი | 1:2 |
| ჰაპოელი (ქ)-ბნეი სახნინი | 1:2 |
| მაკაბი (ჰ)-მაკაბი (თ-ა) | დღეს |

## აშშ

| | |
|---|---|
| ნიუ ინგლენდი-კანზასი | 1:3 |
| კოლორადო-სოლტ ლეიკი | 1:1 |
| სან ხოსე-ტორონტო | 2:0 |
| ჩივასი-ჰიუსტონი | 1:1 |
| ლოს ანჯელესი-დალასი | 2:2 |

## ეკვადორი

III ტური

| | |
|---|---|
| დეპ. კუენკა-ელ ნასიონალი | 1:1 |
| დეპ. მაკარა-ბარსელონა | 1:1 |
| ლიგა დე კიტო-დეპ. კიტო | 0:2 |

## ბელგია

IX ტური

| | |
|---|---|
| კორტრეიკი-მუსკრონი | 2:2 |
| ანდერლეხტი-მეხელენი | 7:1 |
| სერკლი-დენდერი | 1:2 |
| შარლერუა-ლოკერენი | 1:1 |
| მონსი-ბევერსხოტი | 0:0 |
| რუზელარე-ვარეგემი | 0:3 |
| ვესტერლო-ტუბეკე | 4:1 |
| გენტი-ბრიუგე | 3:0 |
| გენკი-სტანდარტი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 9 | 6 | 1 | 2 | 23-11 | 19 |
| 2. სტანდარდი | 8 | 6 | 1 | 1 | 15-8 | 19 |
| 3. მუსკრონი | 9 | 5 | 2 | 2 | 17-11 | 17 |
| 4. ბრიუგე | 8 | 5 | 2 | 1 | 13-7 | 17 |
| 5. ვესტერლო | 9 | 5 | 2 | 2 | 13-10 | 17 |
| 6. გენკი | 8 | 5 | 1 | 2 | 14-10 | 16 |
| 7. გენტი | 9 | 4 | 3 | 2 | 19-11 | 15 |
| 8. ლოკერენი | 9 | 3 | 5 | 1 | 11-6 | 14 |
| 9. ვარეგემი | 8 | 4 | 1 | 3 | 13-8 | 13 |
| 10. კორტრეიკი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-14 | 12 |
| 11. შარლერუა | 9 | 3 | 2 | 4 | 9-12 | 11 |
| 12. სერკლი | 9 | 3 | 1 | 5 | 13-16 | 10 |
| 13. მონსი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-14 | 8 |
| 14. დენდერი | 9 | 2 | 2 | 5 | 12-18 | 8 |
| 15. მეხელენი | 9 | 2 | 2 | 5 | 11-20 | 8 |
| 16. ბევერსხოტი | 9 | 1 | 5 | 3 | 8-8 | 8 |
| 17. ტუბეკე | 9 | 1 | 1 | 7 | 6-18 | 4 |
| 18. რუზელარე | 9 | 0 | 2 | 7 | 3-16 | 2 |

### II დივიზიონი

XI ტური

დაინცე-ბევერენი 2:2; ეუპენი-სტ. ტრუიდენი 2:3; ლომელი-რონსე 1:0; ნამური-ოლ. შარლერუა 1:1; ტურნე-ბრიუსელი 0:0; ვაასლანდი-ლიერსი 2:2; ლიეჟი-ჰამე 2:3; ოსტენდე-ჰევერლე 2:2; ტინენი-ვირტონი 1:1.

## საბერძნეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| ლარისა-პანთრაკიკოსი | 1:2 |
| ასტერასი-ოფი | 2:2 |
| პაოკ-ლევადია | 3:1 |
| ქსანტი-პანსერაიკოსი | 2:1 |
| ერგოტელისი-პანიონიოსი | 2:5 |
| პანათინაიკოსი-ირაკლისი | 2:2 |
| არისი-ოლიმპიაკოსი | 1:0 |
| ტრასიბულოსი-აეკ | 3:3 |

### II დივიზიონი

VIII ტური

ეთნიკოსი (მ)-კავალა 2:0; აგროტიკოსი-ეთნიკოსი (ა) 3:0; ატრომიტოსი-პიერიკოსი 2:1; დიაგორასი-ილისიაკოსი 1:1; იონიკოსი-იანინა 1:1; კასტორია-კარდიცასი 2:1; კერკირა-კალითეა 2:1; ვერია-კალამატა 1:0; ოლიმპიაკოსი (ვ)-კალამარია დღეს.

## შვედეთი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| იურგორდენი-კალმარი | 0:1 |
| ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 1:1 |
| გეფლე-ჰამარბიუ | 3:0 |
| გიოტებორგი-ელფსბორგი | 5:2 |

### II დივიზიონი

XXX ტური

ასირისკა-ანგელჰოლმი 1:2; ბრომაპოიკარნა-დეგერფორსი 2:0; ენჩოპინგი-მიალბიუ 2:1; ჰაკენი-ლანდსკრონა 4:0; იონჩოპინგი-ბუნკეფლო 1:1; კვიდინგი-ფალკენბერგი 1:2; სირიუსი-იორგრიტე 2:2; ვასბი-ატვიდაბერგი 1:2.

## ნორვეგია

XXV ტური

| | |
|---|---|
| ბოდო გლიმტი-სტრომსგოდსეტი | 3:2 |
| ბრანი-ტრომსიო | 1:1 |
| ლილესტრიომი-რუსენბორგი | 4:2 |
| ლინი-ოლესუნდი | 3:0 |
| მიოლდე-ფრედრიკსტადი | 1:2 |
| სტაბეკი-ვოლერენგა | 6:2 |
| ვიკინგი-ჰამარი | 3:0 |

### II დივიზიონი

XXIX ტური

ალტა-ჰიოდი 7:2; ჰიონეფოსი-სპარტა 1:0; კონგსვინგერი-სანდეფიორდი 0:3; მოსი-ბრინი 1:2; ნოტოდენი-ნიბერგსუნდი 1:0; ოდ გრენლანდი-სტარტი 3:2; სიოგნდალი-ლოვ ჰამი 4:0; სანდნესი-ჰაუგესუნდი 2:4.

## სერბეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| იაგოდინა-ჰაიდუკი | 1:0 |
| იავორი-ნაპრედაკი | 2:1 |
| რადი-ბანატი | 1:1 |
| ცრ. ზვეზდა-ოფკ | 5:1 |
| ვოივოდინა-ბორაცი | 1:0 |
| ჩუკარიჩკი-პარტიზანი | 1:0 |

## ჩრ. ირლანდია

XI ტური

| | |
|---|---|
| ბანგორი-დუნგანონი | 3:1 |
| კოლრეინი-ნიური | 1:0 |
| კრუზეიდერსი-ინსტიტუტი | 1:0 |
| გლენავონი-გლენტორანი | 1:2 |
| ლისბურნი-ბალიმენა | 1:0 |
| კლიფტონვილი-ლინფილდი | დღეს |

## ბრაზილია

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ფლუმინენსე-პალმეირასი | 3:0 |
| იპატინგა-ბოტაფოგო | 0:3 |
| ატ. მინეირო-ინტერნასიონალი | 2:2 |
| ატ. პარანაენსე-კრუზეირო | 1:0 |
| ნაუტიკო-პორტუგეზა | 1:1 |
| სანტოსი-ფიგეირენსე | 3:0 |

## პორტუგალია

VI ტური

| | |
|---|---|
| ტროფენსე-აკადემიკა | 0:0 |
| ბელენენსეში-გიმარაეში | 1:1 |
| პორტუ-ლეიქსოეში | 2:3 |
| მარიტიმუ-რიუ ავე | 1:1 |
| ნასიონალი-სეტუბალი | 1:0 |
| ბენფიკა-ნავალი | 2:1 |
| ფერეირა-სპორტინგი | გვ. დასრულდა |
| ბრაგა-ამადორა | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნასიონალი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-5 | 13 |
| 2. ლეიქსოეში | 6 | 4 | 1 | 1 | 10-7 | 13 |
| 3. პორტუ | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 11 |
| 4. ამადორა | 5 | 3 | 1 | 1 | 4-2 | 10 |
| 5. ბენფიკა | 5 | 2 | 3 | 0 | 9-6 | 9 |
| 6. სპორტინგი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-5 | 9 |
| 7. გიმარაეში | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| 8. ნავალი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 9. მარიტიმუ | 6 | 2 | 2 | 2 | 5-3 | 8 |
| 10. აკადემიკა | 6 | 2 | 2 | 2 | 3-4 | 8 |
| 11. სეტუბალი | 6 | 2 | 1 | 3 | 3-5 | 7 |
| 12. რიუ ავე | 6 | 1 | 3 | 2 | 5-6 | 6 |
| 13. ბრაგა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| 14. ბელენენსეში | 6 | 0 | 3 | 3 | 4-9 | 3 |
| 15. ფერეირა | 5 | 0 | 1 | 4 | 7-13 | 1 |
| 16. ტროფენსე | 6 | 0 | 1 | 5 | 4-12 | 1 |

### II დივიზიონი

VI ტური

ვარზიმი-ფეირენსე 2:1; ვიზელა-ბეირა მარი 0:3; კოვილია-ფრეამუნდე 1:1; ეშტორილი-ლეირია 2:2; ავეში-ოლანენსე 1:2; ჟილ ვისენტე-სანტა კლარა 3:2; ბოავიშტა-ოლივეირენსე 1:0; გონდომარი-პორტიმონენსე 0:0.

## თურქეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-სივასი | 1:1 |
| ანკარა-კოჯაელი | 4:0 |
| დენიზლი-გენჩლერი | 2:2 |
| ფენერბაჰჩე-ბურსა | 5:2 |
| ანკარაგუჯუ-კაისერი | 1:3 |
| ანთალია-ჰაჩეთეპე | 1:1 |
| კონია-ბუიუქშეჰირი | 1:2 |
| ტრაბზონი-გაზიანთეპი | 1:1 |
| ესქიშეჰირი-გალათასარაი | 4:2 |

### II დივიზიონი

IX ტური

ალთაი-მალათია 4:1; ბბ გაზიანთეფი-ორდუ 1:4; ქართალი-გირეშუნი 2:0; საქარია-მანიშა 1:2; ადანა-გიუნგორენი 1:2; დიარბაქირი-ბარაბუქი 2:1; ერჩიესი-ქარსიაქა 0:1; ქასიმფაშა-ბოლუში 1:0; სამსუნი-რიზე დღეს.

## რუსეთი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ხიმკი-ლუჩი | 3:1 |
| რუბინი-კრილია | 3:0 |
| სპარტაკი-ტერეკი | 3:1 |
| შინიკი-ნალჩიკი | 2:1 |
| ამკარი-ლოკომოტივი | 0:0 |
| ტომი-ზენიტი | 1:1 |
| მოსკოვი-სატურნი | 0:0 |
| დინამო-ცსკა | დღეს |

## სლოვენია

XIV ტური

| | |
|---|---|
| ნაფტა-მარიბორი | 1:1 |
| რუდარი-კოპერი | 5:1 |
| პრიმორიე-პუბლიკუმი | 1:4 |
| დრავა-ინტერბლოკი | 1:2 |
| დომჟალე-გორიცა | 2:3 |

## სლოვაკეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| კოშიცე-ბისტრიცა | 0:0 |
| რუჟომბეროკი-ტატრანი | 3:0 |
| ტრნავა-დ. სტრედა | 1:1 |
| ნიტრა-მორავცე | 1:2 |
| სლოვანი-დუბნიცა | 3:1 |
| ჟილინა-არტმედია | 3:1 |

## კოლუმბია

XVI ტური

| | |
|---|---|
| ენვიგადო-დეპ. კალი | 2:0 |
| სანტა ფე-მილიონარიოსი | 1:1 |
| ამერიკა-ატ. ნასიონალი | 3:0 |
| ბუკარამანგა-ლა ეკვიდადი | 0:1 |
| ჩიკო-კუკუტა | 2:0 |
| ატ. უილა-დეპ. პერეირა | 1:1 |
| დეპ. პასტო-ატ. ხუნიორი | 1:1 |

## ჩილე

XVII ტური

| | |
|---|---|
| ო'ჰიგინსი-უნ. ესპანიოლა | 5:3 |
| კოლო კოლო-ლა სერენა | 3:0 |
| კობრელოა-ევერტონი | 2:0 |
| ანტოფაგასტა-მელიპილია | 4:2 |
| ნუბლენსე-უაჩიპატო | 0:1 |
| პალესტინო-ოსორნო | 1:0 |
| რეინჯერსი-უნ. კონსეპსიონი | 2:3 |
| ს. მორნინგი-აუდაქსი | 3:5 |

## იაპონია

XXX ტური

| | |
|---|---|
| კაშივა-იოკოჰამა | 1:3 |
| კიოტო-ვერდი | 0:0 |
| ნაგოია-ივატა | 0:0 |
| კობე-ოიტა | 1:0 |
| შიმიცუ-გამბა | 3:1 |
| ნიიგატა-ურავა | 0:1 |
| ტოკიო-კაშიმა | 3:2 |
| კავასაკი-საპორო | 3:1 |
| ომიია-ჯეფ იუნაიტედი | 2:1 |

## [illegible]

X ტური

| | |
|---|---|
| ჰამილტონი-რეინჯერსი | 1:3 |
| სელტიკი-ჰიბერნიანი | 4:2 |
| დანდი იუნ-სტ. მირენი | 2:0 |
| ჰარტსი-აბერდინი | 1:1 |
| ინვერნესი-მაზერველი | 1:2 |
| კილმარნოკი-ფალკირკი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 10 | 8 | 1 | 1 | 27-13 | 25 |
| 2. რეინჯერსი | 9 | 7 | 1 | 1 | 18-7 | 22 |
| 3. კილმარნოკი | 10 | 5 | 1 | 4 | 11-11 | 16 |
| 4. დანდი იუნ | 9 | 4 | 2 | 3 | 12-10 | 14 |
| 5. ჰარტსი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-15 | 14 |
| 6. ჰიბერნიანი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-15 | 14 |
| 7. მაზერველი | 10 | 4 | 1 | 5 | 14-16 | 13 |
| 8. აბერდინი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-12 | 11 |
| 9. სტ. მირენი | 10 | 3 | 2 | 5 | 8-11 | 11 |
| 10. ინვერნესი | 10 | 3 | 1 | 6 | 12-13 | 10 |
| 11. ფალკირკი | 10 | 3 | 1 | 6 | 14-17 | 10 |
| 12. ჰამილტონი | 10 | 3 | 0 | 7 | 10-19 | 9 |

### I დივიზიონი

XI ტური

ეირდრი-დანფერმლაინი გადაიდო; კლაიდი-ლივინგსტონი 2:1; მორტონი-დანდი 2:0; როსი-ქუინი 0:2; სტ. ჯონსტონი-პარტიკი 3:0.

### II დივიზიონი

XI ტური

ალოა-პიტერჰედი 1:0; ეირი-სტირლინგი 1:1; ბრჩინი-ქუინზ პარკი 2:1; ისტ ფაიფი-არბროა 3:2; სტრანრარი-რეითი 0:2.

## ფინეთი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ჰიკ-ლაჰტი | 0:1 |
| მარიეჰამნი-ჰონკა | 3:2 |
| ინტერი-იარო | 2:0 |
| კოტეპე-ჰაკა | 0:2 |
| კუოპიო-როვანიემი | 0:1 |
| ტამპერე-მიუპა | 0:2 |
| ვაასა-ტურკუ | 2:3 |

## ავსტრია

XIV ტური

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-კაპფენბერგი | 7:3 |
| რაპიდი-მატერსბურგი | 1:0 |
| რიდი-ავსტრია (ვ) | 3:1 |
| შტურმი-ალტახი | 6:0 |
| ავსტრია (კ)-ლინცერი | 1:0 |

### II დივიზიონი

XIII ტური

ავსტრია (ლ)-გრატკორნი 2:1; ფოკლაბრუკი-ლუშტენაუ 1:0; ვინერი-ლეობენი 8:1; ავსტრია A-ტიროლი 4:1; სტ. პოლტენი-ადმირა 2:3; გრიოდიგი-ზალცბურგი A 0:0.

## შვეიცარია

XII ტური

| | |
|---|---|
| ქსამაქსი-ლუცერნი | 1:0 |
| სიონი-გრასჰოპერსი | 0:0 |
| ციურიხი-არაუ | 4:0 |
| ბელინცონა-ბაზელი | 2:3 |
| ვადუცი-იანგ ბოიზი | 0:0 |

### ჩელენჯლიგა

X ტური

კონკორდია-შო დე ფონი 0:4; სტად ნიონე-ტუნი 0:2; ვოლენი-ბილ ბიენი 3:2; ივერდონი-ლოკარნო 2:2; სტ. გალენი-სერვეტი 2:0; ლუგანო-ლოზანა 1:0; შაფჰაუზენი-გოსაუ 5:0; ვინტერტური-ვილი დღეს.

## უელსი

X ტური

| | |
|---|---|
| ქონესი-უელშპული | 1:0 |
| ქერსოუსი-პორტ ტელბოტი | 4:2 |
| კარმარტენი-ეირბასი | 1:0 |
| ჰევერფორდვესტი-პრესტატინი | 3:1 |
| ლანელი-ქერნარფონი | 3:2 |
| ნითი-ნიუი | 1:0 |
| პორტმედოგი-ნიუთაუნი | 3:1 |
| ებერისვითი-ტნს | 2:2 |
| ბანგორი-რილი | გადაიდო |

## ბულგარეთი

X ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (მ)-ლოკომოტივი (ს) | 4:0 |
| სპარტაკი-ბოტევი | 0:0 |
| მინიორი-პირინი | 0:0 |
| ცსკა-ჩერნომორეცი | 2:1 |
| ბელასიცა-ჩერნო მორე | 2:0 |
| ლოკომოტივი (ს)-ლიტექსი | 1:3 |
| სლივენი-ლევსკი | 0:0 |
| სლავია-ვიხრენი | დღეს |

## ხორვატია

XII ტური

| | |
|---|---|
| შიბენიკი-ინკერი | 1:1 |
| ოსიეკი-კროაცია | 4:2 |
| ზადარი-ჰაიდუკი | 1:0 |
| ზაგრები-ვარტექსი | 0:3 |
| სლავენი-სიბალია | 1:0 |
| რიეკა-დინამო | გადაიდო |

## პერუ

XVI ტური

| | |
|---|---|
| კორონელი-სპორტ ბოისი | 0:0 |
| სესიანო-მელგარი | 3:1 |
| სპორტი-უნივერსიტარიო | 3:0 |
| ატ. მინერო-სესარ ვალეხო | 1:0 |
| ხუან აურიჩი-სან მარტინი | 0:2 |
| სპ. კრისტალი-ხოსე გალვესი | 3:0 |
| ალ. ლიმა-ალ. ატლეტიკო | გვ. დასრულდა |

## ირლანდიის თასი

| | |
|---|---|
| სტ. პატსი-ბოჰემიანსი | 1:3 |
| გალვეი-დერი | 0:1 |

ფრენბურთი

# ვინ შეძლებს ჯიკოს შეჩერებას?

**III ტური**

ჯიკო-ბათუმი 3:0
25:11, 25:10, 25:22

დუშეთი-ქუთაისი 3:0
25:18, 25:13, 25:17

**IV ტური**

ბათუმი-ქუთაისი 3:0
25:19, 25:21, 25:12

ბოლნისი-დუშეთი 3:1
25:19, 25:14, 22:25, 25:18

დასრულდა საქართველოს ქალ ფრენბურთელთა მე-18 ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე, რომელსაც ხუთი დღის განმავლობაში დიდი ჯიხაიშის აგრარული კოლეჯის დარბაზი მასპინძლობდა. ბოლო ორმა ტურმაც ყოველგვარი მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. „ჯიკომ" და „ბოლნისმა" ისევ მოიგეს, აუტსაიდერმა „ქუთაისმა" კი პირველი წრე ისე ჩაამთავრა გამარჯვება ერთ სეტშიც არ მოუპოვებია. ქუთაისელთა სრული ფიასკო მოსალოდნელიც იყო, რადგანაც ამ გუნდში, წლეულს, მთლიანად ახალბედები თამაშობენ და ზოგიერთი მათგანი ჯერაც თამაშის წესებს სწავლობს.

საერთოდაც, „ჯიკოს" გარდა დანარჩენი გუნდები თითქმის ბავშვებით არიან დაკომპლექტებული და აქცენტი პერსპექტივაზეა. ამიტომ, **ნუგზარ მიქაძის** გოგონები წლეულს სრულიად უკონკურენტოდ არიან და გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მათთვის წინასწარვე შეიძლება ჩემპიონობის მილოცვა. ჯიხაიშელებმა ბოლო შეხვედრაშიც ზედმეტი დაძაბულობის გარეშე, ერთი ამოსუნთქვით დაამარცხეს მეტოქე. ბათუმელებმა ტურნირის მასპინძლებს მხოლოდ ბოლო სეტში გაუწიეს მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა, მაგრამ **ნელი დათუკაშვილისა** და **თეა მძელურის** მონდომების შედეგად ჯიხაიშელებმა ბოლო პერიოდშიც მოახერხეს გამარჯვების მოპოვება. მოკლედ, „ჯიკომ" პირველ წრეში აბსოლუტურად ყველა სეტი მოიგო და თანაც საკმაოდ ადვილაც. ბათუმელებმა მეორე დღეს მთელი ჯავრი „ქუთაისზე" იყარეს და მეტოქე სამივე პერიოდში დაამარცხეს.

მიმდინარე ჩემპიონატში პირველი მატჩი მოიგო „დუშეთმა" და მისი მსხვერპლიც ქუთაისური გუნდი გახდა. დუშელებს არც ერთ სეტში არ გასჭირვებია და მეტოქეს საკმაოდ იოლად აჯობა. მეორე დღეს კი დუშელები „ბოლნისთან" დამარცხდნენ, თუმცა მეტოქეს ჯეროვანი წინააღმდეგობა კი გაუწიეს - 1:3. ბოლნისური გუნდმა „ჯიკოს" შემდეგ ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. **დავით ჯანაძის** ახალგაზრდული კრებული საკმაოდ გააზრებულად თამაშობს და დანარჩენ მეტოქეებზე ერთი თავით მაღლაც დგას, მაგრამ „ჯიკოსთან" პრაქტიკულად შანსი არა აქვს, ამიტომ ამ გუნდისთვის ფინალისტობაც დიდი მიღწევა იქნება.

ჩემპიონატის მეორე წრეს გაზაფხულზე თბილისი უმასპინძლებს. წლეულს კი ქუთაისის სპორტის სასახლეში პირველი ლედის თასზე ერთმანეთს ტრადიციულად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაკრებები დაუპირისპირდებიან.

**დავით კოხრეიძე**
დიდი ჯიხაიშიდან

რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი

# წინ გადამწყვეტი მატჩებია

**ლელო-აია 47:26**

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ჯოგლიძე (ხუციშვილი 70), კორკელია, თოდუა, ცერცვაძე (ზაალიშვილი 75), ხმალაძე, ჭინჭარაული (გოგია 41). (1-8) ყალიჩავა, სუჯაშვილი, მირცხულავა, დაუშვილი, ჯალალონია (ი. მაისურაძე 63), აზალაძე, კოლელიშვილი (ჩხეიძე 70), სირბილაძე (ქიზიყურაშვილი 56),

*5ლ: კორკელია, სუჯაშვილი, სირბილაძე, ცერცვაძე, თოდუა. 5გ,4ს: ყიასაშვილი.*

აია (15-9) სანადირაძე, სორდია, გიორგიძე (ბეძენიშვილი 38), გუდავა, გოშაძე, ვასაძე, როხვაძე. (1-8) მოდებაძე (ჩხიკვაძე 59), ნარიაშვილი, კევანეიშვილი, ფილია (შალამბერიძე 47), კიკვიძე, ჩიქვინიძე, რევიშვილი, გაგნიძე.

*2ლ: ჩიქვინიძე, გიორგიძე. 2გ,4ს: ვასაძე.*

მსაჯი: **უ. ნარიმანიძე**

საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურმა საბოლოოდ დაადგინა იმ ოთხი გუნდის ვინაობა, რომლებიც პლეი ოფში ჩემპიონობისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. პლეი ოფში გასვლას ქუთაისის „აიაც" ეშურებოდა, თუმცა ბოლოსწინა ტურში, შინ განცდილმა მარცხმა „ყოჩებთან", მისი შანსი მინიმუმამდე შეამცირა. ბოლო მატჩშიც, თბილისში, „ლელოსთან" ქუთაისელმა მორაგბეებმა ბოლომდე თავდადებით იბრძოლეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ-26:47.

თამაში მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და პირველივე შეტევა ლელოთი დაასრულეს. ლელოელებმა შერკინების ხაზის მოთამაშეების მოკლე დარტყმებით და შეტევის მიმართულების მუდმივი ცვლით, მოწინააღმდეგის დაცვის ხაზი არიეს. შედეგად მარცხენა ფრთაზე რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვეს. ათმა ნომერმა **ლაშა ხმალაძემ,** ეს დროულად შენიშნა და ბურთი ხაზზე გაიტანა. ბოლომდე, კიდემდე ჩაათამაშეს და მოწინააღმდეგის ლელოში გარემარბი **თორნიკე ცერვაძე** შეიჭრა. გარდასახვა **ირაკლი ყიასაშვილმა** დაარტყა-7:0.

ამის შემდეგ ლელომ ნელ-ნელა ინიციატივა დათმო, რაც მეტწილად ქუთაისელთა ათი ნომრის **ჯემალ ვასაძის** ფეხით ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა. მას ბურთი ლელოელთა მოედანში დროულად და მეტოქისათვის არახელსაყრელ პოზიციაში გადაჰქონდა. მანვე მალე ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა საჯარიმო დარტყმებიდან, რომელთაგან ერთი ვასაძემ მოედნის ცენტრიდან დაარტყა - 6:7.

თუმცა „ლელომ" მაინც შეძლო მოწინააღმდეგის შეცდომის გამოყენება და ანგარიშში ისევ წინ გაიჭრა. 33-ე წუთზე ქუთაისელებმა საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან ბურთი ფეხით გამოიტანეს. მას ლელოელი თორნიკე ცერცვაძე მოედნის ცენტრში დაეუფლა. თვითონვე შეუტია, ხაზი გაჭრა, ისევ ოცდაორმეტრიან ზონაში შეაღწია. აქ წარმოქმნილი რაკიდან კი, ბურთი ხმალაძემ მარცხნივ, მოკლე ფრთაზე გაიტანა და ამჯერად „აიას" ლელო შუამარბმა **გიგა კორკელიამ** უნია მიზანს, ყიასაშვილმა ისევ ზუსტად გარდასახა-14:6.

ორ წუთში ვასაძემ ისევ ზუსტად დაარტყა საჯარიმო-9:14. ტაიმის დასრულებამდე ორი წუთით ადრე კი, „აიამ" ანგარიშში დაწინაურებაც შეძლო. შეკინების მოთამაშეების გარჯა ქუთაისელთა უკანახაზელებმა კარგად გამოიყენეს, ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და კიდეთან ახლოს ლელო **თემურ გიორგიძემ** გაიტანა, ვასაძემ გარდასახვა ზუსტად დაარტყა და ტაიმი „აიას" სასარგებლოდ - 16:14 დასრულდა.

მეორე ნახევრის დასაწყისში ვასაძემ ისევ საჯარიმოდან გაზარდა სხვაობა - 19:14. რის შემდეგაც „ლელო" თავის თავს დაემსგავსა და უპირატესობა მთლიანად ხელთ იგდო. შედეგად, 78-ე წუთამდე „აიას" საკუთარი მონაგარისთვის ალარაფერი შეუმატებია. ლელოელებმა კი სამჯერ შეძლეს მეტოქის ჩათვლის მოედანში შეღწევა, რასაც ყიასაშვილმა კიდევ ოთხი საჯარიმოც მიუმატა. ხოლო „აიამ" თამაშის მიწურულს, შეიძლება ითქვას, პრესტიჟის ლელოთი უპასუხა და შეხვედრა - 47:26 დასრულდა.

ამრიგად, პლეი ოფში „ლელო" 30 ოქტომბერს „ლოკომოტივს" დაუპირისპირდება. მათ შორის გამარჯვებული პირდაპირ ფინალში გავა. დამარცხებულს კი, კიდევ ერთხელ მიეცემა შანსი ფინალში გაალწიოს. მას შემდეგ რაც, „ყოჩებსა" და „აკადემიას" შორის გამარჯვებულს შეხვდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**XIV ტური**

აკადემია-უნივერსიტეტი 15:10
ლოკომოტივი-არმაზი 67:14

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 14 | 11 | 0 | 3 | +278 | 22 |
| 2. ლელო | 14 | 11 | 0 | 3 | +75 | 22 |
| 3. ყოჩები | 14 | 10 | 0 | 4 | +124 | 20 |
| 4. აკადემია | 14 | 7 | 0 | 7 | -70 | 14 |
| 5. უნივერსიტ. | 14 | 6 | 1 | 7 | -26 | 13 |
| 6. აია | 14 | 6 | 1 | 7 | +12 | 13 |
| 7. [illegible] | 14 | 2 | 0 | 12 | -122 | 4 |
| 8. დინამო | 14 | 2 | 0 | 12 | -271 | 4 |

კალათბურთი



ავიამშენი-ბათუმი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს XVIII ჩემპიონატი. II ტური. თბილისი. სპორტის სასახლე

# მწვადის სურნელში

**მაკაბი-დინამო 76:79**

18:20, 16:22, 20:23, 22:14

მაკაბი: კილაძე (5ქ), ჯიქია (3ქ), სოხაძე, ანთაძე (25ქ, 9მ, 2დ), ლონდარიძე (20ქ, 15 მ), იოსელიანი (15ქ, 5მ, 4ჩ, 3დ), ჩლაიძე, ელიკაშვილი, ბიბილური, ივანეიშვილი (5ქ, 6მ), სუდაძე (3ქ)

**დინამო:** გ. ბაქრაძე (11ქ), ნანიტაშვილი (3ქ), სორდია (4ქ), ლაფანაშვილი (11ქ, 5მ, 6პ), სიგუა (12ქ), ვ. ბოლქვაძე (6ქ), გემაზაშვილი (2ქ), კორკოტაძე (11ქ, 6მ), ქადარია (12ქ, 6მ, 2დ), ხანიაშვილი (1ქ, 4პ), ხიზანიშვილი (6ქ)

მსაჯები: ხ. გაბედავა, დ. არეშიძე

**ავიამშენი-ბათუმი 116:63**

18:15, 36:7, 36:16, 26:25

ავიამშენი: ბერაია (5ქ, 3პ, 3ჩ), ი. ბერიშვილი (17ქ, 9პ, 5ჩ), ნიკოლაძე (23ქ, 4პ), კვიმსაძე (2ქ, 5პ), მინაშვილი (25ქ, 8მ, 3პ), მათიაშვილი (4ქ), ნინიაშვილი (14ქ), ნაცვლიშვილი (5ქ, 5მ, 3პ, 2დ), პირველაშვილი, ს. შერმადინი (10ქ, 5მ), ბოისა (11ქ, 7მ, 3ჩ)

ბათუმი: გვაზავა, თავართქილაძე (3ქ, 5პ, 5ჩ), ა. ჩხატარაშვილი (6ქ), დოლიძე (8ქ), ნოზაძე (9ქ, 3პ), კეშელავა (15ქ, 5მ, 4ჩ), ბერიძე, მ. ბოლქვაძე (3ქ, 8მ), იმნაძე (15ქ, 10მ, 4ჩ), კვერნაძე (4ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

**თსუ-სასოფლო 88:103**

21:22, 15:27, 28:30, 24:24

თსუ: დ. ბერიშვილი (19ქ, 4პ), გაფრინდაშვილი (2ქ, 3პ), გ. ბარბაქაძე (6ქ), კოხრეიძე, შანიძე (17ქ), მარკოიშვილი (7ქ), ყველაშვილი (8ქ, 5მ), ხეცურიანი (6ქ, 7მ, 3პ, 3ჩ, 2დ), ახალკაცი, დ. ბარბაქაძე (23ქ, 8მ, 2დ)

სასოფლო: გულისაბედაშვილი (3ქ, 6მ), მ. ბერიშვილი (20ქ, 10მ, 6პ, 3ჩ), მარხვაშვილი (13ქ, 3პ), გასიტაშვილი, ტყეშელაშვილი (7ქ), ნივწივაძე (27ქ, 5მ, 6პ, 3ჩ), ათანელიშვილი (16ქ, 9მ), გვიმრაძე (9ქ), ჩაჩიბაია (8ქ, 6მ, 3პ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე

**შსს-თბილისი 57:67**

26:6, 9:23, 12:13, 10:25

შსს: ცხვედიანი (10ქ), მიქაბერიძე (3ქ, 7მ), ბერუაშვილი, ბ. ნოზაძე, ნინუა (5ქ), პატარაია (14ქ, 3პ), გოლეთიანი (19ქ, 5მ, 4ჩ), ფაიქრიძე, აბულაძე (4ქ, 7მ), ბაქრაძე, ბერია (2ქ)

ნტდ-თბილისი: ტეტელაშვილი, ჩიტაშვილი (12ქ, 8მ, 5პ, 4ჩ), ფაშაევი (20ქ, 6მ, 3პ, 3ჩ), სარიევი (6მ, 3ჩ), ნიფტალიევი (4ქ), მამაცაშვილი (4ქ), როდუმტა (4ქ, 6მ), კეიდია (7ქ), კოლუაშვილი (12ქ, 6მ), ბახშიევი (5მ), სუხიშვილი (4ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ნტდ-თბილისი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. სასოფლო | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. დინამო | 2 | 1 | 1 | 3 |
| 4. თსუ | 2 | 1 | 1 | 3 |
| 5. შსს | 2 | 1 | 1 | 3 |
| 6. ავია | 2 | 1 | 1 | 3 |
| 7. ენერჯი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 8. მაკაბი | 2 | 0 | 2 | 2 |
| 9. ბათუმი | 1 | 0 | 1 | 1 |

თუკი გუშინ, თბილისობას სპორტის სასახლის გარეთ მწვადის სურნელი ტრიალებდა, დარბაზში საკალათბურთო სურნელება იდგა: გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურის ოთხი მატჩი. 5-6 წელია, უმაღლეს ლიგაში ერთ დღეს 4 შეხვედრა არ ჩატარებულა – აქამდე პირველობაზე 6-7 გუნდი თამაშობდა...

გუშინ ერთი სიახლეც ვიხილეთ: მხურვალე გულშემატკივრობა. რეგულარულ ჩემპიონატში აქტიური ქომაგობა აქამდე იშვიათობა იყო, გუშინ კი "სასოფლო უნივერსიტეტს" ათეულობით სტუდენტი აქტიურად გულშემატკივრობდა. ეს გახლდათ სასოფლოელთა პირველი მატჩი თბილისში (პირველ ტურში რუსთავში ითამაშეს), უნდა ვივარაუდოთ, რომ ნელ-ნელა სასოფლოელთა ქომაგობა ორგანიზებულ სახეს მიიღებს და მაგალითს მისცემს სხვა გუნდების გულშემატკივრებს.

თამამად შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ ტურის ცენტრალურ მატჩში, სტუდენტურ დერბიში "სასოფლოს" თსუსთან გამარჯვება გარკვეულწილად ქომაგობამაც განაპირობა.

მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, თანაბრად დაიწყო. მეორე პერიოდის დასრულებას 2 წუთი უკლდა, როცა სასოფლოელთა თავკაცმა, **მიხეილ კობეშავიძემ** წუთშესვენება აიღო. არ ვიცით, მწვრთნელმა შეგირდებს რა უთხრა, მაგრამ მოედანზე დაბრუნების შემდეგ სსსსუ-ელებმა 7:0 სპურტი მოაწყვეს, რომლის ბოლო სამი ქულა **გიორგი მარხვაშვილმა** გაიფორმა – 47:35. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს მცირე გარღვევა "სასოფლოს" დიდი გაქცევის საწინდარი იყო...

მეორე ტაიმში თსუ-ს მწვრთნელმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** მისთვის საყვარელ ტაქტიკას, ზონურ პრესინგს მიმართა. თსუ-ელები მოედნის მთელ სიგრძეზე პრესინგს თამაშობდნენ, თუმცა ამის საწინააღმდეგოდ მიშა კობეშავიძეს კარგი იარაღი აღმოაჩნდა: **ნივწივაძესა** და მარხვაშვილს ბურთი მეტოქის ნახევრამდე სწრაფად ამოჰქონდათ, ხოლო თსუ-ს ფარქვეშ ტანმაღალი **რეზო ათანელიშვილი** ჩასაფრებული იდგა და ბურთს ბურთზე აგდებდა. მან საბოლოოდ 16 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა.

მეოთხე ათწუთეულში "სასოფლოს" უპირატესობამ 20 ქულას უწია და სწორედ ამ ეპიზოდში ჩათვალა, რომ საქმე მოგვარებული იყო. ამით ისარგებლა თსუ-მ, **დავით ბარბაქაძის** სამქულიანების შემდეგ სხვაობა 7 ქულამდე შემცირდა, თუმცა დარჩენილ 3 წუთში უშეცდომოდ გაისარჯა ბექა ნივწივაძე, რომელმაც 4 საჯარიმო და ერთი ორქულიანი ზუსტად სტყორცნა. თსუ-ელები კი შეტევაში ველარ ყოჩაღობდნენ...

101:88 – "სასოფლოს" სასარგებლოდ.

ეფექტური სტატისტიკა ჩაიწერა სასოფლოელმა **მიშა ბერიშვილმა** – 20 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი, 3 ჩაჭრა.

მატჩის სნაიპერობა კი ბექა ნივწივაძემ იკისრა: 27 ქულა, 6 შედეგიანი გადაცემა, 5 მოხსნა და 3 ჩაჭრა. ტურის საუკეთესო კალათბურთელად ჟურნალისტებმა სწორედ ნივწივაძე დაასახელეს.

პირველი მატჩიც სანახაობრივი გამოდგა – "მაკაბიმ" "დინამოს" ღირსეული ბრძოლა გაუმართა. შეხვედრის დაწყებამდე, ალბათ ბევრი ვერ იფიქრებდა, რომ გამარჯვებულის ვინაობის გამორკვევას ბოლო წამები დასჭირდებოდა. რეალურად ასეც მოხდა: "მაკაბიმ" სამი ქულის სხვაობით წააგო, თუმცა ყვითლების ბოლო სამქულიანი ტყორცნა მიზანს ასცდა.

დინამოელთაგან სტატისტიკურად ბევრად არავინ გამორჩეულა, ხოლო "მაკაბის" მაისურით ორმაგი დუბლი შეასრულა **ლონდარიძემ** – 20 ქულას 15 მოხსნა მიამატა. სნაიპერ **ანთაძეს** კი დაბლ-დაბლამდე 1 მოხსნა დააკლდა – 25 ქულა, 9 მოხსნა.

მეორე შეხვედრა ყველაზე არათანაბარი გამოდგა – ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა "ავიამშენმა" სუპერლიგაში დაბრუნებულ "ბათუმს" მეორე პერიოდში 36:7 აჯობა და შეხვედრის ბედიც აქ გადაწყდა. 20 ქულიანი ბარიერი გადალახეს "ავიატორებმა" **ნიკოლაძემ** (23) და **მინაშვილმა** (25), ხოლო ბათუმელმა **იმნაძემ** ორმაგი დუბლი შეასრულა – 15 ქულა და 10 მოხსნა.

მოულოდნელად დაიწყო შსს-"თბილისის" დაპირისპირება. შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდმა პირველ პერიოდში მწყობრად დაიცვა თავი, ხოლო შეტევაში პერიმეტრიდანაც ზუსტად ისროდა და ფარქვეშიდანაც. შედეგად შსს-მ 10-წუთიანი მონაკვეთი 26:6 მოიგო.

მეორე პერიოდის დასაწყისში სიტუაცია შეიცვალა – **ნუგზარ კანდელაკის** "ნტდ-თბილისმა" მოედნის მთელ სივრცეზე პრესინგს მიმართა და მესამე პერიოდის დასაწყისში მეტოქეს ანგარიშიც გაუთანაბრა.

ამის შემდეგ თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და საფინალო სირენამ "ნტდ-თბილისის" გამარჯვება დააფიქსირა – 67:57.

მეორე ტურში სუმმოვლილმა "ენერჯიმ" დაისვენა. მას სამი ლეგიონერი უკვე გამოაკლდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. 23-26 ოქტომბერი. ბანგკოკი

# ლიპარტელიანი და სხვები

## ოძელაშვილმა თითქმის იარსენა

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში დასრულდა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ძიუდოში. სამწუხაროდ, **ვარლამ ლიპარტელიანის** გამარჯვება ერთადერთ ქართულ გაელვებად დარჩა ტურნირზე, სხვებმა „ლიპოს" მხარი ვერაფრით აუბეს.

გუშინ, 60 კგ. წონით კატეგორიაში **მიხეილ მეკოკიშვილმა** დამატებით დროში იპონით წააგო სლოვენიელ **მატიაჟ ტრბოვჩთან.** 66 კგ-ში **თემურ აფაქიძე** იაპონელ **მასაში ებინუმას** ექიდავა, აქაც დამატებითი დრო და აქაც იპონი, სამწუხაროდ, კვლავ ქართველის მეტოქის მიერ შესრულებული. ორივე ჩვენებური უსახელოდ დაემშვიდობა ბანგკოკს.

შაბათს 73 კგ. წონით კატეგორიაში 18 წლის **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** თავიდან კარგად დაიწყო – იუკოთი დაამარცხა იემენელი **ვალედ ალ-ქაბზარი,** შემდეგ ორი გაფრთხილებით მოუგო ლატვიელ **არტურს კურბანოვსს.** მესამე წრეში ჭრიკიშვილი გერმანელ **მაქსიმ ლამბერტს** შეხვდა. ლამბერტი იგებდა ორი იუკოთი ერთის წინააღმდეგ, მაგრამ მსაჯებმა ის პასიურობისთვის მეორედ გააფრთხილეს, ანგარიში გათანაბრდა და დამატებითი დრო დაინიშნა. წუთ-ნახევარში ლამბერტმა კიდევ ერთი იუკო მოიპოვა და მეოთხედფინალში გავიდა. 81 კგ-ში **ზაზა დავაძე ჯიჟაო ჟენკს** (ჩინეთი) 39 წამში გაუსწორდა, მან ჩინელი იპონზე დააგდო. სამწუხაროდ, ზაზამ ასე კარგად ველარ იჭიდავა შემდეგში. შვეიცარიელი **მაიკ შავანე** იუკოთი დაწინაურდა, თუმცა შემდეგ დავაძის მეტოქემ იპასიურა, რისთვისაც ორი შიდო მიიღო, მაგრამ მანამდე ზაზასაც ჰქონდა მიღებული გაფრთხილება, ამიტომ დავაძე ტურნირს დაემშვიდობა.

წარმატებით იჭიდავა **გია თენაძის** კიდევ ერთმა შეგირდმა **ნინო ოძელაშვილმა** (78 კგ). ნინომ ჯერ ჰოლანდიელ **ჟანეტ ვიზერს** მოუგო (იპონი), შემდეგ ტაილანდელ **ჩუმარინ პონგსუანგს** (2 ვაზარი). მესამე წრეში ოძელაშვილი მომავალ ჩემპიონს, ამერიკელ **კაილა ჰარისონს** შეხვდა და იპონით დამარცხდა. ნინო რეპეშაჟში გადაერთო, სადაც გზიდან უკრაინელი **ივანა მაკუხა** ჩამოიცილა (იპონი). მესამე ადგილისათვის მატჩში ოძელაშვილი ზედმეტი გაფრთხილების „წყალობით" დამარცხდა შვეიცარიელ **ნადია კამპესტრინთან.** 70 კგ. წონით კატეგორიაში რუსეთს ქართული წარმოშობის **ირინა სორდიამ** მოუტანა ბრინჯაოს მედალი.

საბოლოოდ, ბიჭებში ჩვენ ერთი ოქრო მოვიპოვეთ და ერთი მე-7 ადგილი, გოგონებში კი – ორი მე-5 ადგილი. საერთო ჩათვლაში საქართველო მე-6 ადგილზე გავიდა, ბიჭებში – მე-4-ზე (რუსეთის, საფრანგეთის და კორეის შემდეგ), გოგონებში – მე-16-ზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ვაჟები**

**60 კგ.**

1. არსენ გალსტიანი (რუსეთი); 2. თუმურხულეგ დავაადორჯი (მონღოლეთი); 3. ჰიროფუმი იამამოტო (იაპონია); 3. გაბიტ ესიმბეტოვი (უზბეკეთი).

**66 კგ.**

1. უგო ლეგრანი (საფრანგეთი); 2. ზოლტ დორიანაში (უნგრეთი); 3. მასაში ებინუმა (იაპონია); 3. სარხან აჰმადოვი (უზბეკეთი).

**73 კგ.**

1. ვონ-იუნ კიმი (კორეა); ბენჟი ნორტანი (ჰოლანდია); 3. რიკი ნაკაია (იაპონია); 3. ვიქტორ ოლივეირა (ბრაზილია).

**81 კგ.**

1. ალიბეკ ბაშკაევი (რუსეთი); 2. არტიომ ვასილენკო (უკრაინა); 3. იასუჰირო ები (იაპონია); 3. რამინ გურბანოვი (აზერბაიჯანი).

**გოგონები**

**70 კგ.**

1. ჰარუკა ტაჩიმოტო (იაპონია); 2. მაირა სილვა (ბრაზილია); 3. აბიგალ ჟოო (უნგრეთი); 3. ირინა სორდია (რუსეთი).

**78 კგ.**

1. კაილა ჰარისონი (აშშ); 2. ოდრი ჩემეო (საფრანგეთი); 3. რუიკა სატო (იაპონია); 3. ნადია კამპესტრინი (შვეიცარია).

**+78 კგ.**

1. მეგუმი ტაჩიმოტო (იაპონია); 2. ეშლი ფლემინგი (ბრიტანეთი); 3. ი-იოუნ კიმი (კორეა); 3. სვიტლანა იარომკა (უკრაინა).

თბილისობა 2008

# სპორტულმა ღონისძიებებმაც დაამშვენა



ტრადიციული თბილისობა წინა წლებთან შედარებით, ობიექტური მიზეზების გამო, მოკრძალებულად ჩატარდა. პროგრამა ამჟამადაც დაამშვენა სპორტულმა შეჯიბრებებმა. ორგანიზატორი იყო მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახური (უფროსი **მამუკა ქაცარავა,** მოადგილე სპორტის დარგში **ზაზა დოლიძე**).

- ამჯერად მხოლოდ რამდენიმე სახეობაში მოვაწყვეთ პაექრობები. გამარჯვებულებისა და პრიზიორებისთვის დავაწესეთ ფასიანი საჩუქრები, მედლები და დიპლომები. ქართულ ნარდში გამარჯვებულს კი სულაც ცოცხალი ყოჩი ხვდა - გვითხრა ბატონმა მამუკამ.

ასპარეზობებს სომეხი, ლატვიელი და ლიტველი სტუმრებიც დაესწრნენ. მინიფეხბურთის მოედანზე ხუთი საფეხბურთო სკოლის 16 გუნდი იბრძოდა პირველობისთვის. შეჯიბრებას თბილისის ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **გრიგოლ ცაავა**) და სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების საქალაქო ოფისი (**ბადრი ქარქაშაძე** და **ბადრი მაჭავარიანი**) ხელმძღვანელობდნენ. ფინალში ნორჩმა შევარდენელებმა (**გიგი გურგენიძე, ბუბა გიორგაძე, გუგა გრიგოლია, თორნიკე გასვიანი, ცოტნე თურქიშვილი,** მწვრთნელი **გიორგი ხუბეჯაშვილი**) „მთვარის გლობუსის"თანატოლებს აჯობეს.

ქუჩის კალათბურთში (ასოციაციის პრეზიდენტი **გიორგი ზაბახიძე**) რვა გუნდს უხმეს სარბიელზე (მსაჯი **ლიკა ქაჯაია**). საბოლოოდ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე „AND-1" (**ლევან კბილაძე, ირაკლი გაბისონია, ლაშა ელბაქიძე, დავით ეძგვერაძე**) ავიდა, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში „მზიურს" 14:6 მოუგო.

ყველაზე მეტი გულშემატკივარი მაინც მონარდეებს ჰყავდათ. ცდუნებას თბილისის პირველმა ვიცე-მერმა, ადმინისტრაციის უფროსმა **მამუკა ახვლედიანმა** და ვიცე-მერმა **ნიკა ხაჩირაშვილმაც** ვერ გაუძლეს და სომეხ სტუმრებთან ერთად მათაც მოსინჯეს ძალები.

მერიისა და საქართველოს ნარდის ასოციაციის (პრეზიდენტი **თემურ ქურციკიძე**) ღია ტურნირში ქალთა შორის ყველას **ლალი ქურციკიძემ** აჯობა, გრძელ ნარდში -**დავით ნონკოლაურმა,** ქართულ ნარდში - **ელგუჯა კალანდარიშვილმა,** წყვილთა შორის კონსულტაციებით თემურ ქურციკიძემ და **ანზორ ბაბუხადიამ.**

**ვაჟა დანელია**

ალპინიზმი 85

# იუბილე სტეფანწმინდაში




მართალია, ალპინიზმი, როგორც სპორტის სახეობა, მე- 18 საუკუნის ბოლო მეოთხედში იშვა ალპებში და სახელიც აქედან ეწოდა, მაგრამ მისი სათავეები შორეულ წარსულშია დასაძებნი. მათ შორის მთიელ კავკასიელთა ყოფაში. უშუალოდ ჩვენი წინაპრები, ჩვენს ერამდე იცნობდნენ მთამსვლელთა ძირითად საჭურველს - წერაყინს, წრიაპს, რკინის პალოებს, ქანჩს, თოკს, ჯაჭვს, საცოცავ ტყავებსა და თხილამურებს. თუ როგორ ადიოდნენ ისინი კავკასიონის მაღალ მთებზე, ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი აღწერს ჩვ.წ. აღრიცხვამდე I საუკუნეში. იოანე ბატონიშვილი კი „კალმასობაში" მოგვითხრობს როგორ ასულა მღვდელი იოსებ მოხევე მყინვარწვერზე, სადაც მას უნახავს „აბრამის კარავი, რომლის ნაჭერიც ერეკლე მეფისთვის მიურთმევია"...

ასე რომ, მკვლევარებს სამუშაო ჯერ კიდევ წინ აქვთ. მანამდე კი საბჭოთა და ქართული ალპინიზმის ოფიციალურ თარიღად 1923 წელი სახელდება, როცა მყინვარწვერზე **გიორგი ნიკოლაძის** ხელმძღვანელობით 18-კაციანი ჯგუფი 28 აგვისტოს ავიდა.

აი, სწორედ ამ სპორტული ასვლის საიუბილეო თარიღი აღინიშნა გასულ შაბათს სტეფანწმინდაში. იუბილე ლეგენდარული გამყოლის და შემდეგ ცნობილი ალპინისტის **იაგორ კაზალიკაშვილის** სახელობის განახლებული მუზეუმის გახსნას დაამთხვიეს. პროექტი განხორციელდა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჰუმანიტრული პროგრამის მხარდაჭერით, სამუშაოები კი ჩეხეთის არასამთავრობო ორგანიზაციამ „ადამიანი გაჭირვებაში" და ადგილობრივმა „მთის სახლმა" შეასრულეს „საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციისა" და „მაგთი ჯგუფის" დახმარებით.

საზეიმო საღამო სტეფანწმინდის კეთილმოწყობილ, თანამედროვე ტიპის საჯარო სკოლაში გაიმართა. სტუმართა შორის ბევრი უცხოელიც იყო. საიუბილეო საღამო გახსნა მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **გივი ქართველიშვილმა,** ქართული სპორტული ალპინიზმის 85-წლიან სახელოვან ისტორიაზე შეკრებილთ მოუთხრო ფედერაციის პრესმდივანმა, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **ივანე ჯაფარიძემ.** მან მადლიერებით მოიხსენია გაზეთი „ლელო", როგორც ქართული მთამსვლელობის სრული ისტორიის მემატიანე და ადგილობრივ მთამსვლელთა და გამყოლთა ოჯახებს გადასცა გაზეთის ძველი ნომრები, სადაც მათ წინაპრებზეცაა მოთხრობილი. მოგონებებით გამოვიდნენ ვეტერანი მთამსვლელები, პროფესორი **ჯუმბერ ხანთაძე,** მთამსვლელთა ექსპედიციების ექიმი **რამაზ შენგელია,** ადგილობრივი მცხოვრები **შალვა ქირიკაშვილი,** „მთის სახლის" დირექტორი **ვახტანგ დუნდუა,** ჩეხეთისა და პოლონეთის საელჩოების წარმომადგენლები...

**თენგიზ თომაშვილი**
სტეფანწმინდიდან



სტუმარ-მასპინძლები — ავტორის ფოტო

ფარიკაობა

# ვლადიმერ აფციაურის საპრეზიდენტო განაცხადი

## გოგელია უალტერნატივო აღარაა

20 დეკემბერს საქართველოს ფარიკაობის "ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. აქამდე ცნობილი იყო, რომ ამ პოსტზე კენჭს მხოლოდ მოქმედი პრეზიდენტი **არჩილ გოგელია** იყრიდა. თუმცა გუშინ "ლელოსთან" საუბარში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამჟამად ქუვეითში მოღვაწე **ვლადიმერ აფციაურმა** განაცხადა, რომ ამ თანამდებობისთვის ბრძოლას თავადაც აპირებს.

*"მაქვს ქართული ფარიკაობის განვითარების გეგმა, რომელსაც საზოგადოება მალე გაეცნობა. საქართველოში დაბრუნებას ვაპირებ და მსურს, მთელი ჩემი ცოდნა და ენერგია ამ საქმეს მოვახმარო"*, - თქვა აფციაურმა.

ვრცელ ინტერვიუს ვლადიმერ აფციაურთან "ლელოს" ხვალინდელ ნომერში წაიკითხავთ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ფედერაციის პრეზიდენტი არჩილ გოგელია და გენერალური მდივანი **მორის სახვაძე** პარიზში მიემგზავრებიან, სადაც ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის პროპაგანდის კომისიის წევრობის კანდიდატებად არიან წარდგენილნი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# უფროსებშიც ივარგა

ტრაბზონში "რესპუბლიკის" თასის გათამაშება გრძელდება. ქუთაისელი **მიხეილ მარდალეიშვილი,** რომელიც უმცროსთა შორის ჩემპიონი გახდა, ამჯერად უფროსებში გამოვიდა [illegible] საკმაო წარმატებით იასპარეზა – მეხუთე ადგილი დაიკავა. მან ხმლის ,კატეგორიაში იბრძოლა.

თურქულ ტურნირს გოგონები დაასრულებენ. მათ შედეგებსაც ოპერატიულად მოგაწვდით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩოგბურთი

# ანამ WTA დაასრულა

საჩოგბურთო სეზონი დასასრულს უახლოვდება, WTA-ს კალენდარში „ბელ ჩელენჯი" ბოლო ტურნირია WTA-ს ჩემპიონატის დამაგვირგვინებელი შეჯიბრების წინ. „ბელ ჩელენჯი" კანადის ქალაქ კვებეკში იმართებდა დახურულ დარბაზში და მისი საპრიზო ფონდი 175 ათასი ამერიკული დოლარია. ამ შეჯიბრების საკვალიფიკაციო წრეში 18 წლის **ანა ტატიშვილი** (163) მე-5 ნომრად იყო განთესილი. პირველ წრეში ანა რუს **ალინა ჟიდკოვას** (216) ხვდებოდა. სამწუხაროდ, დაძაბული მატჩი ქართველმა სამ სეტში დათმო – 1:6, 6:4, 6:7 (5). გადამწყვეტ ტაი-ბრეიკში ტატიშვილმა 5:7 წააგო.

ჩვენი მეორე ჩოგანი, 25 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (218) ფრანგულ ნანტშია, სადაც 50-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ტურნირში პირველ ნომრად არის განთესილი. მაკა პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი მისი მეტოქე ხორვატი **დარია იურაკია.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტოსპორტი

# ვალენტინო ფერარიზე დაჯდება

ლეგენდარულმა იტალიელმა მოტომრბოლმა **ვალენტინო როსიმ** დაადასტურა "ფერარისთან" მოლაპარაკებების ფაქტი. სავარაუდოდ, მოტორბოლაში მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ იტალიური გუნდის ტესტებში მიიღებს მონაწილეობას.

ერთი თვის წინ იტალიელმა განაცხადა, რომ ისევ სურს იმ განცდის შეგრძნება, რაც 2006 წელს, "ფერარის" ბოლიდის მართვის დროს დაეუფლა. მაშინ სკუდერია სერიოზულად განიხილავდა როსის საპრიზო პილოტად მიწვევას და იტალიელი მოტომრბოლი ტესტებზე დაპატიჟა. ვალენტინომ ვარჯიშებში მონაწილეობა კი მიიღო, მაგრამ საბოლოოდ, მოტოსპორტში ამჯობინა კარიერის გაგრძელება.

*"ამ მიმართულებით ინტენსიურად ვმუშაობთ, მაგრამ ჯერ ზუსტად არაფერია ცნობილი. ბევრი რამ 2 ნოემბრის შემდეგ გაირკვევა, როცა ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდება.*

*მაგრამ ეს მხოლოდ ტესტები იქნება, რომელშიც საკუთარი სიამოვნებისთვის ვაპირებ გამოსვლას. ბედნიერი ვიქნები, თუ "ფერარი" ისევ მომცემს ფორმულა 1-ის ბოლიდის მართვის საშუალებას. სხვა ამბიცია არ გამაჩნია, თუნდაც იმიტომ, რომ კიდევ ორი წელი "იამაჰასთან" კონტრაქტი მაკავშირებს. უბრალოდ, ძველი შეგრძნების გახსენება მინდა",* - აცხადებს როსი.

იტალიელს ფორმულა 1-ის წლევანდელი გამარჯვების პროგნოზირება სთხოვეს, რაზეც ვალენტინომ ასე უპასუხა: *"ფერარის" ვგულშემატკივრობ და მინდა ჩემპიონი ფელიპე მასა გახდეს, მაგრამ თუ სიტუაციას რეალურად შევაფასებთ, საბოლოო გამარჯვება ლუის ჰემილტონს დარჩება, რადგან ბოლო ეტაპის წინ შვიდი ქულით უსწრებს კონკურენტს".*

### XVIII ეტაპი (ვალენსია)

#### 125 cc

1. **სიმონე კორსი** (იტალია, "აპრილია") - 40.45,715; 2. **ნიკოლას ტეროლი** (ესპანეთი, "აპრილია") - +0,106; 3. **მაიკ დი მელიო** (საფრანგეთი, "აპრილია) - +0,223; 4. **ბრედლი სმიტი** (ბრიტანეთი, "აპრილია") - +0,776; 5. **სანდრო კორტეზე** (გერმანია, "აპრილია") - +1,333; 6. **ანდრეა იანონე** (იტალია, "აპრილია") - +21,578.

**საერთო ჩათვლა:** 1. **მაიკ დი მელიო** - 264 ქულა; 2. **სიმონე კორსი** - 225; 3. **გაბორ ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - 206; 4. **შტეფან ბრადლი** (გერმანია, "აპრილია") - 187; 5. **ნიკოლას ტეროლი** - 176; 6. **ბრედლი სმიტი** - 150.

#### 250 cc

1. **მარკო სიმონჩელი** (იტალია, "ხილერა") - 43.29,003; 2. **იუკი ტაკაჰაში** (იაპონია, "ჰონდა") - +5,164; 3. **ალვარო ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - +8,648; 4. **რობერტო ლოკატელი** (იტალია, "ხილერა") - +15,605; 5. **ჰიროში აოიამა** (იაპონია, KTM) - +20,991; 6. **ექტორ ფაუბელი** (ესპანეთი, "აპრილია") - +22,212.

**საერთო ჩათვლა:** 1. **მარკო სიმონჩელი** - 281 ქულა; 2. **ალვარო ბაუტისტა** - 244; 3. **მიკა კალიო** (ფინეთი, KTM) - 196; 4. **ალექს დებონი** (ესპანეთი, "აპრილია") - 176; 5. **იუკი ტაკაჰაში** - 167; 6. **ექტორ ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - 142.

#### მოტოგრანპრი

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - 46.46.114; 2. **დანიელ პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - +3,390; 3. **ვალენტინო როსი** (იტალია, "იამაჰა") - +12,194; 4. **ანდრეა დოვიციოზი** (იტალია, "ჰონდა") - +24,159; 5. **ნიკი ჰაიდენი** (აშშ, "ჰონდა") - +26,232; 6. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, "იამაჰა") - +32,209.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ვალენტინო როსი** - 373 ქულა; 2. **კეისი სტოუნერი** - 280; 3. **დანიელ პედროსა** - 249; 4. **ხორხე ლორენსო** (ესპანეთი, "იამაჰა") - 190; 5. **ანდრეა დოვიციოზი** - 174; 6. **ნიკი ჰაიდენი** - 155.



სამთო-სათხილამურო სპორტი

# სეზონი ცეტელმა გახსნა




2008-09 წლების სამთო-სათხილამურო სეზონი ავსტრიის კურორტ ზიოლდენში გაიხსნა, სადაც ქალი და მამაკაცი მოთხილამურეები გიგანტურ სლალომში ცდიდნენ ბედს.

ქალებში სეზონის პირველი ეტაპი **კატრინ ცეტელის** გამარჯვებით დასრულდა, რაც მოულოდნელობად მოინათლა, ვინაიდან 2002 წლის შემდეგ ავსტრიელისთვის ეს პირველი ტრიუმფი იყო მსოფლიო თასის ეტაპებზე. სულ კარიერაში კატრინის ანგარიშზე ოთხი გამარჯვება მოდის. შარშან ავსტრიელს სეზონის დიდი ნაწილი გაუცდა, რადგან იტალიის კურორტ ტარვიზიოში ტრასაზე დაეცა და ფეხი და ცხვირი მოიტეხა.

ცეტელი პირველი ცდის შემდეგ ფინელ ლიდერ **ტანია პოუტიაინენთან** აგებდა, მაგრამ სკანდინაველმა მეორე ცდა ჩააგდო, ავსტრიელთან წამზე მეტი დათმო და საბოლოოდ, გამარჯვებული 0.98 წამით ჩამორჩა.

*"ჩემთვის ეს გამარჯვება ძალიან ბევრს ნიშნავს. შარშან ურთულესი სეზონი მქონდა, ბევრი ვიბრძოლე ტრასაზე დასაბრუნებლად და დღევანდელი ტრიუმფი ერთიორად მეამაყება",* - თქვა ფინიშის შემდეგ ცეტელმა.

ავსტრიელს ძლიერი კონკურენტები ჰყავდა - გიგანტურ სლალომში მსოფლიოს თასის შარშანდელი მფლობელი იტალიელი **დენიზე კარბონი**, რომელსაც მეოთხე ადგილი ერგო; ამ დისციპლინაში მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი **ჯულია მანკუზო** (მე-17 ადგილი), მსოფლიოს თასის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი, ცეტელის თანამემამულე **ნიკოლ ჰოსპი** (მეორე ცდაზე უხეში შეცდომა დაუშვა და ბოლო ადგილზე გავიდა)... მაგრამ კატრინს რეალური კონკურენცია მხოლოდ პოუტიაინენმა გაუწია და ჩაგდებული მეორე ცდა რომ არა, გამარჯვებაც ფინელს დარჩებოდა.

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ წარმატებად ჩაითვალა მსოფლიოს თასის მფლობელის, ამერიკელი **ლინდსი ვონის** მეცხრე ადგილი. საქმე ისაა, გასული სეზონის ლიდერისთვის გიგანტური სლალომი სუსტი წერტილია და ასეთ მაღალ პოზიციაზე ის არასოდეს ასულა.

შეგახსენებთ, რომ შარშან ვონი 1983 წლის შემდეგ პირველი ამერიკელი გახდა, ვინც საერთო ჩათვლაში ბროლის გლობუსის მოგება შეძლო. მსოფლიოს თასის მფლობელი ბოლო ამერიკელი **ტამარა მაკინი** გახლდათ.

მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპის ჩატარება ფინურ ლევიში არის ნავარაუდები - მოთხილამურეები ერთმანეთს სლალომში შეეჯიბრებიან.

### ზოლდენი (ავსტრია)

#### გიგანტური სლალომი

**ქალები**

1. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 2:22.99 (1:09.98+:13.01); 2. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 2:23.97 (1:09.83+1:14.14); 3. **ანდრეა ფიშბახერი** (ავსტრია) - 2:24.47 (1:10.71+1:13.76).

**კაცები**

1. **დანიელ ალბრეხტი** (შვეიც) - 2:15.78 (1:07.30+1:08.48); 2. **დიდიე კუში** (შვეიც) - 2:15.92 (1:07.56+1:08.36); 3. **ტედ ლიჯეტი** (აშშ) - 2:17.03 (1:07.57+1:09.46).

ჭადრაკი

# კრამნიკს მოგება დააავიწყდა

ინდოელ დიდოსტატ **ვიშვანათან ანანდს** ერთი ქულა ჰყოფნის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად. ბონში მიმდინარე მატჩის მერვე პარტია, რომელშიც თეთრებით რუსი **ვლადიმირ კრამნიკი** თამაშობდა, 39-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა.

ამ მატჩში კრამნიკისთვის პრესტიჟის საქმედ იქცა თუნდაც ერთი პარტიის მოგება. ვარაუდობდნენ, რომ რუსი დიდოსტატი სწორედ მერვე პარტიაში შეეცდებოდა თავისი ოსტატობის სრულად გამოვლენას. მაგრამ სპეციალისტებს არც ის ავიწყდებოდათ, რომ ინდოელმა ამ მატჩში ორჯერ შეძლო შავი ფიგურებით გამარჯვების მოპოვება.

დებიუტში ჩვეული სურათი ვიხილეთ: კრამნიკი ბევრს ფიქრობდა და მე-12 სვლისთვის ნახევარი საათი ჰქონდა დახარჯული, იმ დროს, როცა ინდოელმა ამდენივე სვლას ხუთი წუთი მოანდომა.

ამდენი ფიქრის მიუხედავად, თეთრებს რეალური უპირატესობა არ მიუღიათ. კრამნიკი ცდილობდა შავი ფიგურების განლაგებაში სუსტი წერტილების მონახვას, მაგრამ ანანდი მშვიდად იცავდა თავს და მეტოქეს მცირე უპირატესობის განვრცობის საშუალება არ მისცა. საბოლოოდ, პარტია 39-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა.

მატჩში ანგარიში გახდა 5.5:2.5. ახლა ინდოელ მოჭადრაკეს ერთი ქულა ჰყოფნის საბოლოო წარმატების მისაღწევად.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ველოსპორტი

# ლენს არმსტრონგი: ტურზე ალბათ არ გამოვალ




სპორტში დაბრუნებული ლეგენდარული ამერიკელი ველომრბოლი **ლენს არმსტრონგი** ჯერაც ვერ გარკვეულა თავის სამომავლო გეგმებში. ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონის ბოლო განცხადების მიხედვით, ლენსი, სავარაუდოდ, მონაწილეობას არ მიიღებს ფრანგულ ველომარათონში.

*"ველოსპორტში ნამდვილად ვბრუნდები და ვიცი, რომ ტურ დე ფრანსი მომავალი სეზონის მთავარი სპორტული მოვლენა იქნება. მაგრამ დიდია ალბათობა იმისა, რომ საფრანგეთში ვერ მიხილავთ.*

*ძალიან მინდა 2010 წელსაც გავაგრძელო კარიერა, მაგრამ ვერც იმის გარანტიას ვიძლევი, რომ პროფესიულ ტურში დავრჩები. ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რა შედეგებს ვაჩვენებ 2009 წელს",* - მოჰყავს სპორტსმენის სიტყვები Austin American Statesman-ს.

შეგახსენებთ, რომ დანამდვილებით არის ცნობილი ლენს არმსტრონგის ჯირო დ'იტალიაზე გამოსვლა, რომელიც პირველი იქნება ამერიკელის კარიერაში. გაისად იტალიური ველომარათონი ასწლიან იუბილეს იზეიმებს.

■ ■ ■

იტალიის პროფესიონალ ველომრბოლთა ასოციაცია წერილით მიმართავს UCI-ის პრეზიდენტ **პატრიკ მაკუაიდს**, სადაც დოპინგში მხილებული სპორტსმენების სამუდამო დისკვალიფიკაციით დასჯას ითხოვს.

*"ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა დისკვალიფიკაციის ვადის 4 წლამდე გაზრდა გამოაცხადა. მაგრამ ჩვენი ასოციაცია, რომელიც თავის რიგებში 250 მრბოლელს აერთიანებს, თვლის, რომ მსგავსი ნაბიჯი არასაკმარისია დოპინგთან ბრძოლის საქმეში. ველოსპორტში სიტუაცია იმდენად რთულია, რომ მხოლოდ უმკაცრესი ზომები აღუდგენს სპორტის ჩვენს სახეობას შელახულ პრესტიჟს",* - წერია იტალიელთა ოფიციალურ დოკუმენტში.

თავის მხრივ, UCI-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ველოსპორტიდან სამუდამოდ მოკვეთამ, შესაძლოა, მართლაც იქონიოს დადებითი გავლენა სპორტის ამ სახეობაზე, მაგრამ მსგავსი ნაბიჯი მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) წესებს ეწინააღმდეგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# კლიჩკო-პოვეტკინი არ გაიმართება

## ვიტალის მეტოქე მოუძებნეს?

გუშინ არასასიამოვნო ამბავი შეიტყვეს კრივის მოყვარულებმა. 13 დეკემბერს გერმანიის ქალაქ მანჰაიმში დანიშნული სატიტულო ბრძოლა არ შედგება. სუპერმძიმე წონაში ორი პრესტიჟული ვერსიით (IBF, WBO) მსოფლიოს ჩემპიონს, უკრაინელ **ვლადიმირ კლიჩკოს** ტიტულების დაცვა უწევდა რუს **ალექსანდრ პოვეტკინთან**. მაგრამ ამ უკანასკნელის მწვრთნელის **ვლადიმერ ხრიუნოვის** ინფორმაციით, მისი შეგირდი რინგზე გასვლას ვერ შეძლებს, რადგან ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშის დროს ტერფის ტრავმა მიიღო.

*"ალექსანდრმა ფეხი ტყეში გარბენის დროს დაიზიანა. დღეს სამედიცინო გამოკვლევას ჩავატარებთ და ორშაბათს ექიმების საბოლოო დასკვნაც გვექნება"*, - აცხადებს მენეჯერი და იქვე ამატებს, რომ პოვეტკინი ნებისმიერ შემთხვევაში ნოემბრის ბოლომდე ვერ შეძლებს ვარჯიშს.

რუსის ტრავმას უკვე გამოეხმაურა უმცროსი კლიჩკოს გუნდი. უკრაინელის ადვოკატის **შელი ფინკელის** განცხადებით, ვლადიმირი ნებისმიერ შემთხვევაში აპირებს 13 დეკემბერს ჩხუბს.

*"ვლადიმირი დათქმულ დროს რინგზე გავა, - ამბობს გერმანელი ადვოკატი. - რეიტინგის მიხედვით მოკრივეებს გადავხედავთ და იმედია, პოვეტკინს ღირსეულ შემცვლელს მოვუძებნით".*

IBF-ის ვერსიით წამყვან პრეტენდენტთა სიაში არიან უკრაინელი **ალექსანდრ დიმიტრენკო** და ამერიკელი **კრის არეოლა**, მაგრამ 13 დეკემბრისთვის მათ ბრძოლები აქვთ დანიშნული. ჯერჯერობით უცნობია, შეცვლიან თუ არა ისინი ვლადიმირთან ბრძოლის გამო გეგმებს. განახილება ყოფილი ჩემპიონების - **ოლეგ მასკაევისა** და **ჰასიმ რაჰმანის** ვარიანტებიც. ეს მოკრივეები წელს რინგზე გასვლას არ აპირებდნენ.

■ ■ ■

ნიგერიელი **სამუელ პიტერის** დამარცხების შემდეგ, WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ახალ ჩემპიონს **ვიტალი კლიჩკოს** ჯერ არ გადაუწყვეტია, გააგრძელებს თუ არა პროფესიულ კარიერას. მისთვის კი უკვე ახალ მოწინააღმდეგეს არჩევენ. **დონ კინგს** უფროსი კლიჩკოსთვის "პენსიონერი" **ლენოქს ლუისი** სურს, რუსებსა და უკრაინელებს რუსი **ნიკოლაი ვალუევი**, ხოლო WBC ვიტალისა და ამერიკელი **ჯამილ მაკლაინის** ჩხუბზე ოცნებობს.

WBC-ის ხელმძღვანელობამ 7 ნოემბრისთვის ჩინეთში 38 წლის მაკლაინისა და 28 წლის **მაიკ მოლოს** ჩხუბი დანიშნა. სწორედ ამ ბრძოლის გამარჯვებული უნდა შეხვდეს WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ ვიტალი კლიჩკოს. ერთი შეხედვით, ეს ცოტათი უცნაური გადაწყვეტილებაა. ვეტერანი მაკლაინი WBC-ის რეიტინგში 21-ე ადგილს იკავებს და კარიერაში 9 ბრძოლა აქვს წაგებული. მელო კი კვლავინდებურად პერსპექტიულთა რიგებშია ჩარჩენილი და კლასიფიკაციაში 36-ე პოზიციაზე იმყოფება. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ყველაფერი მაკლაინის მხარდასაჭერად ტარდება. ამერიკელს სამჯერ უჩხუბია მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის, მაგრამ სამივეჯერ დამარცხებული გამოდიოდა და ახლა მისთვის კიდევ ერთი შანსის მიცემას აპირებენ. თანაც თურმე, ამას თავისი წინაპირობაც ჰქონია.

საქმე ისაა, რომ ერთი წლის წინ ვიტალი კლიჩკო სწორედ მაკლაინთან ბრძოლით აპირებდა რინგზე დაბრუნებას, მაგრამ ტრავმა მიიღო. WBC-მა მაკლაინისა და სამუელ პიტერს შორის დროებითი ტიტულისთვის ბრძოლა მოაწყო. ვეტერანი ამერიკელი პირველი მოკრივე აღმოჩნდა, ვინც ნიგერიელი ნოკდაუნში გაგზავნა, თანაც ერთხელ კი არა, სამჯერ! მაგრამ 12-რაუნდიანი ბრძოლის შემდეგ სამივე მსაჯმა უპირატესობა პიტერს მიანიჭა. მოკლედ, ამ ბრძოლამ კითხვის ნიშნები დატოვა და მაკლაინს კიდევ ერთი შანსის მორალური უფლება დაუტოვა.

სხვათა შორის, ვიტალი ჩინეთში გამგზავრებას და მაკლაინისა და მოლოს ბრძოლაზე დასწრებას აპირებს.



ცურვა

# რეკორდი მოკლე წყალზე



ავსტრალიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე მსოფლიოს ახალი რეკორდი დამყარდა. ადგილობრივმა მოცურავემ **მეტ იაუკოვიჩმა** მოკლე აუზისთვის (25 მეტრი) 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ყველა დროის საუკეთესო შედეგი აჩვენა - მან დისტანცია 22.50 წამში გაცურა და ერთი მეასედი წამით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიოს რეკორდი, რომელიც ორი კვირის წინ ჩერნოგორიაში დაამყარა.

იაუკოვიჩის გარდა, მსოფლიოს თასის ამ ეტაპის ერთ-ერთი მთავარი გმირი იყო პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი, ტუნისელი **უსამა მელული**. მან სამი დისტანციის მოგება შეძლო - 400 მეტრი თავისუფალი სტილით და 100 და 400-მეტრიანი დისტანციები კომპლექსურ ცურვაში.

კალათბურთი

# ჰიუსტონი საბოლოოდ წავიდა

"ნიუ იორკ ნიქსის" ვეტერანმა მცველმა **ალან ჰიუსტონმა** საბოლოოდ გადაწყვიტა კარიერის დასრულება.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, "ნიქსის" ისტორიაში მეოთხე ბომბარდირი ორჯერ შეეცადა აქტიური კარიერის განახლებას. წელს ჰიუსტონი მონდომებით ვარჯიშობდა და სერიოზულად ფიქრობდა რეგულარულ ჩემპიონატში თამაშზე, მაგრამ მუხლის ქრონიკულმა ტრავმამ მცველს განზრახვაზე ხელი აალებინა. ახლა ალანს იმედი აქვს, რომ "ნიუ იორკის" ადმინისტრაციაში რაიმე პოსტს შესთავაზებენ.

*"მე და ჩემი ოჯახი მადლობას ვუხდით "ნიუ იორკის" პრეზიდენტ დონი უოლშსა და მთავარ მწვრთნელ მაიკ დ'ენტონის, რომლებმაც თავის გამოჩენის შანსი მომცეს, - განაცხადა ჰიუსტონმა. - იმედი მქონდა, რომ ახალ სეზონში მოედანზე გასვლას შევძლებდი, მაგრამ სიტუაცია მკარნახობს, რომ გუნდისთვის უფრო სასარგებლო სხვა ამპლუაში ვიქნები. ასე ხშირად ხდება: ჩვენ გეგმებს ვაწყობთ, მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის, რა მოხდება მომავალში"*, - ამბობს ჰიუსტონი.

ჩოგბურთი

# ლუცი ლეიკემიამ იმსხვერპლა

სამწუხარო ინფორმაცია გაავრცელეს გუშინ იტალიურმა საინფორმაციო საშუალებებმა. შაბათს ლეიკემიით გარდაიცვალა 28 წლის იტალიელი ჩოგბურთელი **ფედერიკო ლუცი**, რომელიც თავის დროზე ATP-ის კლასიფიკაციაში საუკეთესო 100 მოთამაშეს შორის შედიოდა.

ლუცი ქალაქ არეცოს საავადმყოფოში მკურნალობდა. ჩოგბურთელი იქ ტურნირის სათამაშოდ იყო ჩასული, მაგრამ პირველივე წრიდან მაღალი ტემპერატურის გამო გამოეთიშა შეჯიბრებას.

იტალიელის საუკეთესო შედეგი 2002 წლს მამაკაცთა კლასიფიკაციაში დაკავებული 92-ე ადგილი იყო. ამის შემდეგ ლუციმ მხარის ტრავმა მიიღო, რამაც მის კარიერაზე ნეგატიურად იმოქმედა.

ფედერიკოს იტალიის ნაკრების რიგებში დევისის თასზეც უთამაშია - ოთხ შეხვედრაში მის ანგარიშზე ორი მოგება მოდის. ამ ტურნირზე მან იტალიური რეკორდი დაამყარა - ფინელ **ვილე ლიუკოსთან** 4 საათი და 35 წუთი არკვევდა ურთიერთობას. იტალიელთაგან ასეთი ხანგრძლივი მატჩი არავის ჩაუტარებია. იმ შეხვედრის ბოლო სეტი ლუციმ 14:12 მოიგო.

ლუცის კარიერას ერთი უსიამოვნო ისტორიაც უკავშირდება. ამა წლის თებერვალში ის 200-დღიანი დისკვალიფიკაციითა და 50 ათასი დოლარით დაისაჯა ჩაწყობილ მატჩებში მონაწილეობის გამო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### 24 ოქტომბერი

**ოტავა-ანაჰაიმი 3:4**

0:1, 0:3, 3:0

გოლები: 0:1 სატერბი-2 (მეი-4, სელიანე-1), 0:2 მარჩანტი-2, 0:3 პალსონი-2, 0:4 გეტცლაფი-1 (პერი-3, კუნიტცი-2), 1:4 ალფრედსონი-3 (კუბა-9, ჰიტლი-3), 2:4 პიკარი-2 (კუბა-10, ჰიტლი-4), 3:4 ნილი-1 (სპეცა-6, ჰიტლი-5).

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 3:6**

3:2, 0:2, 0:2

გოლები: 1:0 ზაიაცი-1 (პარიზე-4), 1:1 ჯ. კარტერი-5 (ბირონი-2), 1:2 ნუბლი-1 (მ. რიჩარდსი-3, სბისა-2), 2:2 ზუბრუსი-1 (პარიზე-5, ელიაში-3), 3:2 პარიზე-5 (ჯონტა-4, ზაიაცი-4), 3:3 საიმონ განიე-5 (ნუბლი-4, მ. რიჩარდსი-4), 3:4 ჰარტნელი-2 (მ. რიჩარდსი-5, ლუპული-1), 3:5 ლუპული-3 (მ. რიჩარდსი-6, ვაანანენი-2) 3:6 ჰარტნელი-3.

**კოლამბუსი-რეინჯერსი 1:3**

1:0, 0:2, 0:1

გოლები: 1:0 ვორაჩეკი-3 (ბრასარი-4, ბეკმანი-3), 1:1 ჟირარდი-1 (ჟერდიოვი-4, ნესლუნდი-4), 1:2 დუბინსკი-4 (ჟერდიოვი-5, ჟირარდი-6), 1:3 ჟერდიოვი-3 (დრური-2, ნესლუნდი-5).

**ფლორიდა-სან ხოსე 4:3**

3:1, 1:2, 0:0

გოლები: 0:1 ჯ. ტორნტონი-1 (ვლასიჩი-6, ბოილი-5), 1:1 სტილმანი-4 (ბალარდი-5, ბოინტონი-2), 2:1 ზედნიკი-1 (ბალარდი-6, უეისი-4), 3:1 ჰორტონი-3 (სტილმანი-4), 3:2 ქლოუ-2 (ერჰოფი-5, რ. ბლეიკი-3), 3:3 მარლო-5 (გრირი-4), 4:3 სტილმანი-5 (ბალარდი-7, ბოინტონი-3).

**დეტროიტი-ატლანტა 5:3**

2:1, 2:0, 1:2

გოლები: 1:0 ზეტერბერგი-3 (ჰუდლერი-1, სამუელსონი-5), 1:1 სლეიტერი-1 (ჯეისონ უილიამსი-2), 2:1 მარიან ჰოსა-2 (ჰოლმსტრიომი-1), 3:1 მარიან ჰოსა-3 (კრონვალი-2, დაციუკი-8), 4:1 ზეტერბერგი-4 (ფრანცენი-2, რაფალსკი-7), 4:2 ჰეინსი-2 (ლიტლი-3, ტ. უაიტი-6), 4:3 სტერლინგი-1 (ე. კრისტენსენი-2, კ. არმსტრონგი-1), 5:3 კლირი-2 (რაფალსკი-8, მარიან ჰოსა-6).

**სტ ლუისი-ლოს ანჯელესი 0:4**

0:2, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 ქუინსი-1 (კალდერი-1, კოპიტარი-3), 0:2 ო'სალივანი-3, 0:3 სტოლი-2 (დ. ბრაუნი-4), 0:4 დ. ბრაუნი-2.

### 25 ოქტომბერი

**ბოსტონი-ატლანტა 5:4**

0:2, 3:1, 2:1

გოლები: 0:1 ჯეისონ უილიამსი-2 (კ. არმსტრონგი-2, ე. კრისტენსენი-3), 0:2 შნაიდერი-1 (კოვალჩუკი-3, ვიაჩ. კოზლოვი-2), 1:2 იელე-1 (შ. ტორნტონი-1), 2:2 ლუჩიჩი-2 (რაიდერი-5, სავარი-5), 2:3 კოვალჩუკი-3 (შნაიდერი-3, ჰეინსი-5), 3:3 კრეისი-3 (ლუჩიჩი-3, ვიდემანი-2), 4:3 ლუჩიჩი-3 (ვიდემანი-3, ფერენსი-4), 4:4 ვიაჩ. კოზლოვი-3 (კ. არმსტრონგი-3, რისონერი-1), 5:4 ლუჩიჩი-4 (სავარი-6).

**ტორონტო-ოტავა 3:2**

1:0, 1:1, 1:1

გოლები: 1:0 მური-2 (ვან რინი-4, ჯ. ბლეიკი-3), 2:0 გრაბოვსკი-1 (ჰაგმანი-2, სტრალმანი-1), 2:1 დონოვანი-2 (პიკარი-2, კუბა-11), 2:2 პონიკაროვსკი-2 (ანტროპოვი-3, სტაიანი-2), 3:2 მაკამონდი-1.

**მონრეალი-ანაჰაიმი 4:6**

2:2, 1:3, 1:1

გოლები: 0:1 პასკინსი-2 (პაროსი-1, რ. კარტერი-3), 0:2 გეტცლაფი-2 (პერი-4, კუნიტცი-3), 1:2 ტანგეი-4 (კოვალიოვი-3, მარკოვი-10), 2:2 ს. კოივუ-4 (პიგინსი-1), 3:2 კოსტოპულოსი-1 (გორჯესი-1, ლანგი-1), 3:3 პერი-1 (ს. ნიდერმაიერი-3), 3:4 კუნიტცი-1 (ს. ნიდერმაიერი-4, გეტცლაფი-2), 3:5 მოენი-2 (პრონგერი-3), 3:6 სელიანე-2 (პერი-5, პრონგერი-4), 4:6 ტანგეი-5 (ბრისბუა-1, ლანგი-2).

**აილენდერსი-კაროლინა 3:4**

0:2, 1:1, 2:1

გოლები: 0:1 ლა როუზი-1, 0:2 ბრინდამორი-4 (კორვო-1), 1:2 მეიერი-1 (ჰილბერტი-2), 1:3 ე. სტაალი-4, 2:3 ბერგენჰაიმი-2 (მეიერი-1), 2:4 ლაროუზი-2 (სატერი-2, ბაიედა-2), 3:4 მტრაიტი-2 (უეიტი-4, გერინი-3).

**რეინჯერსი-პიტსბურგი 3:2 (ბ)**

0:1, 0:1, 2:0, 0:0

გოლები: 0:1 სიდორი-1 (ტ. კენედი-3, ლეტანგი-4), 0:2 კროსბი-3 (მალკინი-11, გოლიგოსკი-1), 1:2 ნესლუნდი-3 (გომესი-7, დრური-3), 2:2 ჟერდიოვი-4 (ნესლუნდი-6, დუბინსკი-7).

ბულიტები გაიტანეს: სიოსტრიომი (რეინჯერსი).

**ნეშვილი-ლოს ანჯელესი 5:4**

3:0, 0:2, 2:2

გოლები: 1:0 ჯონსი-2 (ჰორნკვისტი-1, ლეგვანდი-2), 2:0 დუმონი-2 (ჰორნკვისტი-2, არნოტი-4), 3:0 ერატი-4 (სატერი-4, შ. უებერი-6), 3:1 სტოლი-3 (ო'სალივანი-2), 3:2 სტოლი-4 (კოპიტარი-4, ო'სალივანი-3), 4:2 სმიტსონი-1 (ჯ. უორდი-2, ჰამჰუისი-2), 5:2 ტუტუ-2 (ნიკოლი-3), 5:3 დ. ბრაუნი-3 (კოპიტარი-5), 5:4 ფროლოვი-3 (რიჩარდსონი-1, დ. არმსტრონგი-1).

**დალასი-ვაშინგტონი 5:6 (ო)**

2:2, 1:2, 2:1, 0:1

გოლები: 1:0 ეივერი-1 (კრომბინი-4, მოდანო-5), 1:1 ფიოდოროვი-2 (სიომინი-6, ბექსტრიომი-3), 1:2 ფლიშმანი-2 (ნოულანდერი-5), 2:2 ბრუნსტრიომი-5 (ეივერი-3, რობიდასი-6), 2:3 ფიოდოროვი-3 (სიომინი-7, ლეიჩი-4), 2:4 ფლიშმანი-3 (ნოულანდერი-6), 3:4 კრომბინი-1 (დელეი-2, მოდანო-6), 4:4 ლ. ერიქსონი-4 (რიბეირო-9, მოროუ-6), 4:5 სლოუნი-1 (ვიქ. კოზლოვი-2, ოვეჩკინი-3), 5:5 მოდანო-4 (მოროუ-,7 ლ. ერიქსონი-2), 5:6 სიომინი-7 (გორდონი-2, მ. გრინი-3).

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 3:2 (ო)**

1:0, 1:2, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ნუბლი-2 (მეტროპოლიტი-2, ვაანანენი-3), 1:1 პარიზე-6 (კ უაიტი-2, ზაიაცი-5), 2:1 ჰარტნელი-4 (ჯ. კარტერი-2, ქობურნი- ), 2:2 ჯონტა-1 (ზუბრუსი-2, მოტო-1), 3:2 ჯ. კარტერი-6 ( აანანენი-4, ქობურნი-3).

**ტამპა ბეი-სან ხოსე 0:3**

0:0, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 გოკი-1 (ბოილი-6, გრირი-5), 0:2 ქლოუ-3 (ერჰოფი-6, პაველსკი-3), 0:3 სეტოგუჩი-5 (ჯ. ტორნტონი-7, რ. ბლეიკი-4).

**ვანკუვერი-ედმონტონი 6:3**

1:0, 2:3, 3:0

გოლები: 1:0 რეიმონდი-2 (ბერნიე-3), 1:1 გრებეშკოვი-1 (რ. ნილსონი-2, ჰემსკი-6), 2:1 რეიმონდი-3 (ბიეკსა-1, დ. სედინი-4), 3:1 ჰანსენი-2 (კესლერი-5), 3:2 რ. ნილსონი-2, 3:3 სტაიოსი-1 (სემ განიე-1, კოლიანო-2), 4:3 უელვუდი-2 (კესლერი-6, ედლერი-3), 5:3 ჰანსენი-3 (მიტჩელი-4, ბაროუზი-4), 6:3 კროგი-1 (ბიეკსა-2).

**მინესოტა-კოლამბუსი 2:1**

1:0, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 ბუშარი-1 (ჟიდლიცკი-1, ნოლანი-2), 2:0 ნოლანი-1 (მ. კოივუ-9), 2:1 კლესლა-1 (პეკა-1).

**ჩიკაგო-დეტროიტი 5:6 (ბ)**

1:1, 3:1, 1:3, 0:0

გოლები: 0:1 ფრანცენი-5 (ზეტერბერგი-3, ჰუდლერი-2), 1:1 ვერსტეეგი-2 (ბროუერი-1, ჰაველატი-5), 2:1 ა. ჯონსონი-2, 2:2 მარიან ჰოსა-4 (კრონვალი-3, სამუელსონი-6), 3:2 ჰაველატი-3 (ბროუერი-2, ბ. კემპბელი-3), 4:2 იგერი-1 (სოპელი-1, ფრეიზერი-1), 4:3 კრონვალი-1 (ფილპულა-3, ჰუდლერი-3), 4:4 დაციუკი-1 (მარიან ჰოსა-7, ჰოლმსტრიომი-2), 4:5 ჰუდლერი-2 (სამუელსონი-7, კრონვალი-4), 5:5 კეინი-5 (ტეუვზი-5, შარპი-6).

ბულიტები გაიტანეს: მარიან ჰოსა (დეტროიტი).

**სენტ ლუისი-ფლორიდა 4:0**

1:0, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 ბოიესი-6 (ტკაჩუკი-1, ე. მაკდონალდი-9), 2:0 კარია-2 (ბექსი-1), 3:0 ტკაჩუკი-8 (კარია-10, ე. მაკდონალდი-10), 4:0 ბოიესი-7 (ე. მაკდონალდი-11, პოლაკი-1).

**კოლორადო-ბაფალო 2:1 (ბ)**

0:0, 0:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 პეი-1 (ლიდმანი-4, მაკარტური-2), 1:1 ლეოპოლდი-2 (პეიდუკი-3, რ. სმიტი-3).

ბულიტები გაიტანეს: რ. სმიტი (კოლორადო).

**ფინიქსი-კალგარი 1:4**

1:2, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 ბერტუცი-6 (კამალერი-5, იგინლა-3), 0:2 პრუსტი-1 (უ. პრიმო-3), 1:2 ფედორუკი-1 (დოუნი-1, ჰანჟალი-3), 1:3 ფანოფი-1 (ჯორდანო-2, იგინლა-4), 1:4 იგინლა-6 (კონროი-3, რეგერი-1).

რაგბი

# აფრიკა ლეგიონერების გარეშე



მსოფლიოს თასის მფლობელის, სამხრეთ აფრიკის მთავარმა მწვრთნელმა **პიტერ დე ვილიერსმა** მომავალი სატესტო მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა. აფრიკელთა რიგებში არც ერთი ლეგიონერი არ არის მიწვეული. მწვრთნელმა ამ ფაქტს ასეთი კომენტარი გაუკეთა.

*"რუან პიენაარი ამ ტურში ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იქნება. მან ხანგრძლივი პერიოდით უნდა შეცვალოს ბატჩ ჯეიმსი, რადგან ეს უკანასკნელი მალე დაასრულებს სანაკრებო კარიერას.*

*გადავწყვიტეთ გუნდში არ შევიყვანოთ ის მორაგბეები, რომლებიც სხვა ქვეყნებში თამაშობენ. ვგრძნობთ, რომ სხვა ბიჭების გამოცდის დრო მოვიდა.*

*მომავალ წელს "ლომებთან" (ირლანდიისა და ბრიტანეთის გაერთიანებული ნაკრები) რამდენიმე მატჩის ჩატარება გვიწევს, ასე რომ, ნოემბრის ამხანაგური მატჩები დიდ მნიშვნელობას იძენს"*, - ამბობს დე ვილიერსი BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

სამხრეთ აფრიკის ნაკრების კაპიტანი **ჯონ სმიტი** იქნება. დე ვილიერსმა შემადგენლობაში იმ ოთხ მორაგბეს უხმო, რომლებმაც ახლახან მოირჩინეს ტრავმები. ესენი არიან: **რაიან კანკოვსკი, ბაკის ბოთა, ჟაკ ფურიე და ჩილიბოი რალეპელე**, აფრიკელთა სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

**უკანა ხაზი:** ჟან დე ვილიერსი, ფური დუ პრე, ჟაკ ფურიე, ბრაიან ჰაბანა, ადრიან იაკობსი, კონრად იანტიესი, ენრიკო იანუარი, იონგი ნოკვე, ოდვა ნდუნგანე, რუან პიენაარი, ჯეი პი პიტერსონი, ირლ როუზი, ფრანსუა სტეინი;

**შერკინება:** ანდრიეს ბეკერი, ბაკის ბოთა, შალკ ბურგერი, ჰაინრიხ ბრუსოუ, ბისმარკ დუ პლესი, რაიან კანკოვსკი, ვიქტორ მეტფილდი, ტენდაი მტავარირა, ჩილბოი რალეპელე, ბრაიან მუიატი, დენი როსოუ, ჯონ სმიტი, ჟუან სმიტი, პიერ სპისი, გარტრო სტინკამპი.

მსოფლიოს ჩემპიონები პირველ მატჩს 8 ნოემბერს უელსის ნაკრების წინაალმდეგ გამართავენ.

გია თვალაბეიშვილი

| Currie Cup | |
|---|---|
| **ფინალი** | |
| **სეილ შარქსი-ბლუ ბულზი** | **14:9** |

**სეილ შარქსი:** 2 ლელო - პიენაარი, ფ. სტეინი; 2 გარდასახვა - პიენაარი, მიშალაკი.
**ბლუ ბლუზი:** 2 საჯარიმო - მ. სტეინი; 1 არეკნი - მ. სტეინი.

| ზელანდიის თასი | |
|---|---|
| **ფინალი** | |
| **ველინგტონი-კენტერბერი** | **6:7** |

**ველინგტონი:** 2 საჯარიმო - უიპუ.
**კენტერბერი:** 1 ლელო - ჰოპგუდი; 1 გარდასახვა - სლეიდი.

მსოფლიოს ჩემპიონატი

# ცამეტკაცას მეცამეტე

ავსტრალიაში რაგბილიგის ანუ ცამეტკაცა რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. რაგბილიგელები თავიანთ უდიდეს სარაგბო ფორუმს უკვე მეცამეტედ მართავენ. პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი 1954 წელს გაიმართა, სადაც გამარჯვება ბრიტანეთის ნაკრებს დარჩა. მას მერე ბრიტებმა მსოფლიოში საუკეთესო გუნდის ტიტული კიდევ ორჯერ მოიგეს. ბოლოს 1972 წელს. მას შემდეგ მოყოლებული პირველობას პლანეტაზე ავსტრალია არავის უთმობს. ოზებმა პირველად მსოფლიოს ჩემპიონატი 1957 წელს მოიგეს. ბოლო კი 2000 წელს, შესაბამისად, დღესაც მოქმედი ჩემპიონები და უმთავრესი ფავორიტები არიან.

გათამაშებაში ათი გუნდი მონაწილეობს, რომლებიც სამ ჯგუფად არიან განაწილებულნი. A ჯგუფში ოთხი გუნდია - ავსტრალია, ზელანდია, ინგლისი და პაპუასეთი. ამათგან შემდეგ ეტაპზე ანუ ნახევარფინალში სამი საუკეთესო გადის. B და C ჯგუფებში სამ-სამი გუნდია, რომელთაგან საუკეთესოები ერთმანეთს ნახევარფინალში გასასვლელ შეხვედრაში დაუპირისპირდებიან. B ჯგუფიდან ეს სავარაუდოდ საფრანგეთი იქნება, რომელსაც ფიჯისა და შოტლანდიასთან მოუწევს რკენა. C ჯგუფიდან კი ირლანდია, სამოა და ტონგა შეეცდებიან ნახევარფინალში გაღწევას.

პირველი ტურის შეხვედრებში, რომელიც A და B ჯგუფებში გაიმართა, მოულოდნელი არაფერი მომხდარა. მსოფლიოს ჩემპიონებმა, ავსტრალიელებმა მეზობელი ზელანდიას საკმაოდ დამაჯერებლად 30:6 სძლიეს. კივებმა მხოლოდ ერთი ლელოს გატანა მოახერხეს მთელი მატჩის განმავლობაში და ისიც 26-ე წუთზე. დანარჩენი დროის განმავლობაში ავსტრალიის უპირატესობა საგრძნობლად დიდი იყო. „კენგურუების" ანგარიშზე ხუთი ლელოა, რომელთაგან ორი **იზრაელ ფოლაუმ** გაიტანა.

მასზე მეტი, სამი ლელო მიითვალა ინგლისელმა **ლი სმითმა** პაპუასეთის წინაალმდეგ მატჩში. შეხვედრა ალბიონელების გამარჯვებით დასრულდა 32:22. პაპუასების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ყველასათვის მოულოდნელად მედგარი წინაალმდეგობა გაუწიეს მრისხანე ბრიტებს და ოთხი ლელოს გატანაც მოახერხეს.



B ჯგუფში, როგორც მოსალოდნელი იყო, ევროპელების, ფრანგებისა და შოტლანდიელების დაპირისპირებაში გამარჯვება „სამფეროვნებს" დარჩათ 36:18. ფრანგებს შორის ორი გატანილი ლელოთი **ჟერომ გუიზე** გამოირჩა.

| მსოფლიოს ჩემპიონატი | |
|---|---|
| **ინგლისი-პაპუასეთი** | **32:22** |

ინგლისი- 6ლ: სმითი (3), გარდნერი (2), გლესონი. 4გ: სინფელდი.
პაპუასეთი- 4ლ: გრიფინი, ჩანი, კეპა, აიტონი. 3გ: ვილშერი.

| | |
|---|---|
| **ავსტრალია-ზელანდია** | **30:6** |

ავსტრალია- 5ლ: ფოლაუ (2), მონაგანი, სლეიტერი, ინგლისი. 5გ: თურსტონი (4), სმითი.
ზელანდია- ლ: მანუ. გ: მატაი.

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი-შოტლანდია** | **36:18** |

საფრანგეთი- 6ლ: გუისე (2), ტეილორი, მოლი, ვილსონი, რაგუინი. 6გ: ბოსკი.

**A ჯგუფი**

ავსტრალია-2 ქულა, ინგლისი-2, პაპუასეთი-0, ზელანდია-0.

**B ჯგუფი**

საფრანგეთი-2 ქულა, ფიჯი-0, შოტლანდია-0

ბესიკ ჯანგავაძე

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| პაოკ-პანელინიოსი | 60:74 |
| არისი-ეგალეო | 75:57 |
| მარუსი-კოლოსოსი | 82:67 |
| პანათინაიკოსი-ლარისა | 102:58 |
| აეკ-პანიონიოსი | 85:87 (ო) |
| ოლიმპია-ოლიმპიაკოსი | 66:82 |
| **ესპანეთი** | |
| გრანადა-ბილბაო | 74:71 |
| ესტუდიანტესი-გრან კანარია | 66:88 |
| უნიკახა-ხუვენტუდი | 76:66 |
| ბარსელონა-სარაგოსა | 89:73 |
| ბრუესა-ტაუგრესი | 75:62 |
| მენორკა-პამესა | 70:62 |
| რეალი-კახასოლი | 109:116 (ო) |
| მანრესა-მურსია | 78:72 |
| **იტალია** | |
| ფერარა-ბენეტონი | 88:73 |
| იუვე სტაბია-მილანი | 70:68 |
| ბიელა-რომა | 85:94 |
| მონტეგრანარო-ფორტიტუდო | 91:89 |
| რიეტი-სკავოლინი | 61:59 |
| ტერამო-მონტეპასკი | 81:82 (ო) |
| ვირტუსი-სნაიდერო | 91:74 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-ჰავრი | 78:59 |
| დიჟონი-სტრასბური | 83:93 |
| ლე მანი-ვიში | 70:42 |
| ორლეანი-რუანი | 79:64 |
| ტულონი-გრაველენი | 62:64 |
| შოლე-შალონი | 76:68 |
| პო ორტეზი-ნანსი | 59:89 |
| **გერმანია** | |
| სკაილაინერსი-პადერბორნი | 61:56 |
| დიუსელდორფი-ნორდლინგენი | 79:60 |
| არტლანდი-ულმი | 84:80 |
| ბონი-კიოლნი | 90:72 |
| ბრაუნშვაიგი-ტრირი | 87:76 |
| გისენი-ბრემეჰავენი | 90:84 |
| ოლდენბურგი-ლუდვიგსბურგი | 75:65 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| მაგდებურგი-ფლენსბურგი | 33:26 |
| ფიუხსე-ლემგო | 27:35 |
| ესენი-მინდენი | 27:26 |
| რაინი-გუმერსბახი | 27:29 |
| ჰამბურგი-კეპინგენი | 30:23 |
| გროსვალშტადტი-ნორდჰორნი | 23:30 |
| დორმაგენი-ბალინგენი | 27:24 |
| შტრალზუნდი-კილი | 22:43 |
| ვეტცარი-მელსუნგენი | 30:30 |
| **ესპანეთი** | |
| არაგონი-ალმერია | 31:23 |
| ალკობენდასი-სიუდადი | 26:36 |
| ანტეკერა-გრანოლერსი | 28:33 |
| ოსტავიო-ტეუკრო | 37:30 |
| ტორევიეხა-ვალიადოლიდი | 30:34 |
| არატე-ადემარი | 21:26 |
| კუენკა-ლოგრონიო | 29:29 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| სკა-ცსკა | 3:3 |
| ავანგარდი-დინამო | 2:2 |
| სევერსტალი-დინამო (მ) | 3:3 |
| ლოკომოტივი-ამური | 7:1 |
| ტორპედო-ბარისი | 2:3 |
| დინამო (რ)-აკ ბარსი | 2:3 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-კლაგენფიურტი | 4:3 |
| ლინცი-ვენა | 0:3 |
| ინსბრუკი-ვილახი | 0:2 |
| ოლიმპია-გრაცი | 5:2 |
| ზალცბურგი-იეშენიცე | 6:2 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-კრეფელდი | 1:3 |
| დიუსელდორფი-ნიურნბერგი | 4:1 |
| აუგსბურგი-კასელი | 4:0 |
| დუისბურგი-ჰანოვერი | 2:6 |
| ფრანქფურტი-ვოლფსბურგი | 4:1 |
| იზერლონი-მანჰაიმი | 3:2 |
| კიოლნი-ინგოლშტადტი | 3:2 |
| შტრაუბინგი-ჰამბურგი | 6:0 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-ფრისკ ასკერი | 4:3 |
| ფურუსეტი-ლორენსკოგი | 3:8 |
| კომეტი-ვოლერენგა | 2:5 |
| სტორჰამარი-სპარტა | 5:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ბისტრიცა | 3:3 |
| კეჟმაროკი-კოშიცე | 1:2 |
| ნიტრა-მარტინი | 2:2 |
| სკალიცა-პოპრადი | 2:2 |
| ტრენჩინი-სლოვანი | 3:3 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-ჰიფკ | 5:1 |
| იოკერიტი-კერპეტი | 3:2 |
| კიეკო-ტაპარა | 1:0 |
| ლუკო-სეი პა | 1:1 |
| პელიკანსი-კალპა | 3:2 |
| ესეტი-ჰპკ | 2:5 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-ზლინი | 4:2 |
| სლავია-კარლოვი | 6:5 |
| ტრშინეცი-პარდუბიცე | 3:2 |
| კლადნო-ბუდეიოვიცე | 5:2 |
| ლიტვინოვი-ბოლესლავი | 4:2 |
| პლზენი-ვიტკოვიცე | 2:3 |
| ზნოიმო-სპარტა | 2:2 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-ცუგი | 3:3 |
| ბერნი-დავოსი | 3:2 |
| ბილი-კლოტენი | 2:4 |
| ლუგანო-ციურიხი | 7:2 |
| რაპერსვილი-ჟენევა | 4:4 |
| ფრიბურგი-ლანგნაუ | 2:5 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ფრიოლუნდა | 2:2 |
| ტიმრა-იურგორდენი | 2:2 |
| ფერიესტადი-როგლე | 2:3 |
| ბრიუნესი-ლულეო | 2:4 |
| სიოდერტალე-აიკ | 2:3 |
| ჰ371-მოდო | 2:5 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბაზელი** | |
| დელ პოტრო-ნალბანდიანი | 4:6, 4:6 |
| ფედერერი-ფ. ლოპესი | 6:3, 6:2 |
| ფედერერი-ნალბანდიანი | 6:3, 6:4 |
| **ATP. ლიონი** | |
| სიოდერლინგი-სიმონი | 5:7, 6:3, 6:3 |
| ცონგა-ბენეტო | 6:7, 5:7 |
| სიოდერლინგი-ბენეტო | 6:3, 6:7, 6:1 |
| **ATP. სტ. პეტერბურგი** | |
| ჰანესკუ-გოლუბევი | 3:6, 0:6 |
| მიურეი-ვერდასკო | 6:0, 6:3 |
| მიურეი-გოლუბევი | 6:1, 6:1 |
| **WTA. ლინცი** | |
| ზვონარევა-ბარტოლი | 6:0, 6:1 |
| ივანოვიჩი-ა. რადვანსკა | 6:2, 3:6, 7:5 |
| ზვონარევა-ივანოვიჩი | 2:6, 1:6 |
| **WTA. ლუქსემბურგი** | |
| დემენტიევა-კირსტეა | 6:2, 6:2 |
| ვოზნიაკი-ნა ლი | 7:6, 3:6, 6:2 |
| დემენტიევა-ვოზნიაკი | 2:6, 6:4, 7:6 |

TV სპორტი

**27 ოქტომბერი. ორშაბათი**

**იმედი**

01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:35 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-არსენალი.
09:25 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბილბაო.
11:15 არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-სან ლორენსო.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული.
15:10 გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-პსჟ.
19:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ატლეტიკო.
20:55 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:55 საფეხბურთო ღამე
01:25 არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-სან ლორენსო.
03:10 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
04:45 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-კიოლნი.
06:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი.
09:45 სპორტის სამყარო.
10:10 პროფესიული კრივი. რინგ-ს იდი.
11:15 ფეხბურთელთა ცხოვრება.
11:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-არსენალი.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. მადრიდი. ესპანეთი.
15:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვოლფსბურგი.
16:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
16:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა.
18:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი რეკრეატივო-ვალენსია.
20:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:05 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია I წრე. პარიზი. საფრანგეთი.
01:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
01:25 პროფესიული კრივი. ტიაჩ ფაპიო-მარკო ჰუკი.
04:05 სპორტის სამყარო.
04:30 სპორტდოსიე.
05:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-ბოსტონი (LIVE)
07:40 ფეხბურთელთა ცხოვრება.

**EUROSPORT**

11:30 მოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
12:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ოსაკა. იაპონია.
13:00 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსიას გრან პრი.
15:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. ავსტრია.
16:30 ფიგურული სრიალი. გრანპრი.
18:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. როჯერ ფედერერი-დავიდ ნალბანდიანი. ბაზელი. შვეიცარია.
19:15 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსიას გრან პრი.
20:00 სნუკერი. მსოფლიოს სერია. ვარშავა. პოლონეთი.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 მულტისპორტი.
22:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. ლიტვა.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა
02:45 სნუკერი. მსოფლიოს სერია. ვარშავა. პოლონეთი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXX ტური. ნიიგატა-ურავა.
14:00 ახალი ამბები.
14:30 სპიდვეი. ლატვიის გრანპრი.
15:30 ახალი ამბები.
17:00 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსიას გრან პრი.
18:00 ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. ამსტერდამი (ჰოლანდია)-ოლიმპია (უკრაინა).
19:15 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
19:45 ახალი ამბები.
20:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. ლონდონი. ბრიტანეთი
21:00 ახალი ამბები.
21:30 მოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
22:00 უნივერსიადა 2009.
22:15 ახალი ამბები.
23:00 ავსტრალიური ფეხბურთი. საერთაშორისო სერია. ავსტრალია-ირლანდია.
00:45 კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. აშშ.
02:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXX ტური. ნიიგატა-ურავა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი

# მარადონა საქართველოში



დიეგო მარადონა, თენგიზ სულაქველიძე, გოჩა ჯამარაული და კლაუდიო კანიჯა



გაბელიამ კანიჯას კარი არ დაანება

### გოჩა ჯამარაული:

## მარადონა ყველას აჰიპნოზებდა

### თამაშის დროსვე სურდა ფორმის გაცვლა, მერე თვითონ მომძებნა...

დიდი დიეგოს მატჩი ვერ გამოდგა ისეთი ეფექტური, როგორსაც მაყურებელი ელოდა. რატომღაც, ჩვენი მოთამაშეების ნაწილი უხეშობდა, ქომაგთა მცირე რაოდენობა კი საზეიმო ფონს ვერ ქმნიდა. თუმცა იყო დასამახსოვრებელი ეპიზოდებიც, რომელმაც გულშემატკივარი გამოაცოცხლა. მაგალითად, ის, როცა დიეგო მარადონა გოჩა ჯამარაულს ჩაეხუტა და თავის მაისურას შეჰპირდა. მატჩის შემდეგ დიდმა არგენტინელმა მას „ათიანი“ საკუთარი ნებით გადასცა.

**- გოჩა, ბედნიერი კაცი ხარ. მარადონამ შენ მიმართ აშკარა სიმპათია გამოხატა...**

- კი, მაგარი საჩუქარი გამიკეთა.

**- შენ სთხოვე თუ...**

- არა, თავად მითხრა იმ ეპიზოდში და ალბათ, ეს ხალხმაც დაინახა. თუ შენიშნეთ, არბიტრს დაუყვირა, თითქოს, მისგან რაღაცას ითხოვდა, მეც მსაჯისგან გავიხედე... თურმე, მატყუებდა - ამ დროს ბურთი ამაცალა. მერე ჟესტით მანიშნა, ბოდიშიო. ბოდიში კი არა, მაისურა უნდა გამიცვალო-მეთქი და გაეცინა - ახლავე მოგცემო. ეს შერიგების ჟესტივით იყო. იქვე აპირებდა გახდას, მაგრამ ეტყობა, სტადიონზე მოერიდა და გადაიფიქრა. ვუთხარი, მაშინ თამაშის შემდეგ გავცვალოთ-მეთქი და პრობლემა არ არისო. როგორც კი მატჩი დამთავრდა, თავად მომძებნა და დამიძახა - შენ გაძლევ ჩემს მაისურსო.

**- გასაკვირი ის იყო, 48 წლისაა და როგორ თამაშობს...**

- მაგარი კაცია... უბრალოდ, მოედანზე უნდა იყო, რომ მისი სიდიადე დაინახო. 50-ს მიტანებული კაცი სულ მოძრაობდა, სულ იხსნებოდა, სულ ბურთს ითხოვდა... ახლა ასეთია და წარმომიდგენია, როცა თამაშობდა, მაშინ რა იქნებოდა.

**- ყველაზე მეტად რითი დაგამახსოვრა თავი?**

- ყველას აჰიპნოზებს. იცი, როგორი შეგრძნება მქონდა? ხელი არ შემეშალა და მისი თამაშით მესიამოვნა. თითქოს, ბურთი მიწებებული ჰქონდა, ახლოს ვერ ვეკარებოდი, როგორც უნდოდა, სადაც უნდოდა, იმ მიმართულებით უშვებდა ბურთს. ასეთი რამ არ მინახავს.

**- მსაჯობაზე რას იტყვი? ან იმაზე, ჩვენები რომ უხეშობდნენ?**

- მოედანზე ისეთი ჟიგრით გამოვიდა, თითქოს, გადამწყვეტი მატჩი ჰქონდა სათამაშო. რა წაგება, რის ფრე - გიჟდებოდა, თავისიანები ბურთს რომ კარგავდნენ. მეორე ტაიმში ანგარიში რომ შევამცირეთ, მსაჯობაზეც ამიტომ ატეხა ერთი ამბავი. საერთოდ, არგენტინელებს ეტყობოდათ, რომ პროფესიონალები იყვნენ და არიან კიდეც. ეს თვისება მათ სისხლში აქვთ გამჯდარი.

**- სხვათა შორის, ვეტერანთა ნაკრები თითქმის ყველა ქვეყანაშია, სისტემატურად ვარჯიშობენ და ათასგვარ ტურნირებში მონაწილეობენ. ქართველი ვეტერანები რატომ ვერ ახერხებთ ამას?**

- ძალიან კი გვინდა, მაგრამ საამისოდ პირობებია საჭირო - სერიოზული ფინანსები და ორგანიზაცია. მარადონა და მისი გუნდი საუკეთესო მოედნებზე ვარჯიშობენ, ჩვენ კი ხელოვნურ საფარზე ვცდილობთ, ფორმა ასე თუ ისე შევინარჩუნოთ. ეს კი სხვადასხვა რამაა. ჩვენ ტანინიანი ღვინისა და ხაშლამის გავლენა გვეტყობოდა, ამხელა წონით თამაში კი ძალიან ძნელია.

მერაბ მამულაშვილი





გაბელიამ კანიჯას კარი არ დაანება



შელიას ბურთი უკან დარჩა



კანიჯა ჩხეიძეს გაურბის



მარადონას მაკრატელა